პალიტრა მედია

# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

8 იანვარი **სამშაბათი** 2013 №004 (13 920) ფასი 80 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფიფას ოქროს ბურთი 2012

1. ლიონელ მესი (არგენტინა, "ბარსელონა") 41.60 %

2. კრიშტიანო რონალდუ (პორტუგალია, "რეალი") 23.68 %

3. ანდრეს ინიესტა (ესპანეთი, "ბარსელონა") 10.91 %



# მესი

# ეოთხედ



9

## ჩვენთვის მესი მეორეა

ქართველების კაპიტანმა და მწვრთნელმა არგენტინელს მეორე ადგილი არგუნეს



**თემურ ქეცბაია**

1. კრიშტიანო რონალდო
2. ლიონელ მესი
3. ანდრეს ინიესტა



**ჟაბა კანკავა**

1. უეინ რუნი
2. ლიონელ მესი
3. ჩავი

## შახტარი არ გამოვიდა

ინტერვიუ თორნიკე ოქრიაშვილთან



2



15

## დიდი ჰოკეი იწყება

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში ლოკაუტი დამთავრდა



12

ქართული ლეგიონი გასულ უქმეებზე

## გუშინ, იტალიაში:

## სანიკიძე 13 ქულა, 12 მოხსნა

## რომანი მომავალ ფედერერთან

ამერიკული პრესა მარია შარაპოვასა და გრიგორ დიმიტროვის სიყვარულის შესახებ

16



ქართული ფეხბური

ლეგიონერი. ინტერვიუ

# თორნიკე ოქრიაშვილი: სამწუხაროდ, ილიჩივეცში ვრჩები

## რა შეემთხვათ ესპანეთამდე მარიუპოლელ ქართველებს?



**მართალი** გამოდგა მარიუპოლის „ილიჩევეცის“ მთავარი მწვრთნელი ნიკოლაი პავლოვი, რომელმაც დეკემბერში უარყო თორნიკე ოქრიაშვილის შესახებ Football News-ის გავრცელებული ცნობა, თითქოს ქართველი ლეგიონერი ზამთრის შეკრებას დონეცკის „შახტართან“ გაივლიდა.

ტელეარხ „ფუტბოლთან“ ინტერვიუში „შახტარის“ გენერალურმა დირექტორმა სერგეი პალკინმაც განაცხადა, რომ გუნდის საწვრთნელო შტაბმა მიიღო გადაწყვეტილება, ზამთრის შეკრებაზე მარიუპოლის „ილიჩევეცის“ ახალგაზრდა ფეხბურთელი დმიტრი გრეჩიშკინი წაიყვანოს, ხოლო თორნიკე ოქრიაშვილზე დონეცკელთა მთავარი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ ჯერ კიდევ ფიქრობსო.

საბოლოოდ, საქართველოს ნაკრების შემტევი ნახევარმცველი ალმოსავლეთ ევროპის საუკეთესო კლუბში მაინც არ დაბრუნდა. რატომ მოხდა ასე, ამაზე პასუხი თორნიკესაც არ აქვს.

თორნიკე ოქრიაშვილი “მსოფლიოს სპორტის” გულშემატკივართა გამოკითხვით, წლის საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი გახდა, რისთვისაც მისი პირველი მწვრთნელი მამუკა ფანცულაია ინტერნეტ-გამოცემისგან 2013 წელს ყოველთვიურად 150 ლარს მიიღებს.

20 წლის ოქრიაშვილს უკრაინაში გამგზავრებამდე რამდენიმე საათით ადრე დაველაპარაკეთ და მისგან ბევრი საინტერესო ამბავიც შევიტყვეთ.

**- თორნიკე, ბოლოს და ბოლოს, გაგვარკვიე, შეკრებაზე “შახტართან” ერთად მიდიხარ თუ “ილიჩივეცთან”?**

- სამწუხაროდ, ისევ მარიუპოლელებთან ვივარჯიშებ. აქამდე ვიცოდი, რომ დონეცკელებს ჩემი დაბრუნება სურდათ. ადრეც გითხარით, რომ ეს ამბავი “გაგრას” პრეზიდენტმა ბესო ჩიხრაძემ მომილოცა, მაგრამ გუშინწინ გულდაწყვეტილმა მითხრა, რომ ისევ ძველ კლუბში მომიწევდა თამაში. ეს ჩემთვის იმდენად მძიმედ მოსასმენი იყო, ველარც ვკითხე, ასე რატომ და რისთვის გადაწყდა.

**- შენ ან ცენტრალურ, ან მარცხენა ნახევარმცველად გათამაშებენ. “შახტარს” ამ პოზიციაზე ვარსკვლავები, ჰამლეტ მხითარიანი, ვილიანი და ფერნანდინიო ჰყავს, რომლებიც დონეცკელთა ლიდერები არიან – ვითომ, მირჩა ლუჩესკუ მათ შემადგენლობიდან ამოაგდებდა?**

- მთავარი აქ დონეცკელთა პოზიცია იყო, მათ ჩემი დაბრუნება სურდათ და ამ შანსზე უარს ვერ ვიტყოდი. თანაც, როგორც ვიცი, იტალიური და ინგლისური კლუბები ვილიანისა და ფერნანდინიოს ყიდვას აპირებდნენ, იგივე ლაპარაკი იყო მხითარიანზეც. ეტყობა, საბოლოოდ, მაინც ჩემპიონთა ლიგისთვის დაიტოვეს.

**- “შახტარში” სკამზე ჯდომას ისევ “ილიჩივეცში” თამაში არ გერჩივნა?**

- ნებისმიერ შემთხვევაში მერჩივნა “შახტარში” გადასვლა. როდესაც დიდ დონეზე თამაშის ამბიცია გაქვს, არ შეიძლება, თუნდაც ძალიან მაღალი კლასის კონკურენტები გაშინებდეს.

**- შენი აზრით, ახლა მომწიფებული ხარ “შახტარის” დონის კლუბში სათამაშოდ და იმავე მხითარიანის, ფერნანდინიოსა და ვილიანის შესაცვლელად?**

- შეიძლება, ახლა მზად არ ვარ, მაგრამ ასეთ გუნდში მოხვედრილი საკუთარი თავის მიმართ უფრო მომთხოვნი ხდები და თავისთავად, ძლიერი ფეხბურთელების გარემოცვაში, კიდევ უფრო იზრდები. რაც მთავარია, დიდი მიზნებისთვის თამაში სასიამოვნოა, “შახტარს” კი “ილიჩივეცში” თამაშით ვერ შევეჩვევი, დონეცკურ კლუბში ვარჯიში მჭირდებოდა და დროის განმავლობაში, მათ დონემდეც გავიზრდებოდი. მერე, შესაძლოა, ისინი შემეცვალა კიდეც... აბა, სულ “ილიჩივეცის” დონეზე ხომ არ უნდა ვითამაშო?!

**- მოკლედ, ახალი წელი სასიამოვნოდ არ დაწყებულა.**

- ასეა, მაგრამ რას ვიზამთ, რაც იყო, იყო.

**- რუსული გაზეთი “ტვოი დენ” ამტკიცებდა, რომ შენით რუსეთის პრემიერლიგის “კრასნოდარის” მთავარი მწვრთნელი სლავოლიუბ მუსლინი დაინტერესდა. მანამდე ინფორმაცია “ალანიაზეც” გავრცელდა.**

- “კრასნოდართან” და “ალანიასთან” არანაირი მოლაპარაკება არ მქონია და პირადად არავინ დამკავშირებია. მენეჯერი მეუბნება, რომ მიწვევები არის, მაგრამ რა აზრი აქვს? “შახტარს”, “ილიჩივეცის” გარდა, ჩემი გაშვება არც ერთ სხვა კლუბში არ სურს და ხომ ვერ გავიპარები? ახლა მითხრეს, მარიუპოლელებთან ივარჯიშებ, მაგრამ დონეცკელები იქაც დაგაკვირდებიან, გამორიცხული არ არის, სეზონის დაწყებამდე “შახტარის” რომელიმე ფეხბურთელი გაყიდონ და ასეთ შემთხვევაში, შესაძლოა, მაინც მოხვდეო. მაგრამ ეს უკვე ვარაუდებია და არა კონკრეტული ვარიანტი.

**- უკრაინული გრანდები, “შახტარი” და კიევის “დინამო”, ხშირად მოთამაშეებს საკუთარ კლუბებში “ატრიალებენ”, სხვაგან კი არ უშვებენ. მეშინია, შენს შემთხვევაშიც ასე არ ხდებოდეს.**

- ამაზე მეც მიფიქრია. ჩემი მიზანი “შახტარში” მოხვედრა, ან სხვა ძლიერ გუნდში თამაშია. მესმის, რომ ჯერ კიდევ უნდა გავიზარდო, მაგრამ ახლა ისეთ ასაკში ვარ, როდესაც წინ უნდა წავიდე, ადგილის ტკეპნა ნამდვილად არ მაწყობს. “ილიჩივეცში” კარგი მწვრთნელი და გუნდელები მყავს, ხელფასიც კარგია და სავარჯიშო პირობებიც, მაგრამ მე მხოლოდ ხელფასისთვის არ ვთამაშობ და უფრო ამბიციურ კლუბში გამოსვლაზე ვოცნებობ.

**- სასიამოვნოც გავიხსენოთ: 2012 წელს არა მხოლოდ ბელარუსთან ლამაზი გოლით დაგვამახსოვრე თავი: ესპანეთთან შენ და დათო თარგამაძე მოედანზე უცნაური ვარცხნილობით გამოჩნდით. მართალია, რომ ასე “ორიგინალური” ვარცხნილობა ბანქოში წაგების შედეგი იყო?**

- (იცინის) ბანქოში არ წაგვიგია, უარესი მოხდა. თამაშის წინა დღეს თარგამაძე ოთახში მომეპარა და თმები ჩუმად ამპარსა. მე ვალში ხომ არ დავრჩებოდი და როცა ისვენებდა, მეც მივეპარე და გადავპარსე. მაგრამ ასე სტადიონზე წასვლა წარმოუდგენელი იყო. ორივე იძულებული გავხდით, გვერდები მაინც გაგვესწორებინა და მოედანზე ასეთი “ლამაზი” ვარცხნილობით გავედით.

ბიჭები გაკვირვებულები გვიყურებდნენ, ვერაფერი გაიგეს, ესპანელებს ხომ არ აშინებენო (იცინის). არა, ეს მომენტიც იყო, თამაშით თუ არა, ვარცხნილობით მაინც შევაშინოთ-მეთქი. მაგრამ არაფერი გამოგვივიდა.

**- ბოლო ამხანაგურ შეხვედრაში ეგვიპტესთან თემურ ქეცბაიამ აღარ მიგიწვია და ჭორები აგორდა, თითქოს, ბელარუსთან შეხვედრის შემდეგ კონფლიქტი მოგივიდათ.**

- არ დაიჯეროთ, მსგავსი არაფერი ყოფილა. უბრალოდ, მოხდა გაუგებრობა, ეგონა, რომ ტრავმა მქონდა და შემცვალა. მაგრამ ეგვიპტემდე ველაპარაკე და მითხრა, როგორც შენ მოგეცი შანსი და გამოიყენე, ასევე მინდა სხვებიც გავსინჯოო და ამაზე დავეთანხმე – ყვითელი ბარათების გამო, საფრანგეთთან გასვლაზე ვერ ვითამაშებ და მესმის, რომ ჩემს პოზიციაზე სხვებს [illegible]ბა.

**- 2013 წელს უმძიმესი შეხვედრები გველის: ესპანეთთან გასვლაზე, საფრანგეთთან შინ და გარეთ, ფინეთთან - თბილისში.**

- ჩვენი მიზანი მესამე ადგილზე გასვლაა, შემდეგ ციკლში უკეთეს კალათაში რომ მოვხვდეთ და შედარებით იოლ მეტოქეებს ვეთამაშოთ. ასე რომ, მესამე ადგილზე გასვლა აუცილებელია. კი მინდა, რომ პირველები ვიყოთ, მაგრამ ესპანეთი და საფრანგეთი უდავო ფავორიტები არიან. მგონი, ამის აღიარებისთვის ვერავინ გაგვამტყუნებს.

**- გასულ წელს ყველაზე გულდასაწყვეტი რომელი შეხვედრა იყო?**

- ფინეთთან ფრე, რომელშიც აუცილებლად უნდა მოგვეგო. სამწუხაროდ, მოგების ბოლომდე არ გვჯეროდა და 3 ქულა ქარს გავატანეთ. ბელარუსი ბევრად ძლიერი გუნდი იყო, განსაკუთრებით მინსკში, რადგან ალექსანდრ გლები დაიმატეს – ის ძალიან კარგი ფეხბურთელია. თუმცა, სიმართლე თუ გაინტერესებთ, ბელარუსი თბილისშიც გვჯობდა, მაგრამ რამდენიმე მოთამაშე დაუშავდათ და მერე ვაჯობეთ.

**- ბელარუსები ინდივიდუალური თამაშით დავამარცხეთ. ეს თვისება გუნდში ბევრ ფეხბურთელს გაქვთ, მაგრამ ნაკლებად იყენებთ.**

- გეთანხმებით, რადგან საკუთარ თავზე თამაშს იმდენად ვერ ვილებთ, როგორც შეგვიძლია. ვიცი, გუნდში რაღაც კომპლექსები არის. მაგრამ, იმედია, ყველაფერი გამოსწორდება.

**- 2012 წელს როგორ შეაფასებდი?**

- პირადად ჩემთვის წარმატებული გამოდგა, ნაკრებისთვის კი - ნორმალური. ეროვნულში პირველი ოფიციალური შეხვედრა ჩავატარე. თავიდან მოგებით დავიწყეთ, მაგრამ ასევე ველარ გავაგრძელეთ. “ილიჩივეცში” კი ძალიან კარგად ნახევარი წრე ჩავატარე. თუმცა, კარგი იქნებოდა, ასეთი სეზონის შემდეგ “შახტარში” გადავსულიყავი, მაგრამ ასე მოხდა...

**- 2013 წელს რას ისურვებდი?**

- ნაკრები ჯგუფში მესამე ადგილზე გავიდეს, მე კი მარიუპოლში სეზონის დარჩენილი ნაწილი კარგად ჩავატარო და მერე “შახტარში” გადავიდე.



თორნიკე ოქრიაშვილის გოლი ბელარუსის ნაკრების კარში

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

ფუტსალი

# ნაკრები მალტაში: მოგება და წაგება

საქართველოს ფუტსალის ნაკრები მალტაში საერთაშორისო ტურნირზე ორი შეხვედრა გამართა. 6 იანვარს ჩვენი გუნდი საბერძნეთს დაუპირისპირდა. **ავთანდილ ასათიანის** შეგირდებს **სტეფანოს სოილემესის** გაწვრთნილებთან ურთულესი ბრძოლის გადატანა მოუხდათ. „ჰიბერნიანსის” დარბაზში ქართველები **მურთაზ კაკაბაძის** ზუსტი დარტყმით დაწინაურდნენ. თუმცა ბერძნებმა წონასწორობა მალე აღადგინეს და პირველი ტაიმი ფრედ - 1:1 დასრულდა.

ფუტსალის ასოციაციის გენერალური მდივნის, **ბექა კვიციანის** თქმით, მეორე ნახევარში ქართველებმა მეტოქეს შტურმი მოუწყვეს და სახიფათო მომენტებს ქმნიდნენ, მაგრამ შეტევებით გართულებს სწრაფი კონტრშეტევები გამოეპარათ და მეტოქე სამბურთიანი უპირატესობით დაწინაურდა 1:4. **დავით ბობოხიძემ** მატჩის დასრულებამდე 5 წუთით ადრე ანგარიში შეამცირა და საბოლოოდ შედეგიც დააფიქსირა – 2:4 ბერძენთა სასარგებლოდ.

საქართველო: **ჯამბურია - გაბუჩია, ალთუნაშვილი, ჯვარაშვილი, ასათიანი, ლუკავა, ჯაფარიძე, მაისაია, სებისკვერაძე, კაკაბაძე, ჭანუყვაძე, ბობოხიძე, შელეგია, კობაიძე**

მეორე შეხვედრაში ინგლისმა მალტას 2:0 სძლია. საქართველო გუშინ, 7 იანვარს მასპინძელ მალტას დაუპირისპირდა.

პირველი ტაიმის შემდეგ ჩვენი გუნდი 4:0-ს იგებდა. მეორე ნახევარშიც ავთანდილ ასათიანის და **ბესო არველაძის** შეგირდებმა უპირატესობა გაზარდეს და საბოლოოდ, 10:1 გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრებში თავი გამოიჩინეს სებისკვერაძემ (2), ბობოხიძემ (2), ალთუნაშვილმა, ლუკავამ, ჯაფარიძემ, ასათიანმა, შელეგიამ და კობაიძემ. მეორე შეხვედრაში საბერძნეთმა ინგლისს 3:0 მოუგო და თუ რამე სასწაული არ მოხდა, ტურნირის გამარჯვებული სწორედ ელინები არიან.

*“დარბაზში საკმაოდ მძიმე პარკეტია, მაგრამ ბიჭები მიეჩვევიან და იმედია, ამ შეხვედრებს შესარჩევი ციკლისთვის კარგად გამოვიყენებთ. მჯერა ჩემი ფეხბურთელების, რომ ტურნირზე წარმატებული გამოსვლისთვის ყველაფერს გააკეთებენ”* - თქვა ავთანდილ ასათიანმა.

დღეს 8 იანვარს, ტურნირის მონაწილეები ისვენებენ, ხოლო 9-ში გადამწყვეტ მატჩში საქართველო ინგლისს შეხვდება, ჩვენი დელეგაცია კი თბილისში 11 იანვარს დაბრუნდება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● თვალსაზრისი

# კითხვა საფეხბურთო სამყაროდან: სად არის კალაძე?



სამყარო ორად იყოფა: ადამიანები, რომლებსაც ველოსიპედით სეირნობა უყვართ და ისინი, ვინც სწრაფად ატარებენ მანქანას.

ეს სიტყვები ერთმა ფრანგმა თქვა და საყურადღებო უნდა იყოს სისადავითა და სიზუსტით. ჩვენთვის კი ეს იმად არის საინტერესო, რომ ველოსიპედით სეირნობაზე უფრო აქტუალური მანქანის სწრაფად ტარებაა. ცხადია, იმას არ ვგულისხმობ, რომ კარგ მანქანაზე მომხტარ ტიპურ ქართველს ძალიან უყვარს გაზზე ფეხის მიჭერა.

ველოსიპედით სეირნობა იცოცხლეთ, ძალიან კარგია, ოღონდაც საამისოდ ცხოვრების მოწესრიგებაა საჭირო. ვინაიდან, სხვებზე ჩამორჩენილები ვართ, სწრაფად სიარული გვმართებს, ამისთვის კი მანქანა გაცილებით უკეთესი საშუალებაა.

მანქანა კიდევ წარმოადგენს ველოსიპედზე რთულ მექანიზმს, რომელსაც ველოსიპედზე უფრო ბევრი რამე სჭირდება: საწვავი, ზეთი, ანტიფრიზი და განსაკუთრებული მოვლა-პატრონობა.

ეს ლირიკული აბდაუბდა კი იმას მოვაყოლე, რომ ამას წინათ ერთი პარლამენტარი შემხვდა, ძალიან კარგი კაცი და რა თქმა უნდა, ქართული ფეხბურთის სვე-ბედი მიმოვიხილეთ.

ქართულ ფეხბურთს ბევრგან უჭირს, ყველაზე უფრო კი ალბათ საკლუბო დონეზე. ქვეყანაში ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ ჯერ კაცმა არ იცის, რა ელოდებათ ეგრეთ წოდებულ საბიუჯეტო კლუბებს მომდევნო სეზონში, ზოგს კი სულაც მიმდინარე სეზონის ჩამთავრება-არჩამთავრებაზე აქვს საქმე.

ამ პატივცემულმა პარლამენტარმა კი დამიდასტურა ის ამბავი, რაც ადრე მხოლოდ კულუარულად ვიცოდი. ამბავი ასეთია: როცა უმცროსი **ნოდარ ახალკაცი** გახლდათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, ოლიგარქი **ბიძინა ივანიშვილი** დაინტერესებულა ქართული ფეხბურთის პრობლემებით და გამოუთქვამს სურვილი და მზადყოფნა, ათეულ მილიონობით დოლარი დაეხარჯა საქმის გამოსასწორებლად. პროექტი ვერ განხორციელდა, რისი ზუსტი მიზეზი უცნობია. სამაგიეროდ ცნობილია, რომ ივანიშვილის ფინანსები რაგბისკენ წავიდა და მორაგბეებმა მისგან არაერთი საჩუქარი მიიღეს მოედნების სახით. მოკლედ, თუ კონფიდენციალურ წყაროს დავუჯერებთ, ივანიშვილს ფეხბურთში სურდა ფულის დახარჯვა, მაგრამ რეფორმატორებთან ვერმორიგების გამო, ფინანსები მორაგბეებს დარჩათ.

და რა თანხაზე იყო ლაპარაკი?

აქ უკვე პარლამენტარმა მოგვაწოდა ინფორმაცია: 80 მილიონი ევრო. ცხადია, ეს არაოფიციალური ცნობაა, მაგრამ სიმართლესთან ახლოს კი უნდა იყოს.

ამ ყველაფერმა მოიტანა იმედი, რომ ახალი ხელისუფლება კონცეპტუალურად იზრუნებს ქართული საფეხბურთო კლუბების მოლონიერებაზე, ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებმა „ლელოს“ არაერთხელ უთხრეს, აწ უკვე დამოუკიდებლად შეგვეძლება საკუთარი თავის და ნაკრებების შენახვაო და ბუნებრივია, რომ მისახედი რჩება საკლუბო ფეხბურთი.

რა და როგორ უნდა გაკეთდეს – საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ლევან ყიფიანი** საფეხბურთო სამყაროდან გამოსული კაცია და პრემიერ-მინისტრს კარგადაც განუმარტავს, თუ რა პრობლემების წინაშეა საკლუბო ფეხბურთი. მთავარი პრობლემა ფულია, საკითხავი ისლა რჩება, როგორ უნდა მოფულიანდნენ ქართული კლუბები და როგორ არ უნდა მობეზრდეს ბიზნესმენს საფეხბურთო კლუბში ფულის ჩადება.

ივანიშვილს საფეხბურთო თემატიკაზე კიდევ უნდა ჰყავდეს კარგი მრჩეველი, ვინც მისი პოლიტიკური კოალიციის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი სახე იყო: **კახა კალაძე.**

არაერთხელ გვითქვამს, რომ კალაძე ძალიან კარგი მაგალითია ქართველი ახალგაზრდობისთვის. შრომა, მიზანდასახულობა, გაბედულობა, რისკზე წასვლა - კალაძემ ამით მიაღწია წარმატებას სპორტსა და პოლიტიკაში. ის ახლა ენერგეტიკის მინისტრია, მაგრამ ეს ვერ მოუხსნის მას პასუხისმგებლობას ქართული საფეხბურთო სამყაროს წინაშე.

ყველაზე უფრო ალბათ კალაძეს შეუძლია ივანიშვილის დარწმუნება იმაში, რომ ფეხბურთი საქართველოსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტი უნდა იყოს. წინასაარჩევნო პერიოდში კალაძე ივანიშვილის თანამებრძოლი იყო, ახლაც თანაგუნდელები არიან, ოჯახებითაც მეგობრობენ და ცხადია, კალაძეს სწორედაც რომ ეთქმის სიტყვა პრემიერ-მინისტრთან.

კიევის „დინამომდე“ და „მილანში“ წასვლამდე კალაძე სწორედ ქართული ფეხბურთის წვენში იხარშებოდა, ქართული ფეხბურთიდან დაიწყო საკუთარი თავის შექმნა და ახლა სწორედ მისი დახმარება სჭირდება ჩვენს ფეხბურთს.

საქართველოს ფეხბურთს სხვა ბევრი პრობლემაც აქვს, მაგრამ არა მგონია, რომ სპორტის ეს სახეობა მეორეხარისხოვანი იყოს მთელი ქვეყნისთვის.

კალაძეს შეუძლია გახდეს ის რგოლი, რომელიც კარგად დააკავშირებს ერთმანეთთან ფეხბურთსა და ხელისუფლებას.

კალაძეს შეუძლია, დაელაპარაკოს ქართული კლუბების მესვეურებს და სპორტის მინისტრთან ერთად შეიმუშაოს ის მიმართულებები, რითაც უნდა განვითარდეს საკლუბო ფეხბურთი.

კალაძეს ბევრი შეუძლია, ახლა მისი ჯერია, მას ერთხელაც აქვს იმის შანსი, ქართველი გულშემატკივარი გაახაროს მიუხედავად იმისა, რომ ფეხბურთს აღარ თამაშობს.

კატეხიზმოში ასე წერია: ცოდნის მომატებით ტანჯვაც გემატებაო. ახლა კი სხვა დროა, სამყარო იმაზე მუშაობს, თუ როგორ გაიადვილოს ცხოვრება. ცოდნის მომატება და მეტი წარმატების მილწევა კი ძალაუნებურად პასუხისმგებლობას მატებს ამბიციურ ადამიანს. ალბათ, ასეა კალაძის შემთხვევაშიც.

ველოსიპედით სეირნობა თუ მანქანის სწრაფად ტარება - კალაძე აქაც სწორ არჩევანს გააკეთებს, მე ასე მგონია. სამყაროს კლასიფიკაციის ფუნდამენტურ პრინციპებზე კი სხვა დროსაც ვილაპარაკებთ...

**დავით თავართქილაძე**



● სამზადისი



გიორგი ყიფიანის გუნდს თურქეთში მოამზადებს — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# მეტალურგი თურქეთში მიდის



ლევან კორღალიძე

ვინ მოვა გუნდში და რომელი ფეხბურთელები წავლენ - საშუასეზონო პერიოდში ყველაზე აქტუალური საკითხი ეს არის. რუსთავის „მეტალურგი“, რომელსაც წინა სეზონში მეორე ადგილი შეხვდა, ახლა ქვედა ექვსეულში აღმოჩნდა, თუმცა ცხოვრება ამით არ მთავრდება. გადაწყდა, რომ „მეტალურგს“ უცხოური შეკრება ექნება, 1 თებერვალს ორი კვირით გაემგზავრება ანთალიაში. ჩვენებურთა მეტოქეები უკრაინული და პოლონური გუნდები იქნებიან, „მეტალურგი“ თურქეთში ხუთი საკონტროლო მატჩის გამართვას აპირებს.

„მეტალურგი“ ვარჯიშს 12 იანვარს განაახლებს რუსთავში, გუნდიდან ჯერ არავინ წასულა, ახალი კი ჯერ მხოლოდ **ლევან კორღალიძეა** — 32 წლის გამოცდილმა ნახევარმცველმა რუსთაულ კლუბთან ერთწლიანი კონტარქტი გააფორმა.

**დავით თავართქილაძე**

● სავარაუდო ტრანსფერი



ზაქარია ბეგლარიშვილი (მარჯვნივ)

# ბეგლარიშვილი კარპატიში?

**ზაქარია ბეგლარიშვილი**, შესაძლოა, მალე ლვოვის "კარპატიში" გადავიდეს. 22 წლის ქართველი პლეიმეიკერი 2012 წელს ტალინის „ფლორას" ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ: ესტონეთის ჩემპიონატის დასრულებულ სეზონში 27 მატჩში 17 გოლი გაიტანა, გუნდის საუკეთესო ბომბარდირი გახდა და მეისტრილიგის ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილზე გავიდა.

ნახევარმცველისთვის ასეთი შედეგიანი თამაში უკრაინული კლუბისთვის დამაინტრიგებელი აღმოჩნდა. კიდევ უფრო მიმზიდველი ის ფაქტი გახდა, რომ ბეგლარიშვილს „ფლორასთან“ კონტრაქტი ნოემბერში დაუმთავრდა და, ესტონელების შეთავაზების მიუხედავად, ხელშეკრულების გახანგრძლივება აღარ ისურვა.

ბეგლარიშვილის გადაყვანა ლვოვის "კარპატს" 2012 წლის ზაფხულშიც სურდა. როგორც ვიცით, მოლაპარაკებაც დაიწყეს, მაგრამ მაშინ ზაქარიას "ფლორასთან" კონტრაქტი აკავშირებდა და კლუბის შეცვლა ლვოველებისთვის სარფიანი არ იქნებოდა. თავისუფალი აგენტების გადაბირების მშვენიერი შანსი აქვთ ახლა კარპატელ სპეციალისტებს - ესტონელებს მხოლოდ მცირე საკომპენსაციო თანხა გადაუხადონ.

შეგახსენებთ, რომ შარშან ზამთარში, ბეგლარიშვილით თბილისის „დინამო“ დაინტერესდა, მაგრამ „ფლორა“ ქართველ ლეგიონერს ვერ ელეოდა. მანამდე ბეგლარიშვილის დამატება 2011 წლის დასაწყისში რუსთავის "ოლიმპსაც“ სურდა, ზაქარია გუნდთან ერთად თურქეთში ემზადებოდა და საკონტროლო შეხვედრებიც ჩაატარა, მაგრამ შეკრების შემდეგ ესტონელებმა ქართული კლუბი უარით გაისტუმრეს, ფეხბურთელი კი უნებართვო წასვლისთვის დასაჯეს.

ახლა კი ბეგლარიშვილს ესტონეთიდან წამოსვლის მშვენიერი შანსი უჩნდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპის შეჯამება — ტორპედო (ქუთაისი). ადგილი III

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარგად ნაცნობი კურსი

"ტორპედოს" გულშემატკივრებისთვის მიმდინარე სეზონის სტარტი მეტად უსიამოვნო გამოდგა – ქუთაისური კლუბი ევროპის ლიგის პირველ რაუნდში ყაზახურ "აქტობესთან" დამარცხდა. თუმცა ამას "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის, **გია გეგუჩაძის** გეგმებში განსაკუთრებული ცვლილებები არ შეუტანია – თავიდანვე იყო ნათქვამი, რომ "ტორპედოში" მომავლის გუნდი შენდებოდა და ევროასპარეზზე განცდილი წარუმატებლობის მიუხედავად, კლუბის ხელმძღვანელობამ სამწვრთნელო შტაბისადმი ნდობა შეინარჩუნა.

როგორც ვთქვით, უცვლელი დარჩა გეგუჩაძის მიზანი, "ტორპედოს" შემადგენლობაში კი გარკვეული ცვლილებები ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდეც მოხდა და მის მსვლელობაშიც. გეგუჩაძე აქცენტს მანამდეც ახალგაზრდებზე აკეთებდა, ბოლო პერიოდში კი მათ კიდევ უფრო თამამად ენდობა. თუმცა "ტორპედოს" მთავარი მწვრთნელის გეგმებში გამოცდილ მოთამაშეებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ.

მთავარი მაინც ის არის, რომ "ტორპედო" "ერთწლიანი" გუნდების კატეგორიას არ მიეკუთვნება და იქ ყველაფერი დღევანდელი დღისთვის არ კეთდება. კლუბს აქვს შორსმიმავალი და დროში გაწერილი გეგმა, რაც თუკი ევროპაში ჩვეულებრივი ამბავია, ქართულ რეალობაში ნამდვილად გამოსარჩევი ფაქტია.

ახალგაზრდული გუნდისთვის არასტაბილურობა ჩვეული ამბავია და რამდენიმე ჩაგდებულ მატჩსა და გაუთვალისწინებელი ქულების დაკარგვას ვერც "ტორპედო" გადაურჩა, თუმცა ბევრად მეტი იყო მაღალ დონეზე და რაც მთავარია, შედეგიანად ჩატარებული შეხვედრა, რამაც ქუთაისელებს პირველი ეტაპის საუკეთესო სამეულში დასრულების საშუალება მისცა.

საერთო ჯამში, ტორპედოელები ზამთრის არდადეგებზე ოპტიმისტური განწყობით გავიდნენ. ყველა წინაპირობა არსებობს იმისთვის, რომ ვივარაუდოთ: "ტორპედოს" შეუძლია, სეზონის მეორე ნახევარში კიდევ უკეთესი შედეგი აჩვენოს.


ომარ მიგინეიშვილი

### მეკარე

**ომარ მიგინეიშვილი** "ლელომ" საქართველოს 2011-12 წლების ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ აღიარა და მიმდინარე უმაღლესი ლიგის პირველი ეტაპის პირველ კიპერადაც დაასახელა, ასე რომ, "ტორპედოს" ამ რგოლში ყველაფერი რიგზე აქვს. მიგინეიშვილის პროგრესი სეზონიდან სეზონამდე აშკარაა და უმაღლეს ლიგაში დამაჯერებელი თამაშის წყალობით მან ეროვნულ ნაკრებში გამოძახებაც დაიმსახურა. მიგინეიშვილს **მაქსიმე ქვილითაიას** სახით საიმედო დუბლიორი ჰყავს, თუმცა ამ უკანასკნელს ამ ჩემპიონატში თავის გამოჩენის შესაძლებლობა ჯერ არ მისცემია.

### დაცვა

მიმდინარე ჩემპიონატის პირველ ეტაპზე "ტორპედომ" მხოლოდ 18 გოლი მიიღო, ამაზე უკეთესი შედეგი კი მხოლოდ გორის "დილას" აქვს. სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ქუთაისელებს საიმედო დაცვა ჰყავთ. **გიორგი გურული, ზაზა ჭელიძე** და **დათა რიგვავა** სასტარტო შემადგენლობაში სისტემატურად ხვდებოდნენ, "ტორპედოდან" სეზონის მსვლელობისას წასული **ალექსანდრე კვახაძის** ადგილი კი ძირითადში **ლაშა შერგელაშვილმა** დაიკავა.

### ნახევარდაცვა

შუა ხაზში "ტორპედოს" რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელთაც ინდივიდუალურად შეუძლიათ მატჩის ბედის გადაწყვეტა. ბოლომდე "გაიხსნა" **გიორგი კუხიანიძე**, შესანიშნავად შეეწყო ახალ გუნდს **ელგუჯა გრიგალაშვილი**. ახალგაზრდების მხარდამხარ ძველებურად სასარგებლოები არიან გამოცდილი შუახაზელები, **გიორგი დათუნაიშვილი** და **გრიგოლ დოლიძე**. საერთოდ, "ტორპედოს" ნახევარდაცვაში დიდი კონკურენციაა და ამ რგოლში თავის გამოჩენის საშუალება არაერთ ფეხბურთელს ეძლევა. დასახელებული ოთხეულის გარდა, იმერელთა შემადგენლობაში ვხედავდით **ნიკა ფირცხალავას, მერაბ გიგაურსა** და **ვალერი ბოლქვაძეს**.

### თავდასხმა

არანაკლები კონკურენციაა "ტორპედოს" თავდასხმის ხაზში. გეგუჩაძე ორფორვარდიანი განლაგების ერთგული რჩება. უფრო ხშირად ძირითად შემადგენლობაში გუნდის საუკეთესო ბომბარდირის, **ნიკა საბანაძისა** და **გიორგი ბერიაშვილის** წყვილი მოქმედებდა, თუმცა საკმაოდ ხშირად ეძლეოდათ თავის გამოჩენის შესაძლებლობა **გიორგი ფანცულაიასა** და **ბექა ტულუშს**. "ტორპედოს" მეორე შედეგი აქვს როგორც მიღებული ბურთების სიმცირით, ასევე გატანილი გოლების რაოდენობით. გეგუჩაძის გუნდმა მეტოქეთა კარი 41-ჯერ დალაშქრა, ამაზე უკეთესი შედეგი კი მხოლოდ თბილისის "დინამოს" აქვს – 63.

### საუკეთესო მატჩი

"ტორპედომ" არაერთხელ სძლია უშუალო კონკურენტებს და არაერთი მატჩი მოიგო შთამბეჭდავი ანგარიშით, ჩვენი აზრით კი, ყველაზე გამოსარჩევი მაინც ქუთაისელთა რუსთავში სტუმრობაა. მეოთხე ტურში "ტორპედომ" რუსთავში "მეტალურგი" 4:0 გაანადგურა, რითაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ მხოლოდ მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებდა. აუცილებლად უნდა ვახსენოთ მე-19 ტურის შეხვედრაც, სადაც "ტორპედომ" სტუმრად "დილას" 1:0 სძლია და ამით გორელებს შორს "გაქცევის" საშუალება არ მისცა და საუკეთესო სამეულშიც უფრო მტკიცედ დამკვიდრდა.

### ყველაზე ცუდი მატჩი

ვფიქრობთ, ამ სეზონში ქუთაისელებს ყველაზე დიდი უსიამოვნება მარტვილში შეემთხვათ, სადაც იქაური "მერანისგან" სამი უპასუხო ბურთი მიიღეს. თუმცა გეგუჩაძის ბიჭების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ შოკიდან გამოსვლა მომენტალურად შეძლეს და მარტვილურ მარცხს გამარჯვებათა ოთხმატჩიანი სერია მოაყოლეს.

### ლიდერი

"ტორპედოს" წარმატება ნამდვილად არ არის დამოკიდებული ერთი კონკრეტული ფეხბურთელის თამაშზე, მაგრამ ჩვენი აზრით, გუნდის ყველაზე გამოკვეთილი ლიდერი ომარ მიგინეიშვილია. შემთხვევითი არ არის, რომ თანაგუნდელებმა იგი კაპიტნად აირჩიეს.

### მიზანი

"ტორპედოს" დამრიგებელს გადაჭრით არ უთქვამს, რომ ამ სეზონში მისი გუნდის ერთადერთი მიზანი საქართველოს ჩემპიონობაა, თუმცა ქუთაისელებს არც საამისო შანსები დაუკარგავთ. მინიმუმ ევროპის ლიგაზე გასვლის პერსპექტივა კი "ტორპედოს" ნამდვილად აქვს, რისი თქმის საფუძველს სატურნირო მდგომარეობაც გვაძლევს და გეგუჩაძის გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშის ხარისხიც.

**ლევან ჯანეზაშვილი**


გია გეგუჩაძე

**ტორპედოს ყველა მატჩი პირველ ეტაპზე**

| | | |
|---|---|---|
| I ტური | ტორპედო-ზუგდიდი | 1:0 |
| II ტური | დინამო (თბ)-ტორპედო | 3:2 |
| III ტური | ტორპედო-ზესტაფონი | 1:0 |
| IV ტური | მეტალურგი-ტორპედო | 0:4 |
| V ტური | ტორპედო-მერანი | 4:0 |
| VI ტური | ტორპედო-დინამო (ბთ) | 5:0 |
| VII ტური | კოლხეთი-ტორპედო | 1:1 |
| VIII ტური | ტორპედო-დილა | 0:1 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-ტორპედო | 1:3 |
| X ტური | ტორპედო-ჩიხურა | 3:1 |
| XI ტური | სიონი-ტორპედო | 0:2 |
| XII ტური | ზუგდიდი-ტორპედო | 2:1 |
| XIII ტური | ტორპედო-დინამო (თბ) | 2:2 |
| XIV ტური | ზესტაფონი-ტორპედო | 1:0 |
| XV ტური | ტორპედო-მეტალურგი | 1:0 |
| XVI ტური | მერანი-ტორპედო | 3:0 |
| XVII ტური | დინამო (ბთ)-ტორპედო | 0:2 |
| XVIII ტური | ტორპედო-კოლხეთი | 2:1 |
| XIX ტური | დილა-ტორპედო | 0:1 |
| XX ტური | ტორპედო-ვიტ ჯორჯია | 2:0 |
| XXI ტური | ჩიხურა-ტორპედო | 0:0 |
| XXII ტური | ტორპედო-სიონი | 4:1 |

მეკარე: ომარ მიგინეიშვილი – 22 მატჩი;

მცველები: გიორგი გურული – 22 მატჩი, ზაზა ჭელიძე – 20 მატჩი, 1 გოლი, დათა რიგვავა – 20 მატჩი, ალექსანდრე კვახაძე – 12 მატჩი, 1 გოლი, ლაშა შერგელაშვილი – 9 მატჩი, 2 გოლი, ვაჟა ტაბატაძე – 6 მატჩი;

ნახევარმცველები: გიორგი კუხიანიძე – 21 მატჩი, 5 გოლი, ელგუჯა გრიგალაშვილი – 20 მატჩი, 5 გოლი, გიორგი დათუნაიშვილი – 18 მატჩი, 4 გოლი, გრიგოლ დოლიძე – 18 მატჩი, 2 გოლი, მერაბ გიგაური – 18 მატჩი, 1 გოლი, ნიკა ფირცხალავა – 16 მატჩი, 1 გოლი, ვალერი ბოლქვაძე – 14 მატჩი, 1 გოლი;

თავდამსხმელები: ნიკა საბანაძე – 21 მატჩი, 10 გოლი, გიორგი ბერიაშვილი – 21 მატჩი, 5 გოლი, გიორგი ფანცულაია – 14 მატჩი, 1 გოლი, ბექა ტულუში – 13 მატჩი, 1 გოლი, ვახტანგ კვარაცხელია – 1 მატჩი.

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე (I-XXII ტური)


ნიკა საბანაძე

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ | ბურთები გაშვ | ქ |
| 1 | დინამო (თბ) | 22 | 16 | 4 | 2 | 63 | 19 | 52 | 11 | 11 | 0 | 0 | 43 | 11 | 33 | 11 | 5 | 4 | 2 | 20 | 8 | 19 |
| 2 | დილა | 22 | 16 | 1 | 5 | 36 | 15 | 49 | 11 | 7 | 0 | 4 | 18 | 9 | 21 | 11 | 9 | 1 | 1 | 18 | 6 | 28 |
| 3 | ტორპედო | 22 | 14 | 3 | 5 | 41 | 18 | 45 | 11 | 9 | 1 | 1 | 25 | 7 | 28 | 11 | 5 | 2 | 4 | 16 | 11 | 17 |
| 4 | ჩიხურა | 22 | 13 | 4 | 5 | 35 | 21 | 43 | 11 | 8 | 2 | 1 | 18 | 5 | 26 | 11 | 5 | 2 | 4 | 17 | 16 | 17 |
| 5 | ზესტაფონი | 22 | 11 | 4 | 7 | 30 | 20 | 37 | 11 | 6 | 2 | 3 | 11 | 7 | 20 | 11 | 5 | 2 | 4 | 19 | 13 | 17 |
| 6 | ზუგდიდი | 22 | 10 | 5 | 7 | 27 | 26 | 35 | 11 | 8 | 2 | 1 | 19 | 10 | 26 | 11 | 2 | 3 | 6 | 8 | 16 | 9 |
| 7 | მეტალურგი | 22 | 9 | 4 | 9 | 21 | 26 | 31 | 11 | 5 | 2 | 4 | 13 | 14 | 17 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 12 | 14 |
| 8 | მერანი | 22 | 7 | 2 | 13 | 23 | 36 | 23 | 11 | 6 | 1 | 4 | 16 | 13 | 19 | 11 | 1 | 1 | 9 | 7 | 23 | 4 |
| 9 | ვიტ ჯორჯია | 22 | 5 | 7 | 10 | 15 | 29 | 22 | 11 | 1 | 5 | 5 | 7 | 12 | 8 | 11 | 4 | 2 | 5 | 8 | 17 | 14 |
| 10 | სიონი | 22 | 4 | 6 | 12 | 14 | 38 | 18 | 11 | 1 | 5 | 5 | 5 | 18 | 8 | 11 | 3 | 1 | 7 | 9 | 20 | 10 |
| 11 | დინამო (ბთ) | 22 | 3 | 4 | 15 | 22 | 47 | 13 | 11 | 2 | 1 | 8 | 11 | 21 | 7 | 11 | 1 | 3 | 7 | 11 | 26 | 6 |
| 12 | კოლხეთი | 22 | 0 | 4 | 18 | 11 | 43 | 4 | 11 | 0 | 3 | 8 | 6 | 19 | 3 | 11 | 0 | 1 | 10 | 5 | 24 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები

## მგლების ახალი მომთვინიერებელი

ჩემპიონშიპის "ვულვერჰემპტონის" ხელმძღვანელობას 26 ტურის შემდეგ 44 წლის ნორვეგიელი **სტალე სოლკბაკენის** წარუმატებლობები (31 ქულა, მე-18 ადგილი) ყელში ამოუვიდა, სკანდინაველს კარისკენ მიუთითა და გუნდი მის ნაცვლად 48 წლის უელსელ **დინ სონდერსს** ჩააბარა. *"ახალ მწვრთნელთან პირადი ხელშეკრულების პირობები შეთანხმებულია. მზად არის "დონკასტერთან" კონტრაქტიც. მოსაგვარებელი მხოლოდ ფორმალობები დარჩა. სონდერსს გულშემატკივართა წინაშე მხოლოდ ამის მერე წარვადგენთ,"* – აცხადებს "მგლების" პრეზიდენტი **სტივ მორგანი**. უელსელ მწვრთნელს "დონკასტერის" გარდა მთავარ მწვრთნელად "რექსჰემშიც" უმუშავია, ის შედიოდა "ნიუკასლისა" და "ბლექბერნის" სამწვრთნელო შტაბებში. რაც მთავარია, მას უელსის ეროვნულ ნაკრებში მუშაობის გამოცდილებაც აქვს.

## ლუკა უკან, ინგლისში

ინგლისური "დეილი მეილის" ცნობით, მადრიდის "რეალის" 27 წლის ხორვატი პლეიმეიკერი **ლუკა მოდრიჩი** შესაძლოა, ივნისში სათამაშოდ პრემიერლიგას დაუბრუნდეს. მისით "მანჩესტერ სიტი" და "ჩელსი" არიან დაინტერესებულები. სამეფო კლუბი ფეხბურთელს 33 მილიონ ფუნტად აფასებს. "ტოტენჰემიდან" მისი გადაბირება "რეალს" 40 მილიონი ევრო (32.44 მლნ ფუნტი) დაუჯდა. როგორც ხედავთ, წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, მისმა ფასმა ცოტა მოიმატა კიდეც. ესპანური "მარკას" ვერსიით, მოდრიჩის ყიდვა, "არსენალიდან" **ალექს სონგის** გადაბირების მსგავსად, პრიმერაში 2012 წლის ყველაზე ცუდ ტრანსფერებად დასახელდა.

## ტრაგედია რუნის ოჯახში

"მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელის **უეინ რუნის** ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. უიშვიათესი ფსიქონევროლოგიური დაავადებისგან დაილუპა 27 წლის ფეხბურთელის მეუღლის და, 14 წლის **როზი**. "ეშმაკების" ვარსკვლავის თქმით, ფეხმძიმე კოლინს ახლა ყველაზე მეტად სჭირდება მისი გვერდში დგომა და შესაბამისად, მას ტრავმისგან სარეაბილიტაციო პროცედურებისთვის დრო აღარ ექნება. **ალექს ფერგიუსონი** უეინსა და კოლინს უკვე ეწვია შინ და მიუსამძიმრა. გეტყვით, რომ რუნის თამაში მხოლოდ ორ კვირაში შეეძლება.

## ასოციაციის თასის გადათამაშება

საფეხბურთო ასოციაციამ ინგლისის თასის მე-3 ეტაპის გადასათამაშებელი მატჩების ჩატარების თარიღები დაადგინა. მაშ ასე, 15 იანვარს შეხვდებიან (პირველად დასახელებული გუნდების არენებზე):

**"სტოკ სიტი"-"კრისტალ პალასი", "ბრენტფორდი"-"საუთენდი", "ბირმინგემი"-"ლიდსი", "ბორნმუთი"-"უიგანი", "სანდერლენდი"-"ბოლტონი", "ლეიტონი"-"ჰალ სიტი", "მილტონი"-"შეფილდ უენ", "ვესტ ბრომვიჩი"-"ქუინზ პარკი", "ბლექპული"-"ფულჰემი".**

16 იანვარს კი მხოლოდ ორი წყვილი დაუპირისპირდება: "არსენალი"-"სუონსი", "მანჩესტერ იუნაიტედი"-"ვესტ ჰემი".

## ჩელსი ტაისონს შეუთანხმდა

დიდი ხანია, ევროპული გრანდები უკრაინის ვიშა ლიგაში მარტო "შახტარისა" და "დინამოს" ფეხბურთელებს არ აკვირდებიან. ამის დასტურია, რომ "ჩელსიმ" პრაქტიკულად დაასრულა ხარკოვის "მეტალისტიდან" ბრაზილიელი გარემარბის, 24 წლის **ტაისონის** ტრანსფერი. საკითხის მოგვარებას მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებიღა აბრკოლებს. ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმების გასავლელად ლონდონს კვირის ბოლომდე ეწვევა.

ჩელსი



ფრენკ ლამპარდსა და რომან აბრამოვიჩს შორის შავმა კატამ გაირბინა. რუს მილიარდერს ჩელსიში ვეტერანის დანახვაც აღარ უნდა

# აბრამოვიჩი: აქ მე ვარ ბოსი!

## ლამპარდის ლონდონური კარიერა სრულდება

ავტორიტეტული ბრიტანული გამოცემა "ტელეგრაფი" "ჩელსის" 34 წლის ვარსკვლავის **ფრენკ ლამპარდის** აგენტ **სტივ კატნერზე** დაყრდნობით იუწყება, რომ ფეხბურთელი ლონდონურ გრანდს სეზონის დასრულებისთანავე დატოვებს. საკითხი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი და, როგორც იტყვიან, გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება. როგორც ჩანს, კლუბის ხელმძღვანელობას ვერც ვეტერანის შეთავაზებამ მოულბო გული, რომლის თანახმადაც, ფრენკი "სტემფორდ ბრიჯზე" დარჩენის სანაცვლოდ მზად იყო, ხელფასის 2/3-ზე ეთქვა უარი. ირკვევა, რომ მოლაპარაკებები, რომელიც **რაფა ბენიტესმა** რამდენიმე დღის წინ ახსენა, კონტრაქტით დარჩენილ პერიოდში ფრენკის სტატუსის განსაზღვრას ეხებოდა და არა თანამშრომლობის გახანგრძლივებას. აი, რა თქვა ფეხბურთელის აგენტმა ასოციაციის თასზე "საუთჰემპტონთან" მე-4 ეტაპის შეხვედრის (5:1 ლონდონელთა სასარგებლოდ) მეორე დღეს: *"ჩემს კლიენტს რეალობასთან შეგუება მოუწევს, რადგან მას სეზონის ბოლომდე სურს "ჩელსიში" დარჩენა. ლამპარდი მიზნად ისახავს, დარჩენილი პერიოდი რაც შეიძლება წარმატებული გამოდგეს გუნდისთვის. პირველად კლუბის ხელმძღვანელობას ფიფას საკლუბო ჩემპიონატის მიმდინარეობისას იაპონიაში შევხვდი, მეორედ "ევერტონთან" თამაშის დასრულების შემდეგ. მათ ერთმნიშვნელოვნად განმიმარტეს, რომ რაც უნდა მოხდეს, ლამპარდს ახალ ხელშეკრულებას არ შესთავაზებენ. მას მერე კი ნამდვილად არაფერი შეცვლილა"*.

აქვე გეტყვით, რომ "წმინდანებთან" მატჩში ლამპარდის მიერ გატანილი ბურთი მისთვის 193-ე აღმოჩნდა "ჩელსის" რიგებში, რითაც ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში ლეგენდარულ **კერი დიქსონს** (1983–1992) გაუთანაბრდა. მათ მხოლოდ **ბობი ტრემბლინგი** (1959–1970) უსწრებს, ვის ანგარიშზეც 202 გოლია. სეზონის მეორე ნახევარში ტრემბლინგის გადასასწრებად ფრენკს 10 გოლის გატანა ძალიან გაუჭირდება, მით უფრო, რომ ის სათადარიგოთა შორის ხშირად რჩება ხოლმე. ვეტერანის მომავალს რაც შეეხება, აგენტი არ ადასტურებს, თუმცა ბრიტანული პრესის ვარაუდით, ფრენკი პრემიერლიგაში არ დარჩება და კარიერას დიდი ალბათობით "ლოს ანჯელეს გალაქსიში" განაგრძობს.

ლამპარდთან დაკავშირებით "ჩელსის" ხისტ პოზიცია გაუგებარსა და მიუღებელს უწოდებს ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა **ალან შირერი**. ის შეკითხვას სვამს, კი, მაგრამ რა უნდა გააკეთოს ფეხბურთელმა იმაზე მეტი ვიდრე აკეთებს, რომ ახალი კონტრაქტი დაიმსახუროსო. **რომან აბრამოვიჩს** ალბათ შემდეგი პასუხი აქვს: "აქ ბოსი მე ვარ". ეს ყველაფერი ცოტა უცნაურია, მაგრამ მაინც...

მადლობა, ფრენკ!

მანჩესტერ სიტი

# ტევესი ბალოტელის გადასარჩენად

**კარლოს ტევესს** თავის დროზე "მანჩესტერ სიტის" ხელმძღვანელობასთან კიდევ უფრო სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ვიდრე ამ წუთას – **მარიო ბალოტელის**. არგენტინელმა თანაგუნდელისთვის საკუთარი გამოცდილების გაზიარება სახალხოდ გადაწყვიტა და განაცხადა: *"მსგავსი ინციდენტები ყველა გუნდში მომხდარა, სადაც კი ოდესმე მითამაშია, მაგრამ მთავარი "პრობლემა" სწორედ ბალოტელიშია. პრესა მას სხვებზე მეტ ყურადღებას უთმობს და ცხადია, როცა ის რამეს აშავებს, გაზეთები უჩვეულოდ დიდ ხმაურს ტეხენ. ყველაფერს გავაკეთებ მარიოს დასახმარებლად. მე და მას ხომ კარგად გვესმის ერთმანეთის როგორც მოედანზე, ისე მის მიღმა. კარგად გეხსომებათ, რომ დისციპლინასთან დაკავშირებული პრობლემები მეც მქონდა. ჰოდა, ძალიან არ მინდა, რომ მარიომ ჩემი შეცდომები გაიმეოროს. ამჟამად ის დიდი მონდომებით ვარჯიშობს და ყველაფერს აკეთებს სიტუაციის გამოსასწორებლად"*.

აქვე გეტყვით, რომ იტალიის ნაკრების 22 წლის თავდამსხმელს შეთავაზებები ძირითადად სამშობლოდან აქვს. მისით ყველაზე მეტად "მილანი" და "ნაპოლი" არიან დაინტერესებულები. სამხრეთელთა პრეზიდენტის **გვიდო დე ლაურენტისის** თქმით, ის მზადაა მანჩესტერელებთან მოლაპარაკებების დასაწყებად, თუმცა ფრთხილობს კიდეც. *"გუნდებს იანვარში წამყვან ფეხბურთელებთან გამოთხოვება ეძნელებათ ხოლმე. ზამთარში დიდი ინვესტიციები შემადგენლობის გასაძლიერებლად ცოტა სარისკო საქმეც კია და ჩვენც ვეცდებით, ყოველი ნაბიჯი საგულდაგულოდ გავზომოთ. ჩვენი მუშაობის შედეგებს 31 იანვრს შევაფასებთ,"* – აცხადებს "ნაპოლის" პრეზიდენტი.



ერთ დროს სიტის კარლოს ტევესი აუჯანყდა, მის გზას ახლა მარიო ბალოტელი ადგას

ამბები

## მიჩუსგან შევიწროვებული

"სუონსიში" **მიგელ მიჩუს** გადასვლა თამამად შეგვიძლია წლის ყველაზე კარგ ტრანსფერად დავასახელოთ. "გედებს" მისი შეძენა 2 მილიონი ევრო დაუჯდათ. 26 წლის ესპანელი აშკარად იმაზე უკეთ თამაშობს, ვიდრე ამას ვინმე წარმოიდგენდა. მიჩუმ უელსელთა თავდასხმის შარშანდელი ლიდერი **დენი გრემი** შეავიწროვა. 27 წლის ფეხბურთელი მიმდინარე სეზონში დროის უმეტეს ნაწილს სათადარიგოთა სკამზე ატარებს. მართალია, მას წასვლის სურვილი ხმამაღლა არ დაუდასტურებია, მაგრამ უთამაშებლობით კმაყოფილი რომ ვერ იქნება, ცხადია. Sky Sports-ის ცნობით, "სანდერლენდის" თავკაცი **მარტინ ონილი** გრემს **სტივენ ფლეტჩერთან** ერთად დუეტში თამაშის გარანტიას აძლევს. *"დენის გრემის ტრანსფერთან დაკავშირებით წინადადებები არ მიგვილია. ის გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა, თუმცა სურს თუ არა ჩვენთან დარჩენა, ეს მხოლოდ მისი გადასაწყვეტია,"* – აცხადებს "სუონსის" მთავარი მწვრთნელი **მიკაელ ლაუდრუპი**.

## ბეგოვიჩი ან რეინა?

"დეილი მირორი" სპეკულაციების მორიგ ტალღას აგორებს "მანჩესტერ იუნაიტედის" ესპანელი კარის დარაჯის, 22 წლის **დავიდ დე ხეას** მომავალთან დაკავშირებით. გამოცემის მტკიცებით, რაკი ახალგაზრდა ფეხბურთელი ვერა და ვერ ახერხებს სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშს, **ალექს ფერგიუსონი** მას ივნისში გაყიდის და შემცვლელად პრემიერლიგაში "ქიპმოჭრილ" კარგ მეკარეს შეიძენსო. სახელდება ორი კანდიდატურა: **ასმირ ბეგოვიჩი** (ბოსნია, "სტოკ სიტი", 25 წლის, კონტრაქტი 2016 წლამდე, უმაღლეს ლიგაში თამაშის 3-წლიანი პრაქტიკა) და **პეპე რეინა** (ესპანეთი, "ლივერპული", 30 წლის, კონტრაქტი 2016 წლამდე, პრემიერლიგაში თამაშის 8-წლიანი პრაქტიკა).

აქვე მოგახსენებთ "მანჩესტერ იუნაიტედის" კიდევ ერთ სავარაუდო ტრანსფერზეც: იტალიური CalcioMercato გულდაწყვეტილი აღნიშნავს, რომ აპენინური გრანდების ინტერესის მიუხედავად, დონეცკის "შახტარის" 27 წლის ბრაზილიელი ცენტრალური ნახევარმცველი **ფერნანდინიო** მომდევნო სეზონიდან კარიერას "მანჩესტერ იუნაიტედში" გააგრძელებს. სააგენტოების მტკიცებით, "წითელ ეშმაკებს" გარიგება 10-დან 12.5 მილიონ ევრომდე დაუჯდებათ.

## დნიპროდან ფულჰემში

უკრაინიდან ინგლისში სათამაშოდ გადასულ ფეხბურთელს ეხება ეს ინფორმაციაც. Sky Sports-ის ცნობით, "ფულჰემმა" დიდი ბრიტანეთის შრომის სამინისტროსგან უკვე მიიღო განის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველის, 29 წლის **დერეკ ბოატენგის** სამუშაო ვიზა. კოტეჯელებს ისღა დარჩენიათ, ფეხბურთელი სამედიცინო კომისიას წარუდგინონ და შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ ის განაცხადში შეიყვანონ. მიუხედავად ამისა, **მარტინ იოლი** ახალწვეულს მხოლოდ აფრიკის ერთვნებათა თასის დასრულების შემდეგ თუ დაიხმარს.

ლონდონელები მოლაპარაკებებს აწარმოებენ თანაქალაქელ "არსენალთან" 31 წლის რუსი თავდამსხმელის **ანდრეი არშავინის** ტრანსფერზეც. "მეთოფეები" ვეტერანს 4 მილიონ ფუნტად აფასებენ. ფეხბურთელს "ქრევეინ კოტეჯზე" გადაბარგების შემთხვევაში სახელფასო მადის დაცხრობაც მოუწევს. "ფულჰემი" მას კვირაში 80 ათას ფუნტს ნამდვილად ვერ გადაუხდის.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

## უცხოური ფეხბურთი

ტრანსფერი




ივან პერიშიჩი „ვოლფსბურგის“ მთავარმა მწვრთნელმა დიტერ ჰეკინგმა და სპორტულმა დირექტორმა კლაუს ალოფსმა წარადგინეს

# ვოლფსბურგს პერიშიჩი მოუხდება

### ხორვატმა 9-ნომრიანი მაისურა, დორტმუნდმა 8 მილიონი მიიღო...

ხორვატიის ნაკრების შემტევი ნახევარმცველის, **ივან პერიშიჩის** დორტმუნდის „ბორუსიადან“ „ვოლფსბურგში“ სავარაუდო ტრანსფერის შესახებ არაერთხელ დავწერეთ, ერთი კვირის წინ „ვოლფების“ მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** 23 წლის ფეხბურთელით დაინტერესება ოფიციალურადაც დაადასტურა, გასულ უქმეებზე კი ტრანსფერი სრულყო. პერიშიჩი, რომელსაც დორტმუნდში სათამაშო პრაქტიკა აკლდა და ამით უკმაყოფილო იყო, შაბათს თურქეთში გაემგზავრა („ვოლფსბურგი“ იქ მოსამზადებელ შეკრებაზეა), სამედიცინო შემოწმება გაიარა და ოთხწლინახევრიანი კონტრაქტი გააფორმა, რის შემდეგაც „მგლებმა“ ახალწვეული ოფიციალურად წარადგინეს და პერიშიჩმა ახალ თანაგუნდელებთან პირველად ივარჯიშა.

*„გვიხარია, რომ ივანი ჩვენთან გადმოვიდა. დიტერ ჰეკინგის მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შემდეგ ეს ტრანსფერი „ვოლფსბურგისთვის“ ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პერიშიჩით ჩვენი წინა ხაზი გაცილებით სახიფათო გახდება. ივანი მრავალმხრივი ფეხბურთელია და შეტევაში ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. ამასთან, ხორვატი „ვოლფსბურგის“ სტილში იდეალურად ჯდება. მისი გადმობირება ჰეკინგის ყველაზე დიდი სურვილი იყო,“* - განაცხადა ალოფსმა ფეხბურთელის წარდგენისას.

კმაყოფილია თავად **ჰეკინგიც**, რომელსაც „ვოლფსბურგის“ ხელმძღვანელებმა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე დანიშვნიდან რამდენიმე დღეში პირველივე სურვილი შეუსრულეს: *„ივანს დამტკიცებული აქვს, რომ მაღალი დონის ფეხბურთელია. დარწმუნებული ვარ, პერიშიჩი ჩვენი გუნდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფეხბურთელი გახდება. ყველაზე მეტად იმიტომ მომწონს, რომ წინა ხაზზე ყველგან შეუძლია თამაში. გარემარბობაც კარგად გამოსდის, გამთამაშებლობაც და ცენტრფორვარდობაც. ჩვენი მიზანი შეტევაში პოტენციალის გაზრდა იყო და ფაქტია, რომ პერიშიჩის ტრანსფერით ამ მიზანს მივაღწიეთ.“*

ივანი მართლაც მრავალმხრივი ფეხბურთელია, მაგრამ ჰეკინგს ხორვატი პირველ რიგში მარცხენა შემტევი ნახევარმცველის პოზიციაზე სჭირდება, სადაც პერიშიჩის თანამემამულე, გამოცდილი **ივიცა ოლიჩი** იმედებს ვერ ამართლებს. დიდი შანსია, რომ ივანი „ვოლფსბურგში“ ხშირად მარჯვენა გარემარბის პოზიციაზეც ვნახოთ ხოლმე, ცენტრფორვარდად კი ალბათ იშვიათად გამოიყენებენ, რადგან ამ პოზიციაზე ჰეკინგს **ბას დოსტის** სახით ბრწყინვალე გოლეადორი ჰყავს.

ივან პერიშიჩს, რომელიც „ბრიუგედან“ „დორტმუნდში“ 2011 წელს, ბელგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირის რანგში გადავიდა, გერმანიის ჩემპიონთან კონტრაქტი 2016 წლამდე ჰქონდა გაფორმებული. მან „ბორუსიაში“ ადგილი ვერ დაიმკვიდრა - სეზონის პირველ ნახევარში 14 მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან მხოლოდ ორ შეხვედრაში ითამაშა შეუცვლელად. დორტმუნდელთა თავკაც **იურგენ კლოპს** ის მოედანზე უმეტესად მეორე ტაიმში გაჰყავდა. *„რომ არა თვითონ ფეხბურთელის თხოვნა, ჩვენ მას არ გავუშვებდით,“* - ეს დორტმუნდელთა გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატცკეს** სიტყვებია.

ახლა კი ივანის კარიერაში ახალი ეპოქა იწყება: *„დორტმუნდში შესანიშნავი ატმოსფეროა, მაგრამ ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფეხბურთის თამაშია. მიხარია, რომ „ვოლფსბურგში“ გადმოვედი, ამ გუნდისთვის თავს არ დავზოგავ,“* - განაცხადა 23 წლის ხორვატმა, რომელიც „მგლებში“ 9-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „ვოლფსბურგმა“ „დორტმუნდს“ 8 მილიონი ევრო გადაუხადა. შეგახსენებთ, რომ „ბორუსიამ“ პერიშიჩი 2011 წელს „ბრიუგედან“ 5.5 მილიონად იყიდა...

**გოტფრიდ ლენცი**

დორტმუნდი

# რემი ბორუსიაში?

### ბენდერმა და სუბოტიჩმა კონტრაქტები გააგრძელეს



ლოიკ რემი შეიძლება დორტმუნდში გადავიდეს



ნევენ სუბოტიჩი და სვენ ბენდერი

კითხვაზე, შეიძენს თუ არა დორტმუნდის „ბორუსია“ ზამთრის სატრანსფერო პერიოდში ახალ ფეხბურთელებს, გერმანიის ჩემპიონის მენეჯერმა **მიხაელ ცორკმა** ამას წინათ ასე უპასუხა: *„კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, რალაც-რალაცებზე კი ნამდვილად ვფიქრობთ. დიდი შანსია, რომ ჩვენი ქომაგები გავაოცოთ.“*

ფრანგული „ეკიპის“ ცნობით, „ბორუსია“ მარსელის „ოლიმპიკის“ თავდამსხმელ **ლოიკ რემის** ტრანსფერზე მუშაობს. 26 წლის ფორვარდის ფასი 19 მილიონი ევროა და ცნობილია, რომ დორტმუნდელებს ახლა ფული არ უჭირთ. თანაც, **ივან პერიშიჩის** „ვოლფსბურგში“ გაყიდვით „ბორუსიამ“ 8 მილიონი ევრო აიღო. რემი დორტმუნდელებს მართლაც სჭირდებათ, რადგან **რობერტ ლევანდოვსკის** ბედი გაურკვეველია. მეტიც: საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ პოლონელი „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადავა. რობერტი „ბორუსიას“ რიგებში ერთადერთი მაღალი კლასის ცენტრფორვარდია.

ამასობაში, დორტმუნდელებმა **სვენ ბენდერს** და **ნევენ სუბოტიჩს** ახალი კონტრაქტები გაუფორმეს. სერბმა მცველმა გერმანიის ჩემპიონთან ხელშეკრულება 2016 წლამდე გააგრძელა (წინა კონტრაქტს ვადა 2014 წლამდე ჰქონდა), საყრდენმა ნახევარმცველმა ბენდერმა კი - 2017 წლამდე. ხელფასი ორივე ფეხბურთელს გაეზარდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აინტრახტი: წავა იუნგი?

ფრანკფურტის „აინტრახტის“ მარჯვენა მცველი **სებასტიან იუნგი** ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი უმთავრესი აღმოჩენაა და ლოგიკურია, რომ ბევრი მთხოვნელი გამოუჩნდა. „კიკერის“ ინფორმაციით, 22 წლის ნიჭიერ ფეხბურთელს, „შტუტგარტისა“ და „ვოლფსბურგის“ შემდეგ, „შალკემაც“ დაუმიზნა. იუნგის კონტრაქტში ჩადებულია პუნქტი, რომლის მიხედვითაც მას „აინტრახტიდან“ წასვლა ზაფხულში 2.5 მილიონად შეუძლია და გელზენკირხენელებს ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ უნდათ. „შალკეს“ დაცვის მარჯვენა ფლანგზე იუნგის დარი ფეხბურთელი მართლაც ძალიან სჭირდება, რადგან **აცუტო უჩიდა** მოლოდინს ვერ ამართლებს.

## ზამერი: მეტი გერმანელი ბაიერნში!

მიუნხენის „ბაიერნის“ სპორტულმა დირექტორმა **მათიას ზამერმა** „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამიერიდან რეკორდმაისტერისთვის პრიორიტეტი გერმანელი ფეხბურთელების შეძენა იქნება.

*„გერმანულმა ფეხბურთმა ბოლო წლებში უდიდესი პროგრესი განიცადა, წამოვიდა უამრავი ტალანტი და ვფიქრობ, ამ პროცესს „ბაიერნმაც“ ხელი უნდა შეუწყოს. როდესაც სატრანსფერო ბაზარზე გავაქტიურდებით, პრიორიტეტს გერმანელ მოთამაშეებს მივანიჭებთ,“* - აღნიშნა ზამერმა.

## შტუტგარტი: ჰაინალის და გენტნერის ახალი კონტრაქტები

„შტუტგარტმა“ ნახევარმცველებს, **ტამაშ ჰაინალს** და **კრისტიან გენტნერს** ახალი კონტრაქტები გაუფორმა. გამოცდილმა უნგრელმა ნახევარმცველმა ხელშეკრულება ერთი წლით გაახანგრძლივა და შვაბენლანდურ კლუბში 2014 წლის ზაფხულამდე დარჩება, გენტნერის ახალი კონტრაქტი კი 2016 წლამდე მოქმედებს. ამასთან, 27 წლის გენტნერის ხელშეკრულებაში „პლუს ერთი წლის“ პუნქტი ჩაიდო.

## ჰოფენჰაიმმა პერუელი იყიდა

„ჰოფენჰაიმმა“ „სპორტინგ კრისტალ ლიმადან“ პერუს ნაკრების ფეხბურთელი **ლუის ადვინკულა** გადაიბირა. 22 წლის პერუელი ფლანგის მოთამაშეა და შეუძლია როგორც მარცხენა და მარჯვენა მცველად, ასევე მარცხენა და მარჯვენა გარემარბად თამაშიც. ადვინკულამ „ჰოფესთან“ კონტრაქტი 2016 წლამდე გააფორმა. სატრანსფერო თანხა გასაიდუმლოებულია.

## მიშიმოვიჩი ჩინეთში წავიდა

30 წლის ბოსნიელმა გამთამაშებელმა **ზვიეზდან მიშიმოვიჩმა** მოსკოვის „დინამო“ დატოვა და მომდევნო სამ წელს ჩინურ „გუიჟოუ მოუტაიში“ გაატარებს. რუსული პრესის ცნობით, ჩინელებმა მოსკოვურ კლუბს 3.5 მილიონი ევრო გადაუხადეს. მიშიმოვიჩი საფეხბურთო სამყარომ ბუნდესლიგიდან გაიცნო - თამაშობდა „ბაიერნში“, „ბოხუმში“, „ნიურნბრგსა“ და ვოლფსბურგში. გერმანიის ჩემპიონატის 157 მატჩში მან 37 გოლი გაიტანა. 2010 წელს ზვიეზდანი „გალათასარაიში“ გადავიდა, სადაც ერთი წელი დაჰყო, მერე კი მოსკოვის „დინამოში“ აღმოჩნდა.

## მერკელი უდინეზეში გადავიდა

გერმანელმა ნახევარმცველმა **ალექსანდერ მერკელმა** „ჯენოა“ დატოვა და კარიერას „უდინეზეში“ გააგრძელებს. 20 წლის მერკელმა უდინურ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მასთან ერთად, „უდინეზემ“ განელი **მასაჰუდუ ალჰასანიც** გადაიბირა. სატრანსფერო თანხა არ გახმაურებულა.

**გოტფრიდ ლენცი**

## ლეო ატლეტიკოში გადადის

„ატლეტიკომ“ თვალი ბრაზიელ ტალანტს, **ლეო ბაპტიშტაო კარილიოს** დაადგა. „მარკა“ იუწყება, რომ მალე მადრიდულ გუნდებს შორის ტრანსფერი განხორციელდება.

20 წლის ბრაზილიელი ლა ლიგის ნამდვილი აღმოჩენაა, ის 16 წლის ასაკში გადავიდა „რაიო ვალეკანოში“ „პორტუგეზა სანტისტადან“. 16 მატჩში ლეომ, როგორც მას თანაგუნდელები ეძახიან, 6 გოლი გაიტანა და 4 საგოლე პასი გააკეთა.

შესაძლოა, მომავალში ლეომ ესპანეთის ნაკრებში ითამაშოს, რადგან სულ მალე ამ ქვეყნის მოქალაქე გახდება.



ლეო კარილიო

## პერეირა სევილიაში მიდის

„სევილიაში“ შესაძლოა, „მალიორკას“ 25 წლის ფრანგი უნივერსალი **მიშელ პერეირა** ვიხილოთ. ამ ფეხბურთელს ერთნაირი წარმატებით შეუძლია შუა ხაზში და შეტევაში თამაში. ის ბალეარის კუნძულებზე 2009 წლიდან თამაშობს და „მალიორკას“ კონტრაქტით 2014 წლამდე ეკუთვნის. ამ სეზონში პერეირამ 14 მატჩში 1 გოლი გაიტანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

● იტალია. სერია A. XIX ტური

# ნაპოლის უპირატესობა: კავანი!

## ბებერი ქალბატონის მწარე დაცემა

**სერია A-ს მიმდინარე გათამაშება ძალიან საინტერესოდ, სენსაციური შედეგებით განახლდა. მთავარი მაინც მოქმედი ჩემპიონის და ლიდერის, "იუვენტუსის" საშინაო მარცხია და თანაც, მაშინ, როდესაც ტურინელებმა შეხვედრის დიდი ნაწილი რიცხობრივ უმრავლესობაში წარმართეს. სეზონის აღმოჩენად მიჩნეულმა "ფიორენტინამ" დებიუტანტ "პესკარას" უმასპინძლა და ყველასათვის მოულოდნელად, ორი უპასუხო ბურთი მიიღო. "ინტერის" წაგება არავის უკვირს, თანაც გასვლაზე, მაგრამ გამანადგურებელი ანგარიშით? – ამ ყველაფერზე ქვემოთ ვისაუბრებთ...**

### კონტე: მარსიდან არ ჩამოვსულვართ

"იუვენტუსი" საკუთარ კედლებში "სამპდორიას" ეპაექრა და ყველასათვის მოულოდნელად, მარცხი იწვნია - 1:2. კიდევ უფრო გასაკვირია ის, რომ გენუელებმა თამაში სათავისოდ მას შემდეგ შეატრიალეს, რაც კაცნაკლულნი დარჩნენ. ჯერ კიდევ პირველ ტაიმში, მოედნიდან **გაეტინო ბერარდი** გააძევეს, **სებასტიან ჯოვინკომ** თერთმეტმეტრიანი გოლად აქცია და თითქოს იქ დასრულდა ყველაფერი... თუმცა მეორე ნახევარში გენუელებმა პატარა სასწაული მოახდინეს, **ჯანლუიჯი ბუფონს** ორჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდან და სახლში სამი ქულით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ. უნდა აღინიშნოს ბუფონის შეცდომებიც – ჯიჯიმ ჯერ არცთუ ძლიერად დარტყმული ბურთი ვერ შეიმაგრა და კარში შეუვარდა, შემდეგ კი ფორვარდს ახლო კუთხეში გაატანინა. ეს ფორვარდი **მაურო იკარდი** გახლავთ, რომელმაც დუბლი მიითვალა აქტივში. ნამატჩევს, **ანტონიო კონტემ** შემდეგი განაცხადა:

*"ქებათა ქება მეტოქეს, შესანიშნავად ითამაშეს და მართალია, ცოტა გაუმართლათ, მთლიანობაში დამსახურებულად გაიმარჯვეს. კარგად უნდა გავაანალიზოთ ეს შეხვედრა და სწორი დასკვნები გამოვიტანოთ. თამაშის დიდ ნაწილს ჩვენ ვაკონტროლებდით, შემდეგ კი რაღაც დაგვემართა და ორი გოლი გავუშვით. ჩვენც ადამიანები ვართ, მარსიდან არ ჩამოვსულვართ და ყველა შეხვედრას ერთნაირად მაღალ დონეზე ვერ ჩავატარებთ".*

### ლაციოს ტური

გასული ტური ყველაზე წარმატებული მაინც "ლაციოსთვის" გამოდგა, რომელმაც "კალიარის" უმასპინძლა და მეტოქე მინიმალური ანგარიშით დაამარცხა - 2:1. "იუვენტუსის", "ფიორენტინას" და თუნდაც "ინტერის" წაფორხილების ფონზე, რომაელთა გამარჯვებას განსაკუთრებული ფასი აქვს და ეს სატურნირო ცხრილზეც შესაბამისად აისახა. "ლაციო" მეორე ადგილზეა, ლიდერთან მხოლოდ ხუთი ქულა აშორებს და სამეულშიც მყარად აქვს ფეხი მოკიდებული.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ კონკრეტულად "კალიარისთან" შეხვედრა რომაელებმა მეტად მძიმედ წარმართეს და თავისუფლად შეეძლოთ არათუ ორი ქულა დაეკარგათ, სულაც წაეგოთ. თითქმის მთელი შეხვედრის განმავლობაში, მასპინძლები უხეიროდ დასტრიალებდნენ სარდინიელთა საჯარიმოს და თითქოს გამოსავალიც არსად ჩანდა... ამასთან, მეორე ტაიმის შუაში სტუმრებმა გოლი შეაგდეს და "ლაციოს" მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. **ვლადიმირ პეტკოვიჩმა** მეორე ფორვარდი, **სერჯო ფლოკარი** შეუშვა მოედანზე და იმ წუთიდან დედაქალაქელთა იერიშებმა მეტი სიმწვავე მიიღეს. მართალია, თავად სერჯოს ბევრი არაფერი გაუკეთებია, მაგრამ ტაქტიკურმა ცვლილებამ სარდინიელთა უკანა ხაზში გარკვეული დისონანსი შეიტანა. შედეგად, მასპინძლებმა ჯერ კუთხურიდან იხეირეს, როდესაც **აბდულაი კონკომ** დააგვირგვინა **ჯუზეპე ბიავას** აკრობატულ ნახტომში გაკეთებული გადაცემა, შემდეგ კი **მიროსლავ კლოზეს** მოპოვებული თერთმეტმეტრიანი **ანტონიო კანდრევამ** გოლად აქცია. პენალტი საეჭვო იყო და ამაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება.

"ლაციო" მეორე ადგილზეა, ლიდერთან არც ისე შორსაა და ამ ლოგიკით, სულაც სკუდეტოსთვის იბრძვის... მაგრამ, თუ "კალიარისთან" ნაჩვენები თამაშით ვიმსჯელებთ, რომაელებს გაუჭირდებათ პოზიციების დიდხანს შენარჩუნება. თუმცა, "ლაციოს" უკეთესად თამაში რომ შეუძლია, ეს ცხადზე უცხადესია.

### ორი მოულოდნელი ფიასკო

"ფიორენტინამ" და "ინტერმა" გულშემატკივრებს უსიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს – მილანური გრანდი უდინეში შერცხვა, ფლორენციელებმა კი საკუთარ კედლებში "პესკარას" ვერაფერი დააკლეს.

მოკლედ ვთქვათ, რომ "ვიოლამ" სრული უპირატესობით წარმართა "დელფინებთან" შეხვედრა, მაგრამ ეს ის შემთხვევა გახლდათ, როდესაც ბურთი არ შედის კარში. რაც შეეხება "ინტერს", **ანდრეა სტრამაჩონიმ** ისევ მიმართა ექსპერიმენტებს: კიდევ ერხელ დაწია დაცვის ცენტრში **ესტებან კამბიასო**, შუა ხაზი ისევ **გარგანოს, პერეირას, გუარინს, ჟონატანს** ჩააბარა და შედეგიც შესაბამისი მიიღო – უდინელებმა მეორე ტაიმში სამი მარტივი კომბინაცია გაუთამაშეს მილანელებს და გამანადგურებელი ანგარიში დააფიქსირეს - 3:0. აღსანიშნავია, რომ ორი გოლი **ანტონიო დი ნატალემ**, ხოლო ერთი **ლუის მურიელმა** გაიტანა. ტოტოს და ლუისის ტანდემს უდინელი ტიფოზები სეზონის სტარტიდან ელოდებიან, მაგრამ ძირითადად სამხრეთამერიკელი ტრავმირებული იყო.



შეუჩერებელი ედინსონ კავანი

ნამატჩევს, "ინტერის" მესაჭე ანდრეა სტრამაჩონი უხასიათოდ იყო, ბევრი არ ულაპარაკია და ერთი გაიკვირვა, ასეთი ანგარიშით რამ წაგვაგებინაო. აქვე ვთქვათ, რომ "ფიორენტინას" მთავარმა მწვრთნელმა **ვინჩენცო მონტელამ** შეაქო შეგირდები და დაამატა, უბრალოდ ჩვენი დღე არ იყოო.

### ედინსონის შოუ

როგორც მოსალოდნელი იყო, "ნაპოლი"-"რომას" პაექრობა საინტერესო სანახავი გამოდგა. სტუმრებს სულაც არ უთამაშიათ ცუდად, რაც სტატისტიკიდანაც ჩანს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამანადგურებელი ანგარიშით წააგეს. ამის უმთავრესი მიზეზი **ედინსონ კავანია**, რომელმაც ჰეთთრიკი შეასრულა, გოლების რაოდენობით **სტეფან ელ შაარავის** გადაასწრო და ბომბარდირთა დავას სათავეში ჩაუდგა. მთლიანობაში, ეს იყო ორი ძალიან კარგი გუნდის ჯახი, რომელთაგან ერთს მეტი სტაბილურობა სჭირდება, ხოლო მეორეს, საჩემპიონო ხასიათი - თუ რომელს რომელი, თავად განსაჯეთ...

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

#### მომდევნო ტური

**12 იანვარი: ბოლონია-კიევო, ინტერი-პესკარა.**

**13 იანვარი: ტორინო-სიენა, კატანია-რომა, ლაციო-ატალანტა, ნაპოლი-პალერმო, უდინეზე-ფიორენტინა, კალიარი-ჯენოა, პარმა-იუვენტუსი, სამპდორია-მილანი.**

#### კატანია–ტორინო 0:0

**კატანია (4-3-3):** ანდუხარი – ბელუში, ლეგროტალიე, სპოლი, მარკეზე – ისკო, ლოდი, ალმირონი (81. სალიფუ) – ბარიენტოსი (90. კაპუანო), ბერგესიო (67. კასტრო), გომესი.

**ტორინო (4-4-2):** ჟილე – დარმიანი, გლიკი, როდრიგესი, მაზიელო – ვივესი, გაცი (68. ბირსა), ბაშა, მეჯორინი (75. სანსონე) – ჩერჩი (81. ვერდი), ბიანკი.

**გაფრთხილება:** ლეგროტალიე, ბარიენტოსი – დარმიანი, გლიკი, მაზიელო, გაცი, ვივესი.

**გაძევება:** ლოდი (13. კატანია).

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 23-15; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 11-8(6-2); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 000

#### ლაციო–კალიარი 2:1

**გოლები:** 0:1 საუ (62), 1:1 კონკო (79), 2:1 კანდრევა (86-პენ.).

**ლაციო (4-5-1):** მარკეტი – კონკო, ბიავა, დიასი (74. სიანი), რადუ – ლულიჩი, ერნანესი, ლედესმა (74. ფლოკარი), გონსალესი (61. კანდრევა), მაური – კლოზე.

**კალიარი (4-3-1-2):** აგაცი – პერიკო, დელფაბრო, როსეტინი, აველარი – დესენა (56. კოსუ), კონტი, ეკდალი – ნაინგოლანი – იბარბო (86. ავრამოვი), საუ (75. ნენე).

**გაფრთხილება:** დიასი (ლაციო).

**გაძევება:** აგაცი (84. კალიარი), კოსუ (84. კალიარი).

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 16-6(8-4); **ბურთის ფლობა:** 59%-41%.

**მაყურებელი:** 45 000

#### უდინეზე–ინტერი 3:0

**გოლები:** 1:0 დი ნატალე (62), 2:0 მურიელი (75), 3:0 დი ნატალე (79).

**უდინეზე (3-5-1-1):** ბრკიჩი – ერუ, დანილო, დომიცი – ბასტა, პერეირა, ალანი, ლაძარი, პასკუალე – მურიელი (81. მაიკოსუელი), დი ნატალე (88. ვილიანსი).

**ინტერი (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – სამუელი, კამბიასო, ჟუან ჟესუსი – ჟონათანი (78. როკი), ძანეტი, გარგანო (74. დანკანი), გუარინი, პერეირა – კასანო (82. სილვესტრი), პალასიო.

**გაფრთხილება:** დანილო, ალანი, მაიკოსუელი – პერეირა, პალასიო.

**გაძევება:** ჟუან ჟესუსი (65. ინტერი).

**კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 8-7; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 6-3(3-1); **ბურთის ფლობა:** 40%-60%.

**მაყურებელი:** 25 000

#### მილანი–სიენა 2:1

**გოლები:** 1:0 ბოიანი (67), 2:0 პაცინი (80-პენ.), 2:1 პაოლუჩი (87).

**მილანი (4-4-2):** აბიატი – აბატე, დე შილიო, აჩერბი, კონსტანტი (63. ანტონინი) - მონტოლივო, ამბროზინი, ნოჩერინო (55. ბოიანი), ბოატენგი - ელ შაარავი, პაცინი.

**სიენა (4-4-2):** პეგოლო – ნეტო, პაჩი, ფელიპე, ანჯელო – დაგოსტინო (70. ბოლცონი), დელ გროსო, ვერგასოლა, ვალიანი (80. პაოლუჩი) – როზინა (58. რეჯინალდო), ბოგდანი.

**გაფრთხილება:** ამბროზინი, პაცინი – ნეტო, ფელიპე, ანჯელო, ვერგასოლა, დელ გროსო.

**კუთხური:** 5-3; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 3-0; **კარში დარტყმა:** 8-4(3-3); **ბურთის ფლობა:** 60%-40%.

**მაყურებელი:** 50 000

#### კიევო–ატალანტა 1:0

**გოლი:** 1:0 კოფიე (37).

**კიევო (4-3-3):** სორენტინო - სარდო, დაინელი, ანდრეოლი, იოკიჩი - გუანა, ლ. რიგონი, კოფიე – სტოიანი (84. დი მიკელე), თერეუ (90. მ. რიგონი), ლუსიანო (62. ცეზარი).

**ატალანტა (4-4-2):** კონსილი – ბელინი (42. სკელოტო), სტენდარდო, ფრეი, ბრივიო - რაიმონდი, ბიონდინი (46. ჩიგარინი), რადოვანოვიჩი, ბონავენტურა – დე ლუკა (66. პარა), დენისი.

**გაფრთხილება:** დაინელი – ბრივიო, რაიმონდი, ბიონდინი.

**კუთხური:** 4-7; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 2-1; **კარში დარტყმა:** 7-4(2-3); **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 9 000

#### ფიორენტინა–პესკარა 0:2

**გოლები:** 0:1 ჯონატასი (57), 0:2 სელიკი (90).

**ფიორენტინა (3-5-2):** ნეტო – რონკალია, ტომოვიჩი, სავიჩი – კუადრადო, აკვილანი, პისარო (66. ფერნანდესი), ბორხა ვალერო, პასკუალი (78. სეფეროვიჩი) – იოვეტიჩი, ტონი (60. ლიაიჩი).

**პესკარა (4-3-1-2):** პერინი – ბალცანო, ტერლიცი, კაპუანო, მოდესტო – ნიელსენი, ტონი (71. კოლუჩი), ბარნასონი – ვეისი (83. ბოკეტი) – ჯონატასი (85. აბრუსკატო), სელიკი.

**გაფრთხილება:** ბორხა ვალერო – ტერლიცი, მოდესტო, ტონი, ჯონატასი, სელიკი.

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 21-14; **თამაშგარე:** 4-2; **კარში დარტყმა:** 19-4(15-3); **ბურთის ფლობა:** 70%-30%.

**მაყურებელი:** 28 000

#### ჯენოა–ბოლონია 2:0

**გოლები:** 1:0 ბორიელო (57), 2:0 ბორიელო (73).

**ჯენოა (4-4-2):** ფრეი – პიზანო, კანინი, გრანკვისტი, ანტონელი – კუჩკა, მატუზალემი (60. სეიმური), როსი, ვარგასი (46. მორეტი) – იმობილე (80. ფლორო ფლორესი), ბორიელო.

**ბოლონია (4-2-3-1):** აგლიარდი – გარიჩი, პორტანოვა, სორენსენი, კერუბინი – გუარენტე, კრხინი (60. დიამანტი) - ტაიდერი, პასკუატო (77. აკვაფრესკა), კონე (39. მორლეო) - ჯილარდინო.

**გაფრთხილება:** პიზანო, ანტონელი, იმობილე – პორტანოვა, კრხინი, კონე, მორლეო.

**კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 10-16; **თამაშგარე:** 1-10; **კარში დარტყმა:** 9-6(4-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 20 000

#### იუვენტუსი–სამპდორია 1:2

**გოლები:** 1:0 ჯოვინკო (24-პენ.), 1:1 იკარდი (52), 1:2 იკარდი (69).

**იუვენტუსი (3-5-2):** ბუფონი – ბარცალი, ბონუჩი, პელუზო – პადოინი, პოგბა (71. ჯაკერინი), პირლო, მარკიზიო, დე ჩელიე (62. ვუჩინიჩი) – ჯოვინკო, მატრი (71. კვალიარელა).

**სამპდორია (3-5-2):** რომერო – ბერარდი, გასტალდელო, კოსტა – პალომბო, კრსტიჩიჩი (80. ტისონე), ობიანგი, პოლი, ესტიგარიბია (46. დე სილვესტრი) – ედერი (76. მუნარი), იკარდი.

**გაფრთხილება:** ბონუჩი, პელუზო, პოგბა, პირლო – რომერო, კრსტიჩიჩი, პოლი, იკარდი.

**გაძევება:** ბერარდი (32. სამპდორია).

**კუთხური:** 14-3; **ჯარიმა:** 12-13; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 15-6(7-4); **ბურთის ფლობა:** 71%-29%.

**მაყურებელი:** 38 000

#### პარმა–პალერმო 2:1

**გოლები:** 1:0 ბელფოდილი (63), 1:1 ბუდანი (85), 2:1 ამაური (90).

**პარმა (4-3-3):** მირანტე – ბენალოუანე (56. სანტაკროჩე), ლუკარელი, პალეტა, გობი - მარკიონი, მუსაჩი (56. ასკუა), პაროლო - ბიაბიანი, სანსონე (77. ამაური), ბელფოდილი.

**პალერმო (4-3-2-1):** ბენუსი – ფონ ბერგენი, გარსია, არონიკა, მორგანელა - ბარეტო, კურტიჩი (80. მალელე), სანსევერინო (68. ანსელიმო) – ილიჩიჩი, დიბალა (84. ბუდანი) - ბრიენცა.

**გაფრთხილება:** ბენალოუანე, ლუკარელი, პაროლო – არონიკა, ილიჩიჩი, დიბალა.

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 8-18; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8-14(4-6); **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 14 000

#### ნაპოლი–რომა 4:1

**გოლები:** 1:0 კავანი (4), 2:0 კავანი (48), 3:0 კავანი (70), 3:1 ოსვალდო (72), 4:1 მაჯო (90).

**ნაპოლი (3-4-1-2):** დე სანქტისი – გამბერინი, კამპანიარო, ბრიტოსი – მაჯო, ბერამი, ინლერი (65. ჯემაილი), ცუნიგა – ჰამშიკი (88. ინსინიე) – პანდევი (81. მესტო), კავანი.

**რომა (4-3-3):** გოიკოეჩეა – პირისი (82. ფლორენცი), ბურდისო, კასტანი, ბალცარეტი – ბრედლი, პიანიჩი, დე როსი – ლამელა, დესტრო (62. ოსვალდო), ტოტი.

**გაფრთხილება:** დე სანქტისი, კამპანიარი, მაჯო - ტოტი.

**გაძევება:** პიანიჩი (74. რომა).

**კუთხური:** 7-10; **ჯარიმა:** 12-17; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 7-19(6-8); **ბურთის ფლობა:** 35%-65%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იუვენტუსი | 19 | 14 | 2 | 3 | 40-13 | 44 |
| 2. ლაციო | 19 | 12 | 3 | 4 | 27-18 | 39 |
| 3. ნაპოლი | 19 | 12 | 3 | 4 | 37-18 | 37 |
| 4. ფიორენტინა | 19 | 10 | 5 | 4 | 36-21 | 35 |
| 5. ინტერი | 19 | 11 | 2 | 6 | 30-22 | 35 |
| 6. რომა | 19 | 10 | 2 | 7 | 42-33 | 32 |
| 7. მილანი | 19 | 9 | 3 | 7 | 36-27 | 30 |
| 8. პარმა | 19 | 8 | 5 | 6 | 27-25 | 29 |
| 9. უდინეზე | 19 | 6 | 9 | 4 | 29-26 | 27 |
| 10. კატანია | 19 | 7 | 5 | 7 | 26-27 | 26 |
| 11. კიევო | 19 | 7 | 3 | 9 | 21-29 | 24 |
| 12. ატალანტა | 19 | 7 | 3 | 9 | 18-28 | 22 |
| 13. ტორინო | 19 | 4 | 9 | 6 | 20-22 | 20 |
| 14. სამპდორია | 19 | 6 | 3 | 10 | 22-28 | 20 |
| 15. პესკარა | 19 | 6 | 2 | 11 | 17-35 | 20 |
| 16. ბოლონია | 19 | 5 | 3 | 11 | 21-26 | 18 |
| 17. ჯენოა | 19 | 4 | 5 | 10 | 20-29 | 17 |
| 18. კალიარი | 19 | 4 | 4 | 11 | 17-35 | 16 |
| 19. პალერმო | 19 | 3 | 6 | 10 | 16-29 | 15 |
| 20. სიენა | 19 | 4 | 5 | 10 | 17-28 | 11 |

*შენიშვნა*: სიენა - 6 ქულა, ნაპოლი – 2, ატალანტა – 2, სამპდორია – 1, ტორინო – 1.

**ბომბარდირები**: 16 - კავანი (ნაპოლი); 14 – ელ შაარავი (მილანი); 12 – დი ნატალე (უდინეზე); 10 - კლოზე (ლაციო), ლამელა (რომა), ოსვალდო (რომა); 8 - მილიტო (ინტერი), იოვეტიჩი (ფიორენტინა), პაცინი (მილანი).

#### სერია C1/A

**კარპი-ტრაპანი 1:3, კრემონეზე-ლეჩე 1:1, კუნეო-ტრევიზო 0:0, ენტელა-ტრიტიუმი 2:0, ფერალპიზალო-პავია 0:3, ლუმეცანე-რეჯანა 2:0, სან მარინო-კომო 3:0, სუდტიროლი-ალბინოლეფე 1:1.**

#### სერია C1/B

**ანდრია-ნოჩერინა 0:1, ბარლეტა-კატანძარო 0:1, ბენევენტო-პერუჯა 0:1, კარარეზე-ფროზინონე 0:1, გუბიო-სორენტო 1:2, პაგანეზე-ვიარეჯო 1:1, პრატო-აველინო 0:3, ლატინა-პიზა 1:0.**

ესპანეთი. ლა ლიგა. XVIII ტური

# ტიტო ბედს ებრძვის, ჟოზე კი ეთამაშება

## სამაგიეროდ ბარსა თამაშობს, რეალი კი იბრძვის

**„ბარსელონა" და „რეალი" ყოველ ტურში იმდენ საინტერესოს გვთავაზობენ, რომ აღარ ვიცით რით დავიწყოთ: კატალონიური დერბით, სადაც ტიტო ვილანოვამ, შესაძლოა, კარიერის უდიდესი გამარჯვება მოიპოვა, თუ იმ საოცარი 90 წუთით, რომელიც თავს „სანტიაგო ბერნაბეუს" გადახდა.**

**XVIIII ტური უკვე ლა ლიგის ისტორიაა - ტური, რომელშიც ლიდერმა „ბარსელონამ" უახლოეს მდევართან უპირატესობა 11 ქულამდე გაზარდა! ტური, რომელშიც კიდევ ერთი და უფრო მძაფრი საგა ვიხილეთ იკერ კასილიასზე და მის დუბლიორ ანტონიო ადანზე...**

### იკერ-ადანიადა გრძელდება

ამ პიესას თუ თრილერს რამდენიმე გმირი თუ ანტიგმირი ჰყავდა. ყველაფრის „შემოქმედი" კი **ჟოზე მოურინიო** იყო, რომელსაც თავისუფლად შეიძლება ენოდოს ანტიგმირიც. მან კიდევ ერთხელ დასვა სკამზე 2012 წლის პლანეტის საუკეთესო მეკარე **იკერ კასილიასი,** კარში კი ისევ **ანტონიო ადანი** ჩააყენა! „რეალი" უკვე იგებდა (**ბენზემას** გოლით), როცა მე-6 წუთზე „კვანძი გაიხსნა", 25 წლის ადანმა სასტიკად მოცელა მეტოქე და წითელი ბარათი დაიმსახურა. მოურინიოს არ უნდოდა, მაგრამ განგება სხვა აზრზე იყო - მოედანზე იკერი გავიდა და... **ჩაბი პრიეტოს** პენალტი ვერ აიღო.

შემდეგ იყო **ხედირას** მიერ ქუსლით გატანილი გოლი და ჩაბი პრიეტოს კიდევ ერთი პასუხი. მოედანზე სრული ქაოსი იყო, რომელიც **კრიშტიანო რონალდომ** დაალაგა და ჟოზე მორიგი განსაცდელისგან იხსნა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, მისი მეორე გოლი საჯარიმო დარტყმით - ნამდვილი შედევრი. ბოლოს კი 29 წლის ჩაბი პრიეტომ ჰეთთრიკი შეასრულა „სამეფო კლუბის" კარში.

კიდევ ორ დეტალს აღვნიშნავთ ამ თამაშიდან: ჟოზე მოურინიოს უსტვინეს, კასილიასს კი ოვაციებით შეხვდნენ, მაგრამ უსტვინეს ადანსაც. და მეორე, მოედანზე გასულ კასილიასს რონალდომ კაპიტნის სამკლავური შესთავაზა, მაგრამ იკერმა იუარა.

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„ვერ გამიგია, რას ერჩიან ადანს. მისი დაყენება ჩემი გადაწყვეტილება იყო. მე ვილევ ისეთ სიტუაციას, როცა ფანები მხარს არ მიჭერენ, მაგრამ გუნდს არაფერს აკლებენ. ვილევ კი არა, ძალიანაც მაწყობს. აი, ფეხბურთელებზე ზეწოლა დაუშვებელია".*

**ფილიპ მონტანიე** (რეალ სოსიედადი): *„სანტიაგო ბერნაბეუზე" მოგების უნიკალური შანსი გავუშვით ხელიდან".*

### ნახევარ საათში მომთავრებული

ზემოთ **ტიტო ვილანოვას** დიდ გამარჯვებაზე ვწერდით. ბუნებრივია, „ესპანიოლისთვის" ნახევარ საათში ხელის მომთავრება არ გვიგულისხმია - 44 წლის სპეციალისტმა ყელ-ყურის სიმსივნეზე ხელახალი ოპერაციიდან 17 დღის გასვლის შემდეგ გუნდს ჩვეულად უთავკაცა!

**პედრომ** დუბლი შეასრულა, თითო გოლი კი **ჩავიმ** და **მესიმ** (პენალტით) გაუტანეს „ესპანიოლის" მეკარე **კასილიას.**

**ტიტო ვილანოვა** (ბარსელონა): *„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ კლუბი თავისი დამოკიდებულებით მიცავს მე. ამიტომ აქეთ მაქვს მადლობა გადასახდელი მისთვის".*

**ხავიერ აგირე** (ესპანიოლი): *„ბარსა" ყველა გუნდზე მაღლა დგას მსოფლიოში. მასთან ბრძოლა შეუძლებელია".*

### მოგება მეფის დღეობაზე

„გრანოტამ" ნებისყოფის სიმტკიცე გამოიჩინა და 0:1 შემოატრიალა, თუმცა ამაში ახალგაზრდა ბილბაოელი მცველის, **აიმერიკ ლაპორტეს** გაძევებაც დაეხმარა.

**ხუან იგნასიო მარტინესი** (ლევანტე): *„ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ გუნდმა შეძლო თამაშის ბედის შემოტრიალება და გამარჯვება ასეთ მნიშვნელოვან, ქვეყნის მეფის დაბადების დღეს. 30 ქულა გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება - აღარ გავვარდებით".*

**მარსელო ბიელსა** (ბილბაო): *„მინდა თამამად ვთქვა, რომ „ლევანტემ" ისე კარგად ვერ ითამაშა, როგორც სჩვევია, თუმცა ჩემს გუნდს მაინც დამსახურებულად მოუგო. გადამწყვეტი ლაპორტეს გაძევება იყო, რომელიც მანამდე საუკეთესო იყო გუნდში".*

### პასიენსიას პირველი პასიანსი

„დეპორტივომ" 8-მატჩიანი მოუგებელი სერია შეწყვიტა „მალაგას" 1:0 დამარცხებით. იღბლიანი დებიუტი ჰქონდა „დეპორის" პორტუგალიელ მწვრთნელ **დომინგუშ პასიენსიას.**

**დომინგუშ პასიენსია** (დეპორტივო): *„ვერ ვიტყვი, რომ მთლიანად ჩემი დამსახურებაა ეს მოგება. ჯერ ცოტა მოვასწარით. ბიჭებმა ნაწილი მითითებებისა კარგად გაიგეს, თუმცა სამუშაო ძალიან ბევრია. ვხედავ გზებს, რომლითაც „დეპორტივოს" თამაში უფრო წარმატებული გახდება. მე უფრო მეტი და უფრო უკეთ მსურს"*

**მანუელ პელეგრინი** (მალაგა): *„დეპორტივომ" რაღაც ბავშვური შეცდომის გამო მოგვიგო. ლა კორუნიაში თამაში ყოველთვის ძნელია, მით უმეტეს, როცა „დეპორი" ასეთ მდგომარეობაშია, ის დაჭრილი მხეცივითაა".*

### თეორიულად ყველაზე მაგარი და პრაქტიკულად...

„ვალენსიამ" სტუმრად 10-კაციანი „გრანადა" დაამარცხა, თუმცა მასპინძლები ამას მეტოქეზე მეტად მსაჯს, **უნდიანო მალენკოს** უფრო აბრალებენ.

**ხუან ანკელა** (გრანადა): *„გუნდმა ძალიან კარგად ითამაშა, მაგრამ ახლა ძალიან გვჭირდება ქულები და განაწყენებული ვარ. სამწუხაროდ, მეტოქემ სტანდარტული მდგომარეობებით გვაჯობა. მიკელ რიკო სულ ტყუილად გააძევეს. უნდიანო მალენკო თეორიულად ესპანეთის საუკეთესო მსაჯია, მას საერთაშორისო ასპარეზზე წარადგენს, პრაქტიკულად კი..."*

**ერნესტო ვალვერდე** (ვალენსია): *„ყოველთვის ვცდილობ გუნდში გამარჯვებულის სულისკვეთება შევიტანო. დღეს მე კმაყოფილი ვარ. წლის გამარჯვებით დაწყება მნიშვნელოვანია".*

### მსაჯის და ემირის წყალობით

**ემირ სპაჰიჩის** გოლით და მსაჯის შეცდომების წყალობით „სევილიამ" პამპლონის „ოსასუნა" დაამარცხა.

**მიჩელი** (სევილია): *„ჩემი ფეხბურთელების მადლობელი ვარ. შედეგები ხელს არ მიწყობს კლუბში, თუმცა ფეხბურთელების თანადგომას ყოველთვის ვგრძნობ, ეს კი დიდი პლუსია".*

**ხოსე ლუის მენდილიბარი** (ოსასუნა): *„ძალიან ადვილია მსაჯებისთვის „ოსასუნას" წინააღმდეგ „სტვენა". ეს მატჩი არც პირველი და არც უკანასკნელი შემთხვევაა".*

### დელ ბოსკეს ნათქვამის ძალა და უფალკაო ატლეტიკო

**ვისენტე დელ ბოსკემ** ამას წინათ თქვა: „სელტას" ფორვარდი **იაგო ასპასი** უნდა გავსინჯოო, ფრთაშესხმულმა ასპასმაც „ვალიადოლიდის" კარში დუბლი შეასრულა და მოედანზე საუკეთესო იყო, „სელტამ" გავარდნის ზონას თავი დააღწია.

კვირის ბოლო მატჩში კარგად გამოჩნდა, რა ძალა აქვს „ატლეტიკოს" **რადამელ ფალკაოს** გარეშე - მადრიდულმა კლუბმა ვერ შეინარჩუნა უპირატესობა და ბალეარებზე ორი ქულა დატოვა.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

**მომდევნო ტური**

11 იანვარი: **ბილბაო-რაიო ვალეკანო.**

12 იანვარი: **ვალიადოლიდი-მალიორკა, ესპანიოლი-სელტა, ოსასუნა-რეალი, ვალენსია-სევილია.**

13 იანვარი: **ბეტისი-ლევანტე, რეალ სოსიედადი-დეპორტივო, ატლეტიკო-სარაგოსა, მალაგა-ბარსელონა.**

14 იანვარი: **ხეტაფე-გრანადა.**



ტურის კულმინაცია - ანტონიო ადანის გაძევება

## პორტუგალია

**ლიგა საგრეში. XIII ტური**

**რიუ ავე-ოლანენშე 0:1**

**გოლი:** 0:1 ტარჟინო (72)

**გაძევება:** დუარტე (76. ოლანენშე), ფერნანდეში (88. ოლანენშე)

**ჟილ ვისენტე-გიმარაეში 0:0**

**სპორტინგი-ფერეირა 0:1**

**გოლი:** 0:1 ურტადო (45)

**აკადემიკა-სეტუბალი 4:2**

**გოლები:** 1:0 ს. სისე (13), 2:0 ედინიო (16), 3:0 ედინიო (28), 3:1 კრიშტიანო (68), 3:2 მეიონგი (79-პენ), 4:2 ედინიო (84)

**პორტუ-ნასიონალი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჯ. მარტინესი (24)

**მარიტიმუ-ბეირა მარი 1:1**

**გოლები:** 0:1 სერჟინიო (52), 1:1 ფიდელისი (58)

**ბრაგა-მორეირენშე 1:0**

**გოლი:** 1:0 ედერი (56)

**ეშტორილი-ბენფიკა 1:3**

**გოლები:** 0:1 გაიტანი (36), 0:2 ლიმა (59), 0:3 სალვიო (65), 1:3 გ. სანტოსი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბენფიკა | 13 | 11 | 2 | 0 | 35-9 | 35 |
| 2. პორტუ | 12 | 10 | 2 | 0 | 28-6 | 32 |
| 3. ბრაგა | 13 | 8 | 2 | 3 | 28-15 | 26 |
| 4. ფერეირა | 13 | 5 | 7 | 1 | 16-10 | 22 |
| 5. რიუ ავე | 13 | 5 | 3 | 5 | 16-17 | 18 |
| 6. გიმარაეში | 13 | 4 | 4 | 5 | 13-20 | 16 |
| 7. ეშტორილი | 13 | 4 | 3 | 6 | 19-20 | 15 |
| 8. ოლანენშე | 13 | 3 | 5 | 5 | 16-20 | 14 |
| 9. მარიტიმუ | 13 | 3 | 5 | 5 | 11-21 | 14 |
| 10. ბეირა მარი | 13 | 3 | 5 | 5 | 19-24 | 14 |
| 11. აკადემიკა | 13 | 2 | 7 | 4 | 19-22 | 13 |
| 12. სპორტინგი | 13 | 2 | 6 | 5 | 11-16 | 12 |
| 13. ჟილ ვისენტე | 13 | 2 | 6 | 5 | 12-18 | 12 |
| 14. ნასიონალი | 13 | 3 | 3 | 7 | 16-24 | 12 |
| 15. სეტუბალი | 12 | 2 | 5 | 5 | 13-24 | 11 |
| 16. მორეირენშე | 13 | 1 | 5 | 7 | 14-20 | 8 |

**ბომბარდირები:** 13 - ოსკარ კარდოსო (ბენფიკა); 11 - ჯექსონ მარტინესი (პორტუ); 10 - ალბერტ მეიონგი (სეტუბალი).

**სარაგოსა-ბეტისი 1:2**

**გოლები:** 0:1 რ. კასტრო (44), 0:2 მოლინა (58), 1:2 მონტანიესი (77)

**სარაგოსა (4-2-3-1):** რობერტო - სეპუნარუ (73. ორტი), ალვარო, ლოოვენსი, აბრაამი - მოვილია, აპონიო - ე. ორიოლი (61. სუკულინი), ვ. როდრიგესი (84. ალამო), მონტანიესი - პოშტიგა.

**ბეტისი (4-2-3-1):** ადრიანი - ჩიკა, მარიო, ამაია, ნაჩო - ბენიატი (79. რ. პერესი), კანიასი - კემპბელი, სევილია (72. პოსუელო), ნოსა (53. მოლინა) - რ. კასტრო.

**გაფრთხილება:** მოვილია, პოშტიგა, ალვარო, აბრაამი - კანიასი, ამაია, ნოსა, ბენიატი, ნაჩო

**გაძევება:** ალვარო (თამაშის მერე)

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 19-12; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 8-8 (1-6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 18 000

**ლევანტე-ბილბაო 3:1**

**გოლები:** 0:1 ადურისი (6), 1:1 ლელი (26), 2:1 იბორა (45), 3:1 ელ ჟარი (69)

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ლელი, ბალესტეროსი, დ. ნავარო, ხუანფრანი (67. კარაბელასი) - დიოპი, იბორა (81. ხუანლუ) - ელ-ჟარი, მიჩელი, რუბენ გარსია - როხერი (71. ანხელი).

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, ეკიზა, ლაპორტე, დე მარკოსი - გურპეგი, ანდერი - სუსაეტა, მუნიაინი (45. ამორებიეტა), ი. გომესი (63. ი. მარტინესი) - ადურისი (75. ფ. ლორენტე).

**გაფრთხილება:** იბორა, მიჩელი, რუბენ გარსია - ადურისი, ი. გომესი, ი. მარტინესი

**გაძევება:** ლაპორტე (43)

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 15-12; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 11-11 (6-5); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 22 000

**დეპორტივო-მალაგა 1:0**

**გოლი:** 1:0 პიცი (57)

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - მ. პაბლო, მარჩენა, ზე კაშტრო, ევალდო - ბერგანტინიოსი, აგილარი - გამა (90. აიტამი), ანდრე სანტოსი (83. კამუნიასი), პიცი - რიკი (68. ოლივეირა).

**მალაგა (4-1-4-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, მონრეალი (62. სავიოლა) - ნაჩო კამაჩო - ხოაკინი (72. ბუონანოტე), პორტილიო (46. იტურა), ისკო, ელიზეუ - სანტა კრუსი.

**გაფრთხილება:** აგილარი, სანტოსი, გამა, კამუნიასი - გამესი, ველიგტონი, მონრეალი

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 24-16; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 10-6 (5-3); **ბურთის ფლობა:** 24%-16%.

**მაყურებელი:** 21 000

**გრანადა-ვალენსია 1:2**

**გოლები:** 1:0 ანგულო (49), 1:1 ჟონასი (59), 1:2 პიატი (82)

**გრანადა (4-2-3-1):** რობერტო - ნიომი, ი. ლოპესი, მაინსი, სიკეირა - ირინეი (84. ხაიმე), მ. რიკო - ტორჟე (62. იებდა), ბრაიმი, ბენიტესი (46. ანგულო) - იგჰალო.

**ვალენსია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - ჟ. პერეირა, რამი, რ. კოშტა, გუარდადო - ალბელდა (54. ვალდესი), ბანეგა - პარეხო, ჟონასი (90. ბარაგანი), პიატი (84. ტინო კოსტა) - სოლდადო.

**გაფრთხილება:** რიკო, ტორჟე, რობერტო, ლოპესი - კოშტა, ვალდესი, პიატი

**გაძევება:** მ. რიკო (34)

**კუთხური:** 1-11; **ჯარიმა:** 16-10; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 3-28 (2-7); **ბურთის ფლობა:** 33%-67%.

**მაყურებელი:** 20 000

**სევილია-ოსასუნა 1:0**

**გოლი:** 1:0 სპაჰიჩი (83)

**სევილია (4-2-3-1):** დ. ლოპესი - სისინიო, ფასიო, სპაჰიჩი, ფ. ნავარო - მედელი, კონდობია (68. პეროტი) - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი (90. ერვასი), რეიესი (85. მადურო) - ნეგრედო.

**ოსასუნა (4-2-3-1):** ა. ფერნანდესი - ბერტრანი, რუბენი, ფლანიო, დამია (76. ნანო) - პუნიალი, ოიერი - სეხუდო (71. ლამა), ნინო, არმენტეროსი (85. ხ. ლორენტე) - კიკე სოლა.

**გაფრთხილება:** სისინიო, სპაჰიჩი - ბერტრანი

**კუთხური:** 11-13; **ჯარიმა:** 9-13; **თამაშგარე:** 7-3; **კარში დარტყმა:** 17-9 (6-3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 29 000

**სელტა-ვალიადოლიდი 3:1**

**გოლები:** 1:0 ასპასი (8), 1:1 ბუენო (11-პენ), 2:1 ასპასი (30-პენ), 3:1 ა. ლოპესი (51)

**სელტა (4-2-3-1):** ვარასი - მალიო, კაბრალი, ტუნიესი, ლაგო - ოუბინია, ა. ლოპესი - პარკი (71. ინსა), ბერმეხო (84. ტონი), კრონ-დელი - ასპასი (87. დე ლუკასი).

**ვალიადოლიდი (4-2-3-1):** დ. ერნანდესი - რუკავინა, სერენო, ვალიენტე, ბალენსიაგა - სასტრე (75. ბარახა), რუბიო - ომარი (80. ლოლო), ლარსონი, ბუენო (55. პენია) - გერა.

**გაფრთხილება:** ვარასი, მალიო - ბალენსიაგა, გერა, სასტრე

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 13-19; **თამაშგარე:** 4-1; **კარში დარტყმა:** 14-12 (6-4); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 24 500

**რეალი-სოსიედადი 4:3**

**გოლები:** 1:0 ბენზემა (2), 1:1 ჩაბი პრიეტო (9-პენ), 2:1 ხედირა (35), 2:2 ჩაბი პრიეტო (40), 3:2 რონალდო (68), 4:2 რონალდო (70), 4:3 ჩაბი პრიეტო (76)

**რეალი (4-2-3-1):** ადანი - ესიენი, ვარანი, რ. კარვალიო, არბელოა - ხედირა, ჩაბი ალონსო - კალეხონი (8. კასილიასი), იოზილი (84. მოდრიჩი), რონალდო - ბენზემა (73. იგუაინი).

**რეალ სოსიედადი (4-2-3-1):** ბრავო - ესტრადა, მ. გონსალესი, ი. მარტინესი, დე ლა ბელა (82. ხოსე ანხელი) - პარდო, ზურუტუზა (72. ელუსტონდო) - ველა, ჩაბი პრიეტო, გრიზმანი - იფრანი (57. გ. კასტრო).

**გაფრთხილება:** რონალდო, ალონსო - ესტრადა, მარტინესი, ზურუტუზა, ხოსე ანხელი, ელუსტონდო

**გაძევება:** ადანი (6), ესტრადა (79)

**კუთხური:** 4-9; **ჯარიმა:** 11-11; **თამაშგარე:** 3-1; **კარში დარტყმა:** 25-16 (9-5); **ბურთის ფლობა:** 46%-54%.

**მაყურებელი:** 70 000

**ბარსელონა-ესპანიოლი 4:0**

**გოლები:** 1:0 ჩავი (10), 2:0 პედრო (16), 3:0 პედრო (27), 4:0 მესი (29-პენ)

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, პუიოლი, ალბა - ჩავი (62. ტ. ალკანტარა), ბუსკეტსი, ფაბრეგასი (65. ვილია) - პედრო (74. სანჩესი), მესი, ინიესტა.

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კასილია - ხ. ლოპესი, კოლოტო, მორენო, კაპდევილა - ფორლინი, ვ. სანჩესი - ბაენა (59. ალფონსო), ვერდიუ (62. სტუანი), სიმაო (76. ალბინი) - ს. გარსია.

**გაფრთხილება:** კასილია, ბაენა, სტუანი, მორენო

**კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 3-16; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 19-5 (8-1); **ბურთის ფლობა:** 75%-25%.

**მაყურებელი:** 89 000

**მალიორკა-ატლეტიკო 1:1**

**გოლები:** 0:1 რაულ გარსია (72), 1:1 კევინი (87)

**მალიორკა (4-2-3-1):** [illegible] (79. ალვარო), ნუნიეში, [illegible], ბიგასი - პინა, მარკესი - არისმენდი (73. ჩ. ნავარო), ჯოვანი დოს სანტოსი, მ. პერეირა (63. კევინი) - ჰემედი

**ატლეტიკო (4-2-3-1):** კურტუა - ხუანფრანი, კატა დიასი, გოდინი, ფილიპე ლუიში - ტიაგო, გაბი - რაულ გარსია, ადრიან ლოპესი (64. კ. როდრიგესი), კოკე - დ. კოშტა.

**გაფრთხილება:** ნუნიეში - გარსია, ტიაგო, კოშტა

**კუთხური:** 2-11; **ჯარიმა:** 15-14; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 5-12 (3-6); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 15 800

**ვალეკანო-ხეტაფე 3:1**

**გოლები:** 1:0 ლ. ბანგურა (14), 2:0 პიტი (27), 3:0 პიტი (52), 3:1 ალკასერი (65)

**რაიო ვალეკანო (4-2-3-1):** რუბენი - ტიტო, გალვესი, ამატი, ნაჩო - ტრაშორასი, ფუეგო - ლ. ბანგურა (61. ფ. ვასკესი), ა. დომინგესი (76. დელიბაშიჩი), პიტი (81. არანა) - ლეო კარილიო.

**ხეტაფე (4-2-3-1):** მოია - ვალერა, ლოპო, ალექსისი, მ. ტორესი - მიჩელი, ხ. ტორესი - ლაფიტა (75. ბორხა), დ. კასტრო (69. სარაბია), გავილანი (60. ალკასერი) - ა. ვასკესი.

**გაფრთხილება:** ნაჩო, პიტი - კასტრო, მ. ტორესი

**გაძევება:** მიჩელი (71)

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 17-15; **თამაშგარე:** 5-1; **კარში დარტყმა:** 24-11 (12-4); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 18 | 17 | 1 | 0 | 61-19 | 52 |
| 2. ატლეტიკო | 18 | 13 | 2 | 3 | 38-18 | 41 |
| 3. რეალი | 18 | 11 | 3 | 4 | 45-20 | 36 |
| 4. მალაგა | 18 | 9 | 4 | 5 | 28-13 | 31 |
| 5. ბეტისი | 18 | 10 | 1 | 7 | 28-29 | 31 |
| 6. ლევანტე | 18 | 9 | 3 | 6 | 24-25 | 30 |
| 7. ვალეკანო | 18 | 9 | 1 | 8 | 25-33 | 28 |
| 8. ვალენსია | 18 | 8 | 3 | 7 | 25-27 | 27 |
| 9. სოსიედადი | 18 | 7 | 4 | 7 | 27-24 | 25 |
| 10. ხეტაფე | 18 | 7 | 3 | 8 | 22-28 | 24 |
| 11. ვალიადოლიდი | 18 | 6 | 4 | 8 | 24-24 | 22 |
| 12. სევილია | 18 | 6 | 4 | 8 | 23-26 | 22 |
| 13. სარაგოსა | 18 | 7 | 1 | 10 | 21-26 | 22 |
| 14. ბილბაო | 18 | 6 | 3 | 9 | 22-37 | 21 |
| 15. სელტა | 18 | 5 | 3 | 10 | 19-23 | 18 |
| 16. მალიორკა | 18 | 4 | 5 | 9 | 17-30 | 17 |
| 17. გრანადა | 18 | 4 | 4 | 10 | 14-27 | 16 |
| 18. ესპანიოლი | 18 | 3 | 6 | 9 | 19-30 | 15 |
| 19. დეპორტივო | 18 | 3 | 6 | 9 | 22-39 | 15 |
| 20. ოსასუნა | 18 | 3 | 5 | 10 | 14-20 | 14 |

**ბომბარდირები:** 27 - ლიონელ მესი (ბარსელონა); 17 - რადამელ ფალკაო (ატლეტიკო); 16 - კრიშტიანო რონალდო (რეალი); 12 - არიც ადურისი (ბილბაო); 10 - რუბენ კასტრო (ბეტისი).

**სეგუნდა დივიზიონი. XX ტური**

**ვილიარეალი-ბარსელონა II 1:3**

**გოლები:** 0:1 პლანასი (45), 0:2 ლობატო (74), 1:2 მ. სენა (78-პენ), 1:3 ხ. კოსტა (83. ს.კ.)

**რასინგი-პონფერადინა 2:1**

**გოლები:** 0:1 მაიორი (2), 1:1 კონე (28), 2:1 გულონი (81)

**უელვა-სპორტინგი 1:1**

**გოლები:** 0:1 მანდი (11), 1:1 ჩული (70)

**ალკორკონი-რეალი II 3:2**

**გოლები:** 0:1 ხესე როდრიგესი (6), 0:2 ჩერიშევი (22), 1:2 მიგელესი (40), 2:2 ორიოლ რიერა (61), 3:2 ორიოლ რიერა (70)

**ჟირონა-ალმერია 0:1**

**გოლი:** 0:1 ჩუმბი (90)

**მურსია-ერკულესი 2:1**

**გოლები:** 0:1 ბედია (23), 1:1 კიკე (43), 2:1 ე. სანჩესი (59-პენ)

**გაძევება:** მერიდა (58. ერკულესი)

**მირანდესი-კორდობა 0:0**

**ხერესი-უესკა 1:1**

**გოლები:** 1:0 მარკიტოსი (42), 1:1 ნაჩო ნოვო (64)

**ნუმანსია-ლას პალმასი 3:0**

**გოლები:** 1:0 პკეტი (57), 2:0 ხუანხო (80), 3:0 პოკეტი (82)

**ლუგო-გვადალახარა 0:0**

**ელჩე-საბადელი 3:2**

**გოლები:** 1:0 ეჩეიტა (10), 1:1 ლანსაროტე (11), 2:1 პაუელი (17), 2:2 იდალგო (39), 3:2 ალბაკარი (42)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ელჩე | 20 | 15 | 3 | 2 | 31-11 | 48 |
| 2. ალკორკონი | 20 | 12 | 2 | 6 | 33-25 | 38 |
| 3. ჟირონა | 20 | 11 | 4 | 5 | 37-21 | 37 |
| 4. ალმერია | 20 | 11 | 4 | 5 | 31-21 | 37 |
| 5. ბარსელონა II | 20 | 9 | 5 | 6 | 43-32 | 32 |
| 6. ვილიარეალი | 20 | 8 | 7 | 5 | 24-18 | 31 |
| 7. პონფერადინა | 20 | 10 | 1 | 9 | 29-27 | 31 |
| 8. ლას პალმასი | 20 | 8 | 6 | 6 | 28-27 | 30 |
| 9. ნუმანსია | 20 | 7 | 7 | 6 | 26-26 | 28 |
| 10. უელვა | 20 | 8 | 4 | 8 | 25-31 | 28 |
| 11. საბადელი | 20 | 7 | 6 | 7 | 27-23 | 27 |
| 12. კორდობა | 20 | 7 | 6 | 7 | 21-23 | 27 |
| 13. ლუგო | 20 | 7 | 6 | 7 | 20-24 | 27 |
| 14. მურსია | 20 | 7 | 5 | 8 | 23-22 | 26 |
| 15. სპორტინგი | 20 | 6 | 7 | 7 | 26-27 | 25 |
| 16. ხერესი | 20 | 5 | 7 | 8 | 20-29 | 22 |
| 17. რეალი II | 20 | 6 | 3 | 11 | 35-38 | 21 |
| 18. გვადალახარა | 20 | 5 | 6 | 9 | 23-29 | 21 |
| 19. რასინგი | 20 | 4 | 6 | 10 | 16-28 | 18 |
| 20. მირანდესი | 20 | 3 | 8 | 9 | 16-24 | 17 |
| 21. უესკა | 20 | 3 | 8 | 9 | 18-29 | 17 |
| 22. ერკულესი | 20 | 3 | 5 | 12 | 17-34 | 14 |

**ბომბარდირები:** 12 - ორიოლ რიერა (ალკორკონი); 11 - იური (პონფერადინა), 11 - ჟერარდ დეულოფეუ (ბარსელონა II); 10 - ხესე როდრიგესი (რეალი II); 9 - შარლესი (ალმერია), ოსკარ დიასი (ლუგო), ბენხა (ჟირონა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფას ოქროს ბურთი 2012

# ლეო მესის ოქროს პოკერი

## 2012 წლის სიმბოლური ნაკრები მხოლოდ სამი გუნდით დაკომპლექტდა: ბარსა, რეალი, ატლეტიკო


მსოფლიო ფეხბურთის პირველი კაცი


კაიზერი საუკეთესო პრეზიდენტია

**გუშინ, ციურიხში ფიფას ოქროს ბურთით დაჯილდოების მორიგი ცერემონია გაიმართა. შვეიცარიაში მთელი მსოფლიოდან უამრავი ცნობილი ადამიანი ჩავიდა და არა მხოლოდ საფეხბურთო სამყაროდან. მაგალითად, დაჯილდოების ცერემონიას, ბოლო პერიოდში სკანდალში გახვეული, ლეგენდარული ფრანგი მსახიობი ჟერარ დეპარდიე ესწრებოდა...**

### წლის საუკეთესო მამაკაცი ფეხბურთელი

საღამოს მთავარ კითხვას პასუხი ცერემონიის ბოლოს გაეცა: 2012 წლის საუკეთესო მამაკაც ფეხბურთელად ისევ **ლეო მესი** დასახელდა. არგენტინელი გახდა ისტორიაში პირველი ფეხბურთელი, ვინც ოქროს ბურთი ოთხჯერ მოიგო. თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ (25), დიდი შანსია, მესიმ საკუთარ კოლექციას კიდევ რამდენიმე ჯილდო შემატოს.

"ბარსელონას" ფეხბურთელმა ხმათა 41.6 პროცენტი მიიღო და დიდი უპირატესობით აჯობა კონკურენტებს. მეორე ადგილი, შარშანდელი მსგავსად, **კრიშტიანო რონალდომ** დაიკავა, **ანდრეს ინიესტა** კი მესამე პოზიციაზე გავიდა.

1. ლიონელ მესი (არგენტინა, "ბარსელონა") – 41.60 %
*2. კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, "რეალი") – 23.68 %*
*3. ანდრეს ინიესტა (ესპანეთი, "ბარსელონა") – 10.91 %*


ლუიშ ფელიპე სკოლარი ვისენტე დელ ბოსკეს აჯილდოვებს

### წლის საუკეთესო ქალი ფეხბურთელი

საუკეთესო ქალ ფეხბურთელად კი აშშ-ის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, **ები უომბაკი** დასახელდა. უომბაკი 2012 წლის ოლიმპიადის გამარჯვებული, საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გახდა. 32 წლის ამერიკელმა ხმათა 20.67 პროცენტი მიიღო, ოქროს ბურთის **"მერილ სტრიპმა"**, ბრაზილიემა **მარტამ** ამჯერად მეორე ადგილი დაიკავა და მეექვსე (!) გამარჯვება ველარ მოიპოვა, მესამე ადგილზე კი კიდევ ერთი ამერიკელი, **ალექს მორგანი** გავიდა.

აღსანიშნავია, რომ უომბაკი შარშან მესამე ადგილზე გავიდა, მარტა კი ნომინირებულთა სიაში 2005 წლიდან არის. 2005, 2011 და 2012 წლებში ბრაზილიელი მეორე ადგილზე გავიდა, 2006, 2007, 2008, 2009 და 2010 წელს კი საუკეთესო გახდა.

1. ები უომბაკი (აშშ, "მექიქჯეკი") – 20.67 %
*2. მარტა (ბრაზილია, "ტირესო") – 13.50 %*
*3. ალექს მორგანი (აშშ, "სიეტლ საუნდერსი") – 10.87 %*



მიროსლავ სტოხმა წლის საუკეთესო გოლი გაიტანა

### წლის საუკეთესო მამაკაცი მწვრთნელი

წლის საუკეთესო მწვრთნელად, როგორც მოსალოდნელი იყო, ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ვისენტე დელ ბოსკე** დაასახელეს. შეგახსენებთ, რომ დელ ბოსკემ "ფურია როხას" 2012 წელს ევროპის ჩემპიონატი მოაგებინა.

მეორე და მესამე ადგილი **ჟოზე მოურინიომ** და **ხოსეპ გვარდიოლამ** დაიკავეს. საინტერესოა, რომ მოურინიო ცერემონიას ზედიზედ მეორედ არ დაესწრო. მან მიზეზად "რეალის" მომავალი სათასო მატჩი დაასახელა. ისე, საინტერესოა, როგორ ემზადებოდა მოუ "რეალის" მომავალი მატჩისთვის, როდესაც ლამის მთელი "სამეფო კლუბი" ციურიხში იყო.

1. ვისენტე დელ ბოსკე (ესპანეთი, ესპანეთის ნაკრები) – 34.51 %
*2. ჟოზე მოურინიო (პორტუგალია, "რეალი") – 20.48 %*
*3. ხოსეპ გვარდიოლა (ესპანეთი, "ბარსელონას" ყოფილი მწვრთნელი) – 12.91 %*

### წლის საუკეთესო ქალი მწვრთნელი

ქალთა ფეხბურთის საუკეთესო მწვრთნელად, აშშ-ის ნაკრების ყოფილი და შვედეთის ეროვნული ნაკრების ამჟამინდელი დამრიგებელი, **პია სუნდჰაგე** დაასახელეს. პია შარშანწინ მესამე იყო, შარშან მეორე, წელს კი საუკეთესო გახდა. სუნდჰაგეს ხელმძღვანელობით, აშშ-ის ნაკრებმა 2012 წელს ოლიმპიადაზე გაიმარჯვა.

მეორე ადგილი შარშანდელმა გამარჯვებულმა, **ნორიო სასაკიმ** დაიკავა, მესამეზე კი საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი **ბრუნო ბინი** გავიდა.

1. პია სუნდჰაგე (შვედეთი, ა.შ.შ.-ის ქალთა ნაკრების ყოფილი მწვრთნელი) – 28.59 %
*2. ნორიო სასაკი (იაპონია, იაპონიის ნაკრები) – 23.83 %*
*3. ბრუნო ბინი (საფრანგეთი, საფრანგეთის ნაკრები) – 9.02 %*



2012 წლის გუნდი

### წლის სიმბოლური ნაკრები

"ფიფპროს" მიერ ორგანიზებული გამოკითხვით, რომელშიც 50 000-მდე პროფესიონალი ფეხბურთელი მონაწილეობდა, წლის სიმბოლური ნაკრები შედგა. საინტერესოა, რომ თერთმეტივე ფეხბურთელი ესპანეთის ჩემპიონატს წარმოადგენს. წლის ნაკრებში 5-5 ფეხბურთელი მადრიდის "რეალიდან" და "ბარსელონადან" მოხვდა, ერთი კი მადრიდის "ატლეტიკოდან".

მეკარე: **იკერ კასილიასი** (ესპანეთი, "რეალი")

მცველები: **დანიელ ალვეში** (ბრაზილია, "ბარსელონა"), **ჟერარდ პიკე** (ესპანეთი, "ბარსელონა"), **სერხიო რამოსი** (ესპანეთი, "რეალი"), **მარსელო** (ბრაზილია, "რეალი").

ნახევარმცველები: **ჩაბი ალონსი** (ესპანეთი, "რეალი"), **ჩავი** (ესპანეთი, "ბარსელონა"), **ანდრეს ინიესტა** (ესპანეთი, "ბარსელონა").

**თავდამსხმელები:** ლიონელ მესი (არგენტინა, "ბარსელონა"), რადამელ ფალკაო (კოლუმბია, "ატლეტიკო"), კრიშტიანო რონალდო (პორტუგალია, "რეალი").


წამყვანები: რუუდ გულიტი და კეი მიურეი

### პუშკაშის პრიზი (წლის საუკეთესო გოლი)

გამარჯვებული: მიროსლავ სტოხი (სლოვაკეთი, "ფენერბაჰჩე").

გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად, წლის საუკეთესო გოლის ავტორიც გაირკვა. გამარჯვება სლოვაკეთის ნაკრების და თურქული "ფენერბაჰჩეს" 23 წლის ნახევარმცველმა, **მიროსლავ სტოხმა** მოიპოვა. 2012 წლის 3 მარტს, "გენჩლერბირლიგის" კარში გატანილმა ულამაზესმა გოლმა, **რადამელ ფალკაოს** და **ნეიმარის** არანაკლებ ლამაზ გოლებს აჯობა.

შეგახსენებთ, რომ **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მიერ ინგლისის ნაკრების კარში გატანილი არანორმალური გოლი ნომინანტთა სიაში ვერ მოხვდა, რადგან ფიფამ 10 ნომინანტი ერთი დღით ადრე დაასახელა.


იკერ კასილიასი და მისი მეგობარი გოგონა სარა კარბონერო

### ფიფას პრეზიდენტის ჯილდო

ფრანც ბეკენბაუერი

ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, 2012 წლის ფიფას პრეზიდენტის ჯილდო ლეგენდარულ **ფრანც ბეკენბაუერს** გადაეცა. 67 წლის "კაიზერ ფრანცი" ისეთ ადამიანებს შეუერთდა, როგორებიც არიან: **სერ ალექს ფერგიუსონი** (2011 წელი), **დესმონდ ტუტუ** (2010 წელი), **პელე** (2007 წელი), **ჯაჩინტო ფაკეტი** (2006 წელი) და სხვა.

### FAIR PLAY-ს პრიზი

გამარჯვებული: უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაცია

Fair Play-ს პრიზი კი უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციას დარჩა. უზბეკურმა კლუბებმა და სხვადასხვა ასაკის ეროვნულმა ნაკრებებმა, მთელი წლის განმავლობაში ყურადღება სუფთა თამაშით და Fair Play- პრინციპების დაცვით მიიქციეს და ფიფას აღიარებაც დაიმსახურეს.


კრიშტიანო რონალდო და ირინა შეიკი

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## ინგლისი

### I ლიგა

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ქრიუ-სტივენიჯი | 1:2 |
| სქანთორპი-შრიუსბერი | 0:0 |
| სუინდონი-კარლაილი | 4:0 |
| დონკასტერი-კოლჩესტერი | 1:0 |

### II ლიგა

XXVII ტური

| | |
|---|---|
| იორკი-ექსეტერი | 1:2 |
| უიკომბი-ჩესტერფილდი | 2:1 |
| პორტ ვეილი-პლიმუტი | 4:0 |
| ნორთჰემპტონი-ფლიტვუდი | 3:1 |
| როჩდეილი-უიმბლდონი | 0:1 |
| როვერსი-ჯილინგემი | 0:2 |
| ბარნეტი-ბრედფორდი | 2:0 |
| აკრინგტონი-დაგენჰემი | 0:2 |

### ნასიონალი

XXVII ტური

| | |
|---|---|
| ტელფორდი-საუთპორტი | 1:3 |
| ალფრეტონი-დარტფორდი | 3:2 |
| კემბრიჯი-სტოკპორტი | 4:1 |
| ებსფლიტი-ლინკოლნი | 1:1 |
| გრიმსბი-ჰერეფორდი | 1:1 |
| ჰაიდი-ფორესტ გრინი | 0:1 |
| კიდერმინსტერი-ბაროუ | 2:0 |
| ტამუორტი-ბრენტრი | 1:4 |

## ინგლისის თასი

### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| ბრაიტონი-ნიუკასლი | 2:0 |
| კრ. პალასი-სტოკი | 0:0 |
| ტოტენჰემი-ქოვენტრი | 3:0 |
| უიგანი-ბორნმუთი | 1:1 |
| ფულჰემი-ბლეკპული | 1:1 |
| ასტონ ვილა-იფსვიჩი | 2:1 |
| საუთენდი-ბრენტფორდი | 2:2 |
| ალდერშოტი-როტერჰემი | 3:1 |
| ოქსფორდი-შეფილდი | 0:3 |
| მაკლსფილდი-კარდიფი | 2:1 |
| ჰალი-ლეიტონი | 1:1 |
| ბლექბერნი-ბრისტოლი | 2:0 |
| ლიდსი-ბირმინგემი | 1:1 |
| ლუტონი-ვულვზი | 1:0 |
| უენსდი-მილტონი | 0:0 |
| მიდლსბრო-ჰასტინგსი | 4:1 |
| ქროული-რედინგი | 1:3 |
| საუთჰემპტონი-ჩელსი | 1:5 |
| ქუინზ პარკი-ვესტ ბრომვიჩი | 1:1 |
| პიტერბრო-ნორვიჩი | 0:3 |
| ბოლტონი-სანდერლენდი | 2:2 |
| ნოტინგემი-ოლდჰემი | 2:3 |
| ჩარლტონი-ჰადერსფილდი | 0:1 |
| ბარნსლი-ბარნლი | 1:0 |
| მანჩესტერ სიტი-უოტფორდი | 3:0 |
| ლესტერი-ბარტონი | 2:0 |
| მილუოლი-პრესტონი | 1:0 |
| დერბი-ტრანმერი | 5:0 |
| ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნ | 2:2 |
| სუონსი-არსენალი | 2:2 |
| მენსფილდი-ლივერპული | 1:2 |
| ჩელტენემი-ევერტონი | 1:5 |

## საფრანგეთის თასი

### 1/32 ფინალი

| | |
|---|---|
| მარსელ კონსოლა-მულენი | 1:1 პენ. 3:5 |
| ბელფორტი-ჰავრი | 1:3 |
| ლე მანი-ლე პუარ სურ ვი | 1:2 |
| სავინო-ვენისიო | 1:1 პენ. 1:3 |
| ამიენი-ევიან ტონონი | 1:1 პენ. 3:5 |
| ამნევილი-რაონი | 1:2 დ.დ. |
| ბულონი-ტულუზა | 0:1 |
| შორეი-ლორიანი | 1:5 |
| დრუე-ნანსი | 1:5 |
| მონტკო-ტრუა | 0:1 |
| რუანი-აიაჩო | 1:1 პენ. 3:2 |
| სტ. მალო-ვერტუ | 1:1 პენ. 2:4 |
| სტად ბორდელე-კარკეფუ | 1:0 |
| ტონი-სოშო | 0:1 |
| პლაბენეკი-რეიმსი | 1:0 |
| ლილი-ნიმი | 3:2 |
| ბერკ პერონე-მონპელიე | 1:2 |
| მურეტენი-ვენდე | 0:2 |
| კაენი-სტ. ეტიენი | 2:3 |
| შატორუ-ბორდო | 2:3 |
| ეპინალი-ლიონი | 3:3 პენ. 4:2 |
| ლანსი-რენი | 2:1 |
| მარსელი-გინგამი | 2:1 დ.დ. |
| მეცი-ნიცა | 2:3 დ.დ. |
| მო აკადემი-ლე პორტელი | 1:0 |
| ავენირი-არლ ავინიონი | 2:0 |
| პონტარლიე-სედანი | 1:2 |
| ლუკონი-ბრესტი | 1:1 პენ. 2:4 |
| კა ბასტია-ბასტია | 2:0 |
| დიეპი-ნანტი | 2:3 |
| არასი-პსჟ | 3:4 |
| ისტრი-ვალანსი | 1:1 პენ. 4:3 |

## საფრანგეთი

### ნასიონალი

გადადებული მატჩი

| | |
|---|---|
| კოლმარი-პონ დუ გარდი | 1:1 |

## ბელგია

### II დივიზიონი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ანტვერპენი-დესელი | 0:1 |
| ბრიუსელი-ვიზე | 1:1 |
| სტ. ტრუიდენი-უდენაარდე | 2:0 |
| ტუბიზე-ჰაისტი | 2:1 |
| ვესტერლო-ეოლევე | 3:0 |
| ეუპენი-ლომელი | 2:1 |

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXI ტური

| | |
|---|---|
| სპორტინგი B-პენაფიელი | 2:2 |
| მარიტიმუ B-ავეში | 0:0 |
| კოვილია-ლეიქსოეში | 2:0 |
| აროკა-ტონდელა | 3:1 |
| ატლეტიკო-პორტიმონენსე | 3:2 |
| ბრაგა B-ფეირენსე | 1:0 |
| ოლივეირენსე-გიმარაეში B | 0:0 |
| ტროფენსე-უნიაო | 0:0 |
| პორტუ B-ნავალი | 1:1 |
| სტ. კლარა-ბენფიკა B | 1:1 |

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XIX ტური

| | |
|---|---|
| კოუდენბითი-მორტონი | 1:1 |
| დამბარტონი-დანფერმლაინი | 0:1 |
| ჰემილტონი-ფალკირკი | 1:1 |
| ლივინგსტონი-პარტიკი | 2:2 |
| რეითი-ეირდრი | 2:0 |

### II დივიზიონი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბრეჩინი-ალოა | 3:2 |
| ისტ ფაიფი-ალბიონი | 2:0 |
| ქუინი-არბროა | 5:1 |
| სტენჰაუზმუირი-ფორფარი | 2:0 |
| სტრანრარი-ეირი | 0:1 |

### III დივიზიონი

XIX ტური

| | |
|---|---|
| ბერუიკი-ისტ სტირლინგი | 2:0 |
| კლაიდი-ანენი | 2:3 |
| პიტერჰედი-მონროუზი | 0:1 |
| რეინჯერსი-ელჯინი | 1:1 |
| სტირლინგი-ქუინზ პარკი | 2:3 |

## კვიპროსი

XVI ტური

| | |
|---|---|
| აელ-აპოლონი | 3:2 |
| აია-ნეა სალამისი | 1:2 |
| აეპ-ენოსისი | 0:1 |
| ანორთოსისი-დოქსა | 3:0 |
| ეთნიკოსი-ოლიმპიაკოსი | 1:1 |
| აეკ-ომონია | 2:1 |
| აპოელ-ალკი | 1:1 |

## საბერძნეთი

XVI ტური

| | |
|---|---|
| ასტერასი-აეკ | 3:1 |
| პლატანიასი-იანინა | 1:1 |
| პანათინაიკოსი-ლევადია | 1:2 |
| არისი-პანიონიოსი | 2:1 |
| ატრომიტოსი-კერკირა | 2:0 |
| პანთრაკიკოსი-პაოკ | 1:4 |
| ოლიმპიაკოსი-ვერია | 3:0 |
| ქსანტი-ოფი | 3:0 |

### II დივიზიონი

XV ტური

ნიკი ვოლუ-პანაიტოლიკოსი 3:0; დოქსა-პანახაიკი 1:0; ვიცასი-კავალა 1:1; ფოკიკოსი-კალონი 0:0; ლარისა-ირაკლისი (ს) 0:0; კალითეა-პიერიკოსი 3:1; ერგოტელისი-ანაგენისი (ი) 4:1; პანსერაიკოსი-აპოლონი 1:0; ანაგენისი (ე)-ირაკლისი (პ) 1:1; ტრასივულოსი-ეთნიკოსი 1:0.

## ჩრ. ირლანდია

XXV ტური

| | |
|---|---|
| დუნგანონი-ლისბურნი | 1:0 |
| გლენავონი-კრუზეიდერსი | 2:3 |
| ლინფილდი-კოლრეინი | 5:2 |
| პორტდაუნი-დონეგალი | 1:0 |
| კლიფტონვილი-გლენტორანი | 4:1 |

## ისრაელი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ჰაპოელი (თ-ა)-ირონი (რ-ა) | 1:0 |
| ჰაპოელი (ა)-ბნეი იეჰუდა | 2:1 |
| ჰაპოელი (რ-გ)-ბნეი სახნინი | 2:1 |
| ჰაპოელი (ბ-შ)-მაკაბი (ნ) | 1:3 |
| ჰაპოელი (ა)-ბეითარი | 2:3 |
| აშდოდი-მაკაბი (ჰ) | 1:4 |
| ირონი (ქ-შ)-მაკაბი (თ-ა) | 0:0 |

## უელსი

XXI ტური

| | |
|---|---|
| ებერისტვითი-პრესტატინი | 4:1 |
| ლანელი-ბანგორი | 2:2 |
| ქონესი-კარმარტენი | 1:1 |
| პორტ ტელბოტი-ბალა | 2:1 |
| ნიუთაუნი-ტნს | 1:1 |

## მექსიკა

I ტური

| | |
|---|---|
| მორელია-კრუს ასული | 3:3 |
| ამერიკა-მონტერეი | 2:1 |
| პაჩუკა-ატლანტე | 2:0 |
| ტიგრესი-ხაგუარესი | 3:0 |
| ლეონი-კერეტარო | 2:2 |
| სან ლუისი-სანტოსი | 1:1 |
| პუმასი-ატლასი | 1:1 |
| პუებლა-ტიხუანა | 1:2 |
| ჩივასი-ტოლუკა | 1:1 |

## ავსტრალია

XV ტური

| | |
|---|---|
| ნიუკასლი-ადელაიდა | 0:0 |
| მელბურნ ჰ-ველინგტონი | 2:0 |
| პერტი-სიდნეი | 2:2 |
| მელბურნ ვ-ბრისბენი | 3:2 |
| ვესტერნ სიდნეი-სენტრალ კოუსტი | 0:2 |

# ქართული სპორტი

**წყალბურთი**

## ევროპისთვის მზადება ამერიკით დაიწყეს

შვიდი მოგება და ერთი მარცხი - ასეთი შედეგით დაბრუნდნენ ქართველი ჭაბუკი წყალბურთელები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირშიც იასპარეზეს და ამხანაგური შეხვედრებიც გამართეს. გუნდი უმთავრესად 1997-1998 წლებში დაბადებული სპორტსმენებით დედაქალაქის კლუბ „თბილისის" ბაზაზე დაკომპლექტდა და, გაძლიერების მიზნით, რამდენიმე მოთამაშე „ლიგამუსიდან" და „ივერიიდანაც" დაიმატეს. საბოლოოდ „თბილისი" კლუბის პრეზიდენტ **ლევან ბერიშვილის** ხელმძღვანელობით ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა ოკეანის გაღმა: **ირაკლი რაზმაძე, გიორგი კუჭუხიძე, ანდრია ბითაძე, რეზი იმნაიშვილი, დავით რევია, ლევან მოსეშვილი, ლუკა ნიკოლეიშვილი, ლუკა გელაძე, გიორგი რაზმაძე, ირაკლი მარგველაშვილი, ვახტანგ კუცია, კოტე კოტია, ვაჟა ფურცელაძე,** მთავარი მწვრთნელი **ირაკლი ბაქრაძე**. ფაქტობრივად, ტურნირზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საბაზო გუნდი იმყოფებოდა. შეჯიბრებას ლოს-ანჯელესთან ახლოს ქალაქ ქომერის კოლეჯმა ფუტ ჰილიმ უმასპინძლა.



- თითქმის ათი წელიწადია, „ქომერს ქაფი" ტარდება და მასში ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყნის 32 გუნდი იყრის თავს, - გვითხრა ამერიკიდან დაბრუნებულმა ირაკლი ბაქრაძემ. - ამჯერადაც მთავარი პრიზისთვის მასპინძლებთან ერთად კანადის, ვენესუელის, მექსიკისა და უნგრეთის წარმომადგენლებმა იასპარეზეს - როგორც კლუბებმა, ისე ნაკრებმა გუნდებმა, რომლებიც ორგანიზატორებმა სხვადასხვა ქვეჯგუფში განთესეს. ჩვენ „ფუტ ჰილისთან" ერთად მოვხვდით. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ სწორედ ამ გუნდს გადავეყარეთ. თავის გასამართლებლად არ ვამბობ - არნახულად მიკერძოებული მსაჯობა იყო. არბიტრებმა პირველსავე პერიოდში გუნდის მთავარი შემტევი ძალა - ანდრია ბითაძე და რეზი იმნაიშვილი გაგვიძევეს, თანაც შეტევისას. მეტოქის გულშემატკივრებიც ამაზრზენად იქცეოდნენ ტრიბუნებზე - უცენზურო სიტყვებს ვინ ჩივის, ჩვენს წყალბურთელებს სხვადასხვა საგანს ესროდნენ. ყოველივეს მიუხედავად, თბილისელებმა ვაჟკაცურად იბრძოლეს და მხოლოდ ერთი ბურთით დათმეს (6:7) შეხვედრა. მატჩის შემდეგ ჩვენ საქომაგოდ მოსულმა იქაურმა ქართველებმა გვითხრეს - გულს ნუ გაიტეხთ, არბიტრები მასპინძლებს შვიდი წელიწადია, თასის მოპოვებაში ეხმარებიანო. ამჯერადაც „ფუტ ჰილიმ" გაიმარჯვა, თუ ამას გამარჯვება ჰქვია. „თბილისმა" კიდევ ორი პაექრობა მოიგო და მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა ტურნირის დასრულებას არ დავლოდებივართ - ლას ვეგასიდან გვქონდა მიწვევა და იქ გავემგზავრეთ, სადაც სამი ამხანაგური შეხვედრა გავმართეთ: ჩვენმა ბიჭებმა ორ მატჩში, ასევე, სტუმრად მყოფ ბრაზილიელ თანატოლებს სძლიეს 13:9 და 12:6, ხოლო ლასვეგასელებს 18:9 აჯობეს. არადა, 2010 წლიდან ამერიკის ყველა კოლეჯს მოეთხოვება, წყალბურთის გუნდი ჰყავდეს. ჩაიყვანეს სერბი და ხორვატი მწვრთნელები. ასე რომ, სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციისთვის იქ, ოკეანის გაღმა, სერიოზულად ზრუნავენ.

**- საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თქვენთან ერთად მუშაობს იოვან პოპოვიჩი. ისიც იყო ამერიკაში?**

- იოვანი ჩვენთან ერთად ვერ წამოვიდა. მან სეზონის მიწურულს შვებულება აიღო და სერბეთს გაემგზავრა ოჯახის წევრების მოსანახულებლად.

**- „ქომერს ქაფზე" თქვენ 1996 წელს დაბადებული წყალბურთელების წაყვანაც შეგეძლოთ...**

- ამჯერად ეს შანსი შეგნებულად არ გამოვიყენეთ, რადგან წლეულს 1997-1998 წლებში დაბადებულთ ევროპის პირველობა ელით და სწორედ ამ ასაკის სპორტსმენების - ნაკრების ძირითადი ბირთვის გამოცდა განვიზრახეთ. ერთი წლით უფროსებთან პაექრობაში გამოვცადეთ ბიჭები. 15 იანვრიდან ისევ შევიკრიბებით და პოპოვიჩთან ერთად ევროპის პირველობის შესარჩევი ტურნირისთვის მზადებას დავიწყებთ. შეჯიბრება მაისშია დაგეგმილი. მეტოქე გუნდებისა და მასპინძელი ქალაქის ვინაობას იანვრის მიწურულს შევიტყობთ. ფინალური ტურნირი კი წლეულს სექტემბერს მალტაში გაიმართება.

შესარჩევი ასპარეზობისთვის თებერვალ-მარტში სამი საწვრთნელი შეკრება სერბეთში გვექნება. პოპოვიჩი შვებულების პერიოდში თავისიანებთან ზოგიერთ დეტალს დააზუსტებს. საგულისხმოა ისიც, რომ 10 იანვრიდან სერბეთში, კერძოდ, „ვოივოდინაში" ითამაშებს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული თავდამსხმელი ანდრია ბითაძე. აპრილის შუა რიცხვებში თბილისი მესამედ უმასპინძლებს ოლიმპიური თამაშების პრიზიორ ნოდარ გვახარიას საერთაშორისო მემორიალს, რომელშიც ამჯერად ბევრად ძლიერი ახალგაზრდული ნაკრებები იასპარეზებენ. კერძოდ, სერბები, რუმინელები, თურქები, უკრაინელები და ყაზახები ჩამოვლენ. ასე რომ, შესარჩევი ტურნირის წინ საკმაოდ მკაცრი გამოცდა გველის და წარმატებისთვის არაფერს დავიშურებთ. ივნისში კი უკრაინას ვესტუმრებით და სახელოვანი წყალბურთელის - ბარკალოვის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას.

**- როგორც ვატყობ, მალტაში გამგზავრება უიმედო არ უნდა იყოს.**

- მართალია, ჯერ არ ვიცით, შესარჩევში ვინ გვეყოლება მეტოქეებად, მაგრამ ამერიკულმა ტურნემ დამარწმუნა, რომ, ალბათ, ყველა ბარიერს გადავლახავთ და მალტის ფინალურ ეტაპზეც წარმატებით ვითამაშებთ. საამისოდ თანადგომა არ გვაკლია. ამიტომ დახმარებისთვის მადლობა მინდა გადავუხადო კლუბის ხელმძღვანელობას, საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაციას და განსაკუთრებით თბილისის მერიას, კერძოდ, მერაბ ჩიქობავას, რომელმაც ჩვენი გუნდის ამერიკაში გასამგზავრებლად არაფერი დაიშურა.

ვაჟა დანელია

**ჩოგბურთი**

## საფეხურით ჩამოქვეითდა

ქართველმა ჩოგბურთელმა **ანა ტატიშვილმა**, როგორც გაუწყეთ, 2013 წელი მოგებით დაიწყო - სიდნეის საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 690.000 დოლარი) საკვალიფიკაციო ეტაპის სტარტზე რუს თანატოლს - 22 წლის არინა როდიონოვას დაძაბულ პაექრობაში სძლია - 6:0, 1:6, 7:6. მეორე წრეში შედარებით იოლად ჩამოიშორა გზიდან 26 წლის ფრანგი კლერ ფეუერშტეინი - 6:3, 6:3. ძირითად ბადემდე ხელის გაწვდენაღა რჩებოდა, მაგრამ ჩვენებურს 42 წლის იაპონელი კიმიკო დატე-კრუმი გადაეღობა: ქართველმა სპორტსმენმა თითქმის უბრძოლველად დათმო შეხვედრა - 3:6, 0:6 და შეჯიბრებას გამოეთიშა. ანაც საკვალიფიკაციო ეტაპის ორი შეხვედრის მოგებისთვის სარეიტინგო მონაგარი 12 ქულით გაიმდიდრა, თუმცა ეს ქულები კლასიფიკაციაში მომდევნო კვირიდან დაერიცხება. ამჯერად კი 1140 ქულით 52-ე ადგილზე იმყოფება. შემდეგ შეჯიბრება, რომელშიც ანა იასპარეზებს, ავსტრალიის ღია პირველობა იქნება, რომელიც მელბურნში 14 იანვარს დაიწყება.



ანა ტატიშვილი

■ ■ ■

ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში ცდის ძალებს **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც ქალთა 50-ათასიანი საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეშია დაშვებული და სტარტზე კვალიფიკაციის ერთ-ერთ გამარჯვებულს - ჰაო ჩენ ტანგს (ჩინეთი) დაუპირისპირდება. თბილისელმა ჩოგბურთელმა წყვილებში ტაილანდელ ნოპავან ლერტჩეევაკარნისთან ერთად (მე-2 ნომრადაა განთესილი) პირველი შეხვედრა უკვე მოუგო მასპინძლებს - ძიან სიან ლუს და ძიან-ძინ ლუს - 6:4, 6:1.

■ ■ ■

ანტალიის ქალთა საერთაშორისო ტურნირის (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ძირითად ბადეშია **სოფიო ქვაცაბაია**, რომელიც მე-4 ნომრადაა განთესილი. პირველ წრეში იგი უკრაინელ მარიანა ზაკარლიუკს შეხვდება. არადა, წყვილებშიც სწორედ ზაკარლიუკთან ერთად მე-4 ნომერია და ანგელინა კლიმოვა (გერმანია) - იოანა პოსირკას (რუმინეთი) დუეტთან გაარკვევს ურთიერთობას.

ვაჟა დანელია

**ჭადრაკი**

## რეიტინგი გაიუარესეს

ფრანგულ ვანდევრე-დე-ნანსში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი, რომლის მთავარ ტურნირში სამი ჩვენებურიც გამოდიოდა. ასპარეზობის ბოლო ტურში საქართველოს ნაკრების წევრმა დიდოსტატმა **ბელა ხოტენაშვილმა** მეუღლე - საერთაშორისო ოსტატი **მალხაზ სულაშვილი** დაამარცხა და ცხრა შესაძლებლიდან 6 ქულით მეხუთე-მეთორმეტე ადგილები გაიყო, კოეფიციენტით მე-11 ადგილი ერგო (ამ მაჩვენებლით ქალებში ყველას აჯობა, მეორე-მესამე ადგილები 5-5 ქულით ბელგიელ ანა ზოზულიას და აზერბაიჯანელ ნარგიზ უმუდოვას ხვდათ). სულაშვილი 5 ქულით 28-ე ადგილს დასჯერდა, ხოლო საქართველოს ექსჩემპიონმა დიდოსტატმა **თორნიკე სანიკიძემ** 5,5 ქულას მოუყარა თავი და მე-15 ადგილზე გავიდა. სამწუხაროდ, სამივე ქართველმა რეიტინგი გაიუარესა, შესაბამისად, 0,03; 10,10 და 11,64 პუნქტით.

ცხრა შესაძლებლიდან 7,5 ქულით ფესტივალის მთავარი პრიზი მასპინძელმა ანტონი ვირიგიმ მოიგო. გამარჯვებულს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ და კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილები ალბერტო დავიდმა (იტალია), მეტიუ კორნეტმა (საფრანგეთი) და ვადიმ მალახატკომ (ბელგია) გაინაწილეს.

ვაჟა დანელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა. ისაევის ტურნირი

# ჭაბუკები სეზონს ისაევით ხსნიან



დღეს საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჭაბუკთა ნაკრები ბაქოში მიემგზავრება, სადაც 10 იანვარს მუშვიგ ისაევის ხსოვნის მემორიალში მიიღებს მონაწილეობას. ესაა ყარაბაღის ომისას დაღუპული ეროვნული გმირი, რომლის სახელის უკვდავსაყოფადაც მისმა ძმამ, იმჟამად აზერბაიჯანის პარლამენტის წევრმა, საერთაშორისო ტურნირი ჩაატარა, რომელიც ეროვნული ფედერაციის დიდი მეცადინეობით მალევე იქცა ანგარიშგასაწევად ამ ასაკის მოზარდთა შორის.

წლევანდელ ტურნირში აზერბაიჯანელებისა და ჩვენების გარდა რუსები და უზბეკებიც იასპარეზებენ. მათი არ ვიცი, ქართველებისთვის კი ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, ვინაიდან შარშანდელი წლის ბოლოს, მათგან დამოუკიდებელი მიზეზით, რამდენიმე ტურნირი ჩაეშალათ და საშეჯიბრო პრაქტიკა აშკარად აკლიათ. ამის გარდა, ისიც საშურია, რომ დასაკომპლექტებელია ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე წასაყვანი გუნდები. შეგახსენებთ, რომ ევროპის პირველობა 18-23 ივნისს ჩერნოგორიულ ბარიში გაიმართება, მსოფლიოსი - 20-25 აგვისტოს სერბულ ზრენჯანინში. ამჯერად ამათ შორის საკმაო შუალედია, თორემ წინა წლებში ხშირად 2-3-კვირიანი პერიოდი თუ იყო, რაც მწვრთნელებს ორმაგ საფიქრალს უჩენდა, ახლა კი შემადგენლობის გადახალისებისთვის შედარებით მეტი დრო რჩებათ. ამის მიუხედავად, მათ აქცენტი კვლავაც ორ-ორ შემადგენლობაზე უნდა აილონ, ამას კი ხშირი სატურნირო პრაქტიკა სჭირდება.

ბაქოში ჭაბუკთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თამაზ ბენდიაშვილს** 12 სპორტსმენი მიჰყავს, რომელთაგანაც 10 ფედერაციამ დააფინანსა, 2 კი საკუთარი ხარჯით მიდის. ბენდიაშვილს 15-კაციანი გუნდის წაყვანა უნდოდა, მაგრამ ფედერაციამ ძირითადად იმ სპორტსმენთა ხარჯი გაიღო, რომლებმაც შიდა პირველობებზე კონკურენციაში უფრო უკეთ წარმოაჩინეს თავი: **ალექსანდრე კილაძე** (42), **შმაგი თოდუა** (46), **გიორგი პასიკაშვილი** (50), **გოჩა ყიფშიძე** (54), **ტარიელ მიდელაშვილი** (58), **ედუარდ ნიკოლიშვილი** (63), **ტარიელ გაფრინდაშვილი** (69), **მურად თოფჩიშვილი** (76), **ლევან ბიოჭორიძე** (85) და **გივი მაჭარაშვილი** (100). საკუთარი ხარჯით მიდიან **ლევან ნიპარიშვილი** (50) და **გიორგი ყაზარაშვილი** (54).

**ირაკლი თავაძე**

სადაურსა სად წაიყვან...

**გასული საუკუნის 70-იან წლებში საჭადრაკო სამყაროს კიდევ ერთი ნიჭიერი მოჭადრაკე მოევლინა - შვედი ქართველი კოტე კაიშაური. საქართველოში უმალვე დაინტერესდნენ ამ მოჭადრაკის ვინაობით და 1972 წლის 8 იანვარს „ლელომ" პირველმა წარუდგინა ჩვენს საზოგადოებრიობას უცხოელი თანამემამულე. მაშ ასე, გთავაზობთ ზემოხსენებულ პუბლიკაციას.**




## კოტე კაიშაური

ჩვენ გავიცანით კოტეს მამა - გიორგი კაიშაური. იგი თბილისში ცხოვრობს. ეწევა კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას, თარგმნის წიგნებს. მკითხველთა წერილები რომ ვაჩვენეთ, თვალები სიხარულით გაუბრწყინდა.

- ვინც გაიგებს, რომ კოტეს მამა ვარ, მაშინვე მეკითხება, როგორ მოხვდა თქვენი ვაჟი შვეციაშიო? გასაგებია ადამიანური ცნობისმოყვარეობა, - გვითხრა ღიმილით გიორგიმ და წუთით დადუმდა. ფიქრობდა, საიდან დაეწყო თხრობა.

- კოტე ჩემი უმცროსი ვაჟია, - განაგრძო მერე. - იგი თბილისში დაიბადა 1952 წელს. 1-ელ საშუალო სკოლაში სწავლობდა. მე-2 კლასში რომ გადავიდა, 1960 წელს, დედამისმა პოლონეთში წაიყვანა. საქმე ის არის, რომ ჩემი მეუღლე ხანკა პოლონელი გახლავთ. იგი თბილისში შევირთე სამამულო ომის მიწურულს. ევაკუირებული იყო ვარშავიდან. კარგი ოჯახი გვქონდა, მაგრამ ხანკას ნოსტალგია მოეძალა. სამშობლოსკენ მიუწევდა გული. ქალი თვალსა და ხელს შუა მეცლებოდა. რა მექნა? თავად ვერ შეველიე თბილისს, მეუღლე კი გავუშვი თავის სამშობლოში. მართალია, პოლონეთში მას აღარავინ ჰყავდა. ჰიტლერელებმა ყველა ახლობელი დაუხოცეს, მაგრამ მშობლიური მიწა უხმობდა. გამიგებთ ალბათ. პატარა კოტეს წაყვანაზე უარი ვერ ვუთხარი. მით უმეტეს, უფროსი ქალ-ვაჟი, პირველი ქორწინებიდან რომ მყავს, ჩემთან რჩებოდნენ. დედა-შვილი ვარშავაში დასახლდა. ხანკამ მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის მთავარ სამმართველოში. რა თქმა უნდა, კავშირი არასოდეს გაგვიწყვეტია.

მოგონებებმა ააფორიაქეს გიორგი. იგი შეჩერდა, თვალები ნაღველით აევსო. მერე რაღაც გაახსენდა, გაიღიმა.

- კოტე საქართველოს ბოლოს 1967 წელს ესტუმრა, - განაგრძო მასპინძელმა. - მთხოვა კვლავ ვეწვიოთ ფასანაურს, კაიშაური და კაიშაურის დიდი ველი გავიაროთ, არაგვზე გადავიდეთ და ქვეშეთში ჩავიდეთო. ამ გზით გავატარე პოლონეთში გამგზავრებამდე, რათა პატარას გულში სამუდამოდ ჩარჩენოდა მშობლიური კუთხე.

ჩვენ ხშირად ტელეფონით ვსაუბრობთ, სამწუხაროდ, მხოლოდ პოლონურად. კოტეს ძალიან გაუღარიბდა ქართული ლექსიკონი. მთხოვა წიგნები, სახელმძღვანელოები და ქართულს საფუძვლიანად ჩაუჯდა. მჯერა, მალე ისე ილაპარაკებს, როგორც ბავშვობაში. მან კარგად იცის რუსული, ინგლისური და შვედური ენები, პოლონურზე რომ არაფერი ვთქვათ. სტოკჰოლმში გადავიდა ლიცეუმის, ჩვენებურად საშუალო სკოლის დასამთავრებლად. ახლა მეთორმეტე, ბოლო კლასშია. მწერს, ატესტატს რომ ავიღებ, ვარშავაში ან თბილისში დავბრუნდებიო. იგი ხომ საბჭოთა კავშირის ქვეშევრდომია. მაგრამ არ ვიცი, დედას თავს როგორ დაანებებს.

კოტეს, ასე ვთქვათ, საჭადრაკო კარიერა თბილისში დაიწყო. მისი მუდმივი მეტოქე უფროსი ძმა ჯიმშერი იყო. ვარშავაში ბავშვი უფრო სერიოზულად დაინტერესდა ჭადრაკით. ჩანს, ნიჭი აღმოაჩნდა. ადგილობრივმა კლუბმა ყურადღება მიაქცია; შარშან კოტემ გაიმარჯვა ვარშაველ ჭაბუკთა შეჯიბრებაში. მერე კი პოლონეთის ჩემპიონიც გახდა. ამ წარმატებებმა გზა გაუკაფა დიდი სარბიელისკენ. მანამდე ვარშავის გათავისუფლების 25 წლისთავისადმი მიძღვნილ სოციალისტური ქვეყნების ჭაბუკ მოჭადრაკეთა ტურნირში პირველი ადგილი დაიკავა. შარშან ზაფხულში კოტემ საბერძნეთში ჭაბუკთა მსოფლიო პირველობაში ითამაშა. წლეულს კი შვეციის ჭაბუკებს აჯობა და ევროპის პირველი ჩემპიონატის საგზური მას მისცეს.

როგორია კოტეს მომავლის გეგმები?

დედამისი ამბობს, რომ ლიცეუმში იგი წარჩინებულ მოსწავლედაა აღიარებული, ძალიან ძლიერია მათემატიკასა და ქიმიაში. შემდგომ ალბათ ერთ-ერთი ამ მეცნიერების შესწავლას შეუდგება. ვფიქრობ, ჭადრაკს თავს არ დაანებებს. პირიქით, მეტი გატაცებით გაჰყვება ამ გზას, რაკი წარმატებები მოიპოვა.

დასასრულს გიორგიმ გვითხრა:

- შვეციაში მინდა წავიდე. კოტეს აუცილებლად გადავცემ, რომ მისი წარმატებები საქართველოშიც ყველას ახარებს.

**თ. გიორგაძე**

*„ლელო" 8 ივნისი, 1972 წ.*

***რედაქციისაგან:* *როგორც შევიტყვეთ, კოტე კაიშაური ცნობილი ფიზიკოსი და პროგრამისტი გამხდარა. შეურთავს პოლონელი მეუღლე, ჰყავს ორი ვაჟი. საქართველოშიც ჩამოდის მეგობრებთან ერთად. სტუმრობს მშობლიურ კუთხეს. ახლობლებიდან აქ ერთი და ჰყავს.***

გზაგასაყარი. ინტერვიუ ოთარ თუშიშვილთან

# გზა გავლილი და გასავლელი

**ტიტულოვანი ფალავანის, გორელი თავისუფალი სტილის მოჭიდავე ოთარ თუშიშვილის კარიერა 1993 წლიდან იწყება. იქიდან მოყოლებული მან ჭიდაობის ქომაგს უდიდესი შრომისმოყვარეობით, მიუხედავად ტრავმებისა, შეუპოვრობით დაამახსოვრა თავი და არაერთი მედლით გაიმდიდრა პირადი კოლექცია. ახლა, როცა კარიერა დაასრულა, ჭიდაობაზე შეყვარებული ადამიანი აქვე რჩება და მწვრთნელობის დაწყებას აპირებს. დღეს იგი "ლელოს" მკითხველებს თავისი მრავალწლიანი და საინტერესო სპორტული ცხოვრების შესახებ მოუთხრობს.**

- ჭიდაობა ჩემთვის იყო მთავარი საზრუნავი და საფიქრალი განვლილი ცხოვრების წლებში. ყველა სამომავლო გეგმას ერთი შეჯიბრებიდან მეორემდე მზადების პროცესს ვუთმობდი, რაიმე მიზეზის გამო გაცდენილ ერთი დღის ვარჯიშსაც კი ვინაზღაურებდი. უნდა აღვნიშნო, რომ ოჯახშიც თავიდანვე ხელს მიწყობდნენ, რომ საყვარელი საქმისთვის არაფერი მომეკლო. დასაოჯახებლადაც კარიერის მიწურულსღა მოვიცალე...

**- სპორტში პირველ ნაბიჯებს როგორ გაიხსენებდით?**

- თავდაპირველად მამამ ჩემი უფროსი ძმები მიიყვანა ნუგზარ სხირელთან სავარჯიშოდ. ასაკით პატარას და ფიზიკურად სუსტს მე არ მაჩქარებდნენ, თუმცა თავად ვიაქტიურე და ვარჯიში დავიწყე. ძმებიდან უფროსი საქართველოს ჩემპიონი იყო კადეტებში, შუათანამ მალე დაანება სპორტს თავი, მე კი ჭიდაობის გარეშე ყოფნა აღარ შემეძლო.

**- ტრავმები ხშირად გდევდა...**

- მართლაც სულ თან მდევდა ტრავმები. ახლობლები მუდამ მახსენებდნენ, რომ ხშირმა ტრავმიანობამ ჯანმრთელობა შემირყია და ჭიდაობასთან გამოთხოვებაზე მეფიქრა. გარკვეულ ეტაპზე მეც ვეთანხმებოდი, მაგრამ ცოტა გამოვკეთდებოდი თუ არა, მთავარი საფიქრალი ისევ მოახლოებული შეჯიბრებისათვის მზადება ხდებოდა.

**- პირველი წარმატება გაიხსენე...**

- 1993 წელს საქართველოს კადეტთა ჩემპიონატზე ფინალში ძალიან ძლიერი მეტოქე დავამარცხე - გვარად ბაბლუანი. ამ გამარჯვებით ადგილი დავიმკვიდრე ნაკრებში და გამეხსნა საერთაშორისო ასპარეზი, სადაც იმავე წელს კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი გავხდი.

**- 90-იან წლებში მოასპარეზე სპორტსმენთა კარიერაზე უარყოფითად იმოქმედა არასასურველმა საწვრთნელო და საშეჯიბრო პირობებმა.**

- ამ ვითარებამ, ბუნებრივია, ჩემზეც იმოქმედა. დარბაზებში ძალიან ცუდი სავარჯიშო პირობები იყო, ნაკრები გუნდები ხშირად ვერ მიდიოდნენ შეჯიბრებებზე და თუ მიდიოდნენ, ფინანსური პრობლემების გამო უმეტეს შემთხვევაში არასრული შემადგენლობით. ზოგჯერ დიდი გაჭირვებით ამა თუ იმ მასპინძელ ქალაქში ჩასულებს აწონვაზე დაგვგვიანებია. შესაბამისად, ჩვენს ნაკრებ გუნდებში არ იყო ტიტულოვან მოჭიდავეთა სიმრავლე. მაშინ წარმატებები გორის დარბაზსაც აკლდა. ტიტულოვანთაგან გორში ვარჯიშობდნენ დათო პოლოსიანი და ზაზა ზოზიროვი. ეს უკანასკნელი 1993 წელს საქართველოდან წავიდა კიდეც. მაშინ ბევრს ეჭირა გაქცევაზე თვალი, ვისაც საკუთარი თავისთვის კარგი უნდოდა, აქედან როგორმე უცხოეთში უნდა გაეღწია.

**- თავად კი ასეთი გადაწყვეტილება არ მიგიღია. 1996 წელს შთამბეჭდავი გამარჯვებებიც მოიპოვე.**

- ის სეზონი საქართველოს ჩემპიონობით დავიწყე. ევროპის ჩემპიონატზე კი ყველა შეხვედრა დიდი ანგარიშით მოვიგე. მხოლოდ ნახევარფინალში დავკარგე ქულა, მაგრამ საპასუხოდ 11 ავიღე. ფინალში მოლდოველი სპორტსმენი დავამარცხე. შემდეგ იყო მსოფლიოს ჩემპიონატი (პირველად ამ წელს ჩაინიშნა ფილა-ს მიერ ეს ორი ჩემპიონატი ერთ სეზონში), სადაც ტრავმით წარმატებით მივედი ნახევარფინალამდე. იქ კი უზბეკთან პაექრობისას ნატკენ სახეში იდაყვი მომხვდა და გონება დავკარგე. საბოლოოდ შინ ბრინჯაოს მედლით დავბრუნდი. ვინც მომიგო, ჩემპიონიც გახდა. მისმა თანაგუნდელებმა გვითხრეს, რომ ოთხი (!) წლით იყო გადაცილებული დასაშვებ ასაკს. სხვათა შორის, იმ სპორტსმენს მერე მნიშვნელოვანი წარმატება აღარც ჰქონია. ამას ხაზი იმიტომ გავუსვი, რომ მსგავსი რამ ძალიან ხშირად ემართებოდათ ასაკგადაკეთებულ მოჭიდავეებს.

**- დიდებში ევროპის და მსოფლიოს სამ-სამ გზის პრიზიორი ხარ. ჩემპიონობასთანაც ახლოს იყავი, მაგრამ...**

- ბრინჯაოს პირველი მედალი 1999 წელს, ახალგაზრდებიდან დიდებში გადასვლისთანავე ევროპის ჩემპიონატზე მოვიპოვე და დიდი სიხარულიც განვიცადე. მართალია, მომდევნო წელსაც იგივე შედეგი გავიმეორე. ძალიან დამწყვიტა გული 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატმა გუანჯოუში (ჩინეთი), სადაც ფინალურ შეხვედრაში დამარცხებით ოქროს მედლის მოპოვების შანსი დავკარგე.

**- ოთხი ოლიმპიადის მონაწილე ხარ. 2008 წელს მშობლიური ქალაქის ოკუპაციის დღეებში გიწევდა პეკინში ასპარეზობა.**

- გორის დაბომბვა დაწყებული იყო, ბორჯომის შეკრებიდან რომ ჩავედი მშობლების ქალაქიდან გასაყვანად, თუმცა მხოლოდ დედა წავიყვანე, მაგრამ როგორც კი პეკინში გავფრინდი, ისიც უკან დაბრუნდა და მშობლები ოკუპირებული ქალაქიდან მქომაგობდნენ პეკინში. რასაკვირველია ბევრს ვფიქრობდი გორში არსებულ ვითარებაზე, ოჯახის წევრებზე, მაგრამ მაქსიმალური შედეგის მიუღწევლობას ამას ვერ დავაბრალებ. საჭიდაო ხალიჩაზე გასვლისას ჭიდაობის გარდა არაფერი მახსოვდა. პეკინში, მოგეხსენებათ, საბოლოოდ მესამე ადგილი დავიკავე.

**- ჩავარდნები გქონდა, მაგრამ მაინც არ ნებდებოდი....**

- საკუთარი თავის რწმენამ და შრომისმოყვარეობამ გადამარჩინა, რომ 2000 - 2004 წლებში სპორტიდან არ წავედი. მაშინ ბევრმა ჩემზე ხელიც ჩაიქნია, ითქვა, რომ თუშიშვილის ჭიდაობა დამთავრდაო, თუმცა სულიერად არ გავტყდი. ძალიან დამეხმარა ნუგზარ სხირელიც. ვიბრძოლე და მას შემდეგ კიდევ გავხდი ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიადის პრიზიორი.

**- ყველაზე უხერხულ მეტოქედ ვინ მიგაჩნდა?**

- ელბრუს თედეევი! მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, უკრაინის ნაკრების წევრი. ხშირად მიეჭვიანია, დოპინგით ხომ არ ჭიდაობდა, რადგან არასოდეს არ იღლებოდა ხალიჩაზე. არ ჩერდებოდა და არც მეტოქეს აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას. რუსი მახაჩ მურთაზალიევიც ძალიან ძლიერი იყო და ბულგარელი მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი სერაფიმ ბარზაკოვიც, რომელთანაც ურთიერთშეხვედრებში დადებითი ბალანსი მაქვს.

**- ამას წინათ სხირელმა გვითხრა, რომ თუშიშვილს უმცროსი ასაკის მოჭიდავეებისთვის დარიგების მიცემის და მათი დადებითად დამუხტვის შესანიშნავი უნარი აქვსო.**

-ვცდილობ. ჩემს ბავშვობაში ასეთ მითითებებს გამოცდილი სპორტსმენებიდან იშვიათად თუ ვინმე იძლეოდა. ერთი-ორმა თუ დამარიგა (არ ვიცი, ალბათ პატარებისთვის არ ეცალათ), მათი სიტყვები კი დღესაც მახსოვს. ყოველთვის მინდა დრო გამოვნახო და ბავშვებს რჩევები მივცე. დარწმუნებული ვარ, რომ უფროსის დარიგება მათ ძალიან სჭირდებათ. რაკი ასეა, როგორ დავინანებ?!

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან



ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

ლეგიონის კვირა

# საახალწლო, სასიამოვნო ამბები

## ორი დებიუტი და უამრავი ცხრამეტი

გირჩევთ, ჯერ ამავე გვერდზე გამოქვეყნებულ ცხრილს გაეცნოთ და 2013 წლის პირველი კვირეულის შეჯამება უთუოდ დადებითად დაგმუხტავთ. წლეულს ხომ ისე, როგორც არასდროს გვჭირდება კლუბში კარგად მომზადებული კალათბურთელები - საქართველოს ნაკრები სექტემბერში ევროპის ჩემპიონატზე ითამაშებს.
გარდა იმისა, რომ იტალიაში მანუჩარ მარკოიშვილი და ვიქტორ სანიკიძე 19 ქულაზე ქვემოთ არ ჩამოდიან, განვლილი უქმეები ორი საინტერესო ამბით იყო გამორჩეული - ევროლიგის ჩემპიონ „ოლიმპიაკოსში" პირველი მატჩი ჩაატარა გიორგი შერმადინმა, ხოლო იტალიის რიგით მესამე ლიგაში სადებიუტო მატჩში ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა ნიკა მეტრეველს.
ამ და სხვა ამბებს უფრო ვრცლად ქვემოთ წაიკითხავთ.




კომენტარის მოგონება მკითხველისთვის მიგვინდია

### ხუთიანზე

ბერძნულ „ოლიმპიაკოსში" გიორგი შერმადინის დებიუტს 4 იანვარს ევროლიგაზე ველოდით, მაგრამ მწვრთნელმა **გიორგიოს ბარცოკასმა** იგი განაცხადში არ შეიყვანა. სამაგიეროდ კვირას, საბერძნეთის ჩემპიონატში 16 წუთით ენდო და ქართველის გარჯით უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო. შერმადინმა 4-დან 1 ორქულიანი, 4-დან 3 საჯარიმო გამოიყენა და 5 ქულას ამდენივე მოხსნა მიამატა.

„ოლიმპიაკოსმა" კი მეტად უცნაური დასახელების გუნდ, „პანელეფსინიაკოსს" მისსავე მოედანზე აჯობა - 94:76.

ნამატჩევს ბერძენი ჟურნალისტები გიორგი შერმადინის კომენტარით დაინტერესდნენ. 216 სმ სიმაღლის ქართველმა აღნიშნა, რომ ახალ გუნდში შუა სეზონში გადასვლის შემდეგ ფეხის მოკიდება იოლი არ არის:

*- „ოლიმპიაკოსი" ჩემი ახალი კლუბია. აქ ერთი კვირის უკან ჩამოვედი და პირველი შეხვედრა გავმართე. ახალ სისტემასთან მორგება იოლი არასოდესაა, თუმცა ვფიქრობ, მალე „ოლიმპიაკოსის" თამაშის სტილსაც ავუღებ ალღოს. კარგად ვითამაშეთ, დამსახურებულად მოვიგეთ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ თავისუფალი პოზიციიდან არაერთი ტყორცნა გავაცუდეთ.*

„ოლიმპიაკოსს" მომდევნო შეხვედრა კატალონიაში ელის - ევროლიგაზე 11 იანვარს „ბარსელონას" ესტუმრება.

### მესამედ 19

მანუჩარ მარკოიშვილის „კანტუ" იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტ „მილანს" ეწვია და შინ თავანეული გაბრუნდა - 84:76. ნამატჩევს კანტუელთა დამრიგებელმა **ანდრეა ტრინკიერიმ** აღნიშნა:

*- მნიშვნელოვანი მატჩი მოვიგეთ. წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს პიეტრო არადორიმ და მანუჩარ მარკოიშვილმა, რომელთა შეჩერებაც მასპინძლებს ძალიან გაუჭირდათ.*

მართლაც, მატჩის 33-ე წუთზე მანუმ „კანტუს" გადამწყვეტ იერიშს ჩაუყარა საფუძველი: ერთმანეთის მიყოლებით 6 ქულა ჩააგდო და თანაგუნდელები 69:64 დააწინაურა. ამის შემდეგ „მილანი" წინ აღარ გასულა. საქმე კი არადორიმ მოამთავრა, რომელმაც 25 ქულა ჩააგდო.

რაც შეეხება მანუჩარს, მან იტალიის ჩემპიონატში ზედიზედ მესამედ მიითვალა 19 ქულა. ამჯერად მან 29 წუთი ითამაშა, 12-დან 6 ოქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 4-დან 4 საჯარიმო ჩააგდო. მის ანგარიშზე 2 მოხსნა და 1 პასიც იყო.

გაზეთ „დეილიბასკეტში" მანუჩარის გარჯა 7.5 ბალითაა შეფასებული (მასზე მეტი მხოლოდ პიეტრო არადორის ენერა - 8). იქვე ვკითხულობთ: „მანუმ ითამაშა, როგორც ნამდვილმა ლიდერმა. გუნდს სწორედ იმ მომენტში შესძინა ქულები, როცა ყველაზე მეტად სჭირდებოდა."

გუშინ გვიან დასრულდა ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკის" თამაში, რომლის შედეგსაც ცხრილში იხილავთ. იმასაც შეგახსენებთ, რომ პარასკევს ვიქტორმაც 19 ქულა მიითვალა - ევროლიგაზე სიენელებს „ფენერბაჰჩეს" სტამბოლში დამარცხებაში დაეხმარა.

სეზონის დასაწყისში ნიკა მეტრეველი მეორელიგელ „ნაპოლიში" ჩაირიცხა, თუმცა გუნდი ისე დაიშალა, რომ თამაში ვერ მოასწრო. ნიკას 2013 წლამდე მოუწია მოცდამ და იტალიის რიგით მესამე ლიგის წარმომადგენელ „ომენაში" პირველი მატჩი 5 იანვარს ითამაშა. მისმა გუნდმა „ტრევოლიო" 71:40 დაამარცხა.

19-ს ვერც მეტრეველი ასცდა: მან 19 წუთში მეტად ეფექტურად ითამაშა - 13 ქულა 8 მოხსნა. სროლის სიზუსტე შესაშური ჰქონდა: 6-დან 4 ორქულიანი, 1-დან 1 სამიანი, 6-დან 2 საჯარიმო.

მეტრეველი მატჩის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

„ომენას" 8-8 მოგება წაგება აქვს და 18-გუნდიან ჩემპიონატში მერვე ადგილზეა.




შერმადინმა „ოლიმპიაკოსის" ფორმა პირველად მოირგო

### ამჩიტის დაიფრინა

**ნიკა ცქიტიშვილის** „ჩამპვილი" „ამჩიტს" ესტუმრა და იოლად გაიმარჯვა - 82:65. ქართველმა თავდამსხმელმა შეუცვლელად იასპარეზა და როგორც მოსალოდნელი იყო, ორმაგი დუბლი შეასრულა - 18 ქულა, 12 მოხსნა. ისევე როგორც იტალიაში მოთამაშეებმა, ნიკამაც მაღალი შედეგიანობით სტყორცნა: 10-დან 6 ორქულიანი, 2-დან 1 სამიანი ჩააგდო.



მარკოიშვილის კლასიკად ქცეული ტყორცნა

„ამჩიტის" შემადგენლობაში **მეტ ფრეიემ** (8 ქულა) ითამაშა, რომელიც შარშან თბილისური „არმიას" ღირსებას იცავდა.

„ჩამპვილს" 11 მატჩიდან 7 აქვს მოგებული და სატურნირო ცხრილში მეოთხე ადგილზეა. პირველადგილოსან „საგესს" 10 გამარჯვება უწერია.

### ისევ ბოსტონი, ისევ გარნეტი

**ზაზა ფაჩულიას** „ატლანტამ" წელი კარგად დაიწყო, მაგრამ ბოლო ორი მატჩი დათმო. ამის მიუხედავად ჯორჯიელები სატურნირო ცხრილში მესამე პოზიციას ინარჩუნებენ. ბოლო შეხვედრა ატლანტელებმა თანაკონფერენციელ, ბოლო წლების დაუძინებელ მტერ „ბოსტონთან" წააგეს. იყო მომენტი, როცა ზაზას გუნდი 16 ქულით იგებდა, მაგრამ მესამე პერიოდში ჩავარდნის გამო თამაში ვერც ბოლო რაუნდში დაალაგა და - 81:89.

მწვრთნელმა ფაჩულიას მცირე სათამაშო დრო მისცა, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა წლის ფოტოს დასაფიქსირებლად: ზაზას ფეხქვეშ მოქცეული **გარნეტი** იშვიათი სანახავია...

მწვრთნელის ცვლილების შემდეგ თამაშს თამაშზე იგებს **თორნიკე შენგელიას „ბრუკლინი"**. თითქმის ყოველი მატჩის ბოლოს მწვრთნელს თორნიკე მოედანზე გამოჰყავს, რაც 21 წლის ქართველს გამოცდილების დაგროვებაში ეხმარება.

ვაჟა სიმონიშვილი



მეტრეველმა 2013 13 ქულით გახსნა

| მოთამაშე | გუნდი | თარიღი | შეჯიბრება | VS | ანგარიში | წუთი | ქულა | მოხსნა | პასი | ჩაჭრა | დაფარება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა (NBA) | 31.12 | NBA | ჰიუსტონი VS | 123:104 | 16 | 2 | 2 | 2 | 0 | 0 |
| | | 1.01 | NBA | ნიუ ორლეანი VS | 86:95 | 20 | 12 | 10 | 0 | 0 | 1 |
| | | 4.01 | NBA | დეტროიტი VS | 85:84 | 20 | 9 | 6 | 0 | 0 | 0 |
| | | 5.01 | NBA | VS ბოსტონი | 81:89 | 14 | 2 | 2 | 0 | 0 | 0 |
| თორნიკე შენგელია | ბრუკლინი (NBA) | 31.12 | NBA | სან ანტონიო VS | 104:73 | 9 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 |
| | | 2.01 | NBA | ოკლაჰომა VS | 93:110 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | | 4.01 | NBA | ვაშინგტონი VS | 113:115 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 5.01 | NBA | VS საკრამენტო | 113:93 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | კანტუ (იტ) | 6.01 | იტალიის ჩემპ. | მილანი VS | 76:84 | 29 | 19 | 2 | 1 | 1 | 0 |
| ვიქტორ სანიკიძე | მონტეპასკი (იტ) | 4.01 | ევროლიგა | ფენერბაჰჩე (თურ) VS | 92:98 | 27 | 19 | 8 | 1 | 1 | 0 |
| | | 7.01 | იტალიის ჩემპ. | VS მონტეგრანარო | 93:79 | 26 | 13 | 12 | 1 | 0 | 1 |
| ნიკა მეტრეველი | ომენა (იტ) | 5.01 | იტალიის ჩემპ. | VS ტრევილიო | 71-40 | 19 | 13 | 8 | 1 | 0 | 1 |
| გიორგი შერმადინი | ოლიმპიაკოსი (საბ) | 4.01 | ევროლიგა | VS ბეშიქთაში (თურ) | 77:64 | არ უთამაშია | | | | | |
| | | 6.01 | საბერძნეთის ჩემპ. | პანელეფსინიაკოსი VS | 76:94 | 16 | 5 | 5 | 0 | 0 | 1 |
| ბექა ბურჯანაძე | კახასოლი (ესპ) | 6.01 | ესპანეთის ჩემპ. | VS მანრესა | 67:60 | 2 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ნიკა ცქიტიშვილი | ჩამპვილი (ლიბანი) | 2.01 | ლიბანის ჩემპ. | VS ანტრანიკი | 118:79 | 20 | 11 | 9 | 3 | 0 | 3 |
| | | 6.01 | ლიბანის ჩემპ. | ამჩიტი VS | 65:82 | 40 | 18 | 12 | 2 | 3 | 1 |
| სერგო ათუაშვილი | ეშტეღლალი (ირანი) | 31.12 | ირანის ჩემპ. | აზადი VS | 85:65 | 25 | 4 | 10 | 1 | 1 | 2 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერები

# მოწინავეთა შორის ოთხიღა დარჩა

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, პირველ დივიზიონში მე-15 ტურის შეხვედრები ძალზედ საინტერესო გამოდგა. ყველასთვის მოულოდნელად საკუთარ მოედანზე დამარცხდა გათამაშების ლიდერი „ტულონი“, რომელსაც მდევრები წამოეწივნენ. სტუმრად წააგო ქართველ მორაგბეთა კიდევ ერთმა გუნდმა „მონპელიემ“, რომელმაც მეექვსე ადგილზე გადაინაცვლა და, ამჯერად, სატურნირო ცხრილში „ქართულ გუნდებს“ მხოლოდ პირველი ოთხი საფეხურილა უჭირავთ.



მიხეილ ნარიაშვილი (მარცხნივ)

**დავით ქუბრიაშვილის, ლევან ჩილაჩავასა** და **კონსტანტინე მიქაუტაძის** „ტულონის“ მარცხს შინ პარიზულ „მეტრო რასინგთან“ არავინ ელოდა. ტულონელებს მიმდინარე ჩემპიონატში მხოლოდ ორი წაგება ჰოქნდათ და ისიც ორივე გასვლით მატჩში. ფრანგულმა სპორტულმა მედიამ პარიზელთა გამარჯვებას გმირული უწოდა და ხაზი გაუსვა ამ გუნდის შესანიშნავ თამაშს დაცვაში.

მატჩის პირველი ნახევარი ტულონელებმა ინგლისელი მგეზავის **ჯონი ვილკინსონის** ფეხჩუბონობის წყალობით გაჭირვებით მოიგეს - 9:6. შესვენების შემდეგ სამი წუთი იყო გასული, როცა სტუმრებმა კარგად ისარგებლეს მასპინძელთა მოდუნებით და ლელო გაიტანეს - 13:9. თამაშის დამთავრებამდე გუნდებმა ორ-ორი საჯარიმო გაცვალეს და „მეტრო რასინგმა“ დამსახურებული გამარჯვება მიითვალა - 19:15.

მატჩის შემდეგ კომენტარი არ გაუკეთებია „ტულონის“ მულტიმილიონერ პრეზიდენტ **მურად ბურჯელალს**. როგორც ჩანს, ის მსაჯობით უკმაყოფილო არ არის, თორემ კრიტიკის ქარცეცხლს ვერავინ დაასწრებდა და, სავარაუდოდ, თავისი გუნდის მარცხიც სამართლიანად მიაჩნია.

ქუბრიაშვილი სათადარიგოთა შორის იყო და თამაშში 64-ე წუთიდან ჩაერთო, ჩილაჩავა და მიქაუტაძე განაცხადში არ იყვნენ.

„ტულონს“ ახლა 57 ქულა აქვს და ისევ პირველ ადგილზეა. მას ოთხი ქულით ჩამორჩება და სატურნირო ცხრილის მეორე საფეხური უჭირავს **დავით ზირაქაშვილისა** და **ვიქტორ კოლელიშვილის** „კლერმონს“. „ვულკანებმა“ XV ტურში **მამუკა გორგოძის, გიორგი ჟღენტისა** და **მიხეილ ნარიაშვილის** „მონპელიეს“ უმასპინძლეს და 36:18 მოუგეს.

თამაში „მონპელიემ“, რომელსაც ამ მატჩში საქართველოს ნაკრების მესამეხაზელი **მამუკა გორგოძე** კაპიტნობდა, აქტიურად დაიწყო და უკვე მესამე წუთზე ლელო მიითვალა - 7:0. მასპინძლებმა თამაშის დალაგება მხოლოდ მე-12 წუთისთვის შეძლეს და ამ დროიდან მოყოლებული ნელ-ნელა ზრდიდნენ უპირატესობას. პირველი ნახევარი „კლერმონმა“ შვიდი ქულის სხვაობით მოიგო - 20:13.

შესვენების შემდეგ „ვულკანებმა“ ტემპს კიდევ უფრო უმატეს. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან კლერმონელები შინ იშვიათად აგებენ და ეს ბოლოს როდის მოხდა, არავის ახსოვს. მასპინძელთა სათამაშო უპირატესობა ანგარიშშიც აისახა და საბოლოოდ „მონპელიე“ 18 ქულის სხვაობით დამარცხდა - 18:36.

გორგოძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა, ზირაქაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 66-ე წუთზე შეცვალეს, ნარიაშვილი მოედანზე ექვსი წუთით ადრე გამოჩნდა, კოლელიშვილი განაცხადში არ იყო, ჟღენტი ტრავმირებულია.

დაგეგმილი, თუმცა საკმაოდ ძნელი გამარჯვება მიითვალა **ვასილ კაკოვინისა** და **ჯაბა ბრეგვაძის** „ტულუზმა“ სტუმრად აუტსაიდერთან, **თამაზ მჭედლიძის** „მონ დე მარსანთან“ - 16:12. ტულუზელებმა ბოლო ტურებში არასტაბილურად ითამაშეს და პოზიციები ოდნავ დათმეს.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია, რომ საფრანგეთის ჩემპიონის თამაშის ხარისხიც საგრძნობლად გაუარესდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძნელი ასახსნელია აუტსაიდერთან ასეთი გაჭირვებით გამარჯვება. მატჩში გადამწყვეტი, მე-12 წუთზე რაგბიში მობრუნებული მოთამაშე-მწვრთნელის **ვილიამ სერვას** მიერ გატანილი ლელო აღმოჩნდა.

კაკოვინი სათადრიგოთა შორის იყო და თამაშში 58-ე წუთიდან ჩაერთო, ბრეგვაძე და მჭედლიძე განაცხადში არ იყვნენ.

ტულუზელებს 50 ქულა დაუგროვდათ და მესამე ადგილზე არიან. მათ ექვსი ქულით ჩამორჩება **ანტონ ფეიქრიშვილის** „კასტრი“, რომელმაც სტუმრად წააგო დაძაბულ ბრძოლაში დივიზიონის დებიუტანტ „გრენობლთან“ - 12:14. აღსანიშნავია, რომ მასპინძლებმა 14 ქულას თავი ჯერ კიდევ 44 წუთისთვის მოუყარეს, როცა მეტოქეს ცხრა ქულით უსწრებდნენ - 14:5.

„ალპელებმა“ თამაშის დასრულებამდე მონაგარს ველარაფერი შემატეს, ჩვენებურის გუნდმა ანგარიშის ორ ქულამდე შემცირება მხოლოდ 70-ე წუთზე შეძლო. მასპინძლებმა მატჩის დასრულებამდე დარჩენილი 10 წუთი მაქსიმალური ყურადღებით, უშეცდომოდ ჩაატარეს და მორიგი გამარჯვება მოიპოვეს.

„გრენობლი“ ამ გამარჯვებით 42 ქულით მეხუთე ადგილზე გადაბარგდა და „კასტრს“ ორი ქულით ჩამორჩება. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს.

**ზურაბ ჟვანიას** „სტად ფრანსემ“, რომელიც სატურნირო ცხრილში 32 ქულით მე-10 ადგილზეა, შინ დაამარცხა ბასკური „ბაიონი“ - 21:13. პარიზელებს ყველა ქულა ფულბეკმა ჟერომ პორიკალმა მოუტანა. ჟვანიას არ უთამაშია.

ერთ-ერთმა აუტსაიდერმა, **ზაზა ნავროზაშვილის** „ბორდომ“ კი სტუმრად წააგო „პერპინიანთან“ - 16:26. ჩვენებური განაცხადში არ იყო. „ბორდოს“ ახლა 18 ქულა აქვს და სატურნირო ცხრილში მე-12 ადგილზეა.

### I დივიზიონი

#### XV ტური

**ბიარიცი-აჟენი 16:11, კლერმონი-მონპელიე 36:18, გრენობლი-კასტრი 14:12, პერპინიანი-ბორდო 26:16, სტად ფრანსე-ბაიონი 21:13, მონ დე მარსანი-ტულუზი 12:16, ტულონი-მეტრო რასინგი 15:19.**

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ტულონი - 57 ქულა, 2. კლერმონი - 53, 3. ტულუზი - 50, 4. კასტრი - 44, 5. გრენობლი - 42, 6. მონპელიე - 41, 7. ბიარიცი - 36, 8. მეტრო რასინგი - 34, 9. პერპინიანი - 34, 10. სტად ფრანსე - 32, 11. ბაიონი - 26, 12. ბოროდო - 18, 13. აჟენი - 18, 14. მონ დე მარსანი - 8.

#### XVI ტური

**პერპინიანი-კლერმონი, ტულუზი-ბიარიცი, ბაიონი-კასტრი, სტად ფრნასე-გრენობლი, აჟენი-მონპელიე, ტულონი-მონ დე მარსანი, ბორდო-მეტრო რასინგი.**

■ ■ ■

კელტთა ლიგაში მორიგი მარცხი იწვნია საქართველოს ნაკრების მესამეხაზელის, **დიმიტრი ბასილაიას** „ედინბურგმა“. ჩვენებურის ამ გუნდმა ამჯერად შინ წააგო ევროპული რაგბის ერთ-ერთ გრანდთან ირლანდიურ „ლენსტერთან“ - 16:31. აღსანიშნავია, რომ სტუმართა ეს გუნდი „სამყურების“ ანუ ირლანდიის ნაკრების საბაზო გუნდია.

ბასილაია ძირითად შემადგენლობაში იყო და ცუდად არ გამოიყურებოდა. მეტიც, მატჩის დასაწყისში დაცვაში თამაშისას ჯერ მეტოქის მგეზავი **ჯონათან სექსტონი** შებოჭა, რომელსაც მერე დაახლოებით ორი წუთის განმავლობაში ასულიერებდნენ, მოგვიანებით კი „ლენსტერისა“ და მსოფლიოს რაგბის ლეგენდას **ბრაიან ოდრისკოლს** ბოჭვისას ბურთი ხელიდან გააგდებინა.

ბასილაია 55-ე წუთზე შეცვალეს. „ედინბურგი“ ახლა 22 ქულით მე-9 ადგილზეა. ტურის ცენტრალურ მატჩში კი ირლანდიურმა „ალსტერმა“ შინ დიდი ანგარიშით - 47:15 დაამარცხა უელსური „ჰლანეჰლი“. ეს უკანასკნელი ამ მარცხის შედეგად მეორედან მეოთხე საფეხურზე დაქვეითდა. მისი ადგილი კი შოტლანდიურმა „გლაზგომ“ დაიკავა, რომელმაც ზედიზედ ოთხი თამაშის მოგება შეძლო. გლაზგოელებმა, ამჯერად, შინ დაამარცხეს იტალიური „ბენეტონი“ - 41:7.

### კელტთა ლიგა

#### XIII ტური

**ალსტერი-ჰლანეჰლი 47:15, ოსფრიზი-ზებრე 16:15, გლაზგო-ბენეტონი 41:7, ედინბურგი-ლენსტერი 16:31, ქონოთი-ნიუპორტი 30:11, მანსტერი-კარდიფი 6:17.**

#### სატურნირო მდგომარეობა

1. ალსტერი - 52 ქულა, 2. გლაზგო - 41, 3. ლენსტერი - 40, 4. ჰლანეჰლი - 38, 5. მანსტერი - 37, 6. ოსფრიზი - 35, 7. კარდიფი - 28, 8. ბენეტონი - 27, 9. ედინბურგი - 22, 10. ქონოთი - 20, 11. ნიუპოტი - 14, 12. ზებრე - 6.

#### XIV ტური

**მანსტერი-ედინბურგი, კარდიფი-ლენსტერი, ჰლანეჰლი-ქონოთი, ნიუპორტ-ბენეტონი, ალსტერი-ოსფრიზი, ზებრე-გლაზგო.**



მამუკა გორგოძე (მარცხნივ)

ერთა თასი



# ადგილობრივი ბორჯღალოსნები უკვე ემზადებიან

საქართველოს ნაკრები 2 თებერვლიდან "ერთა თასის" გათამაშებაში ჩაებმება, რომელიც იმავდროულად 2015 წელს ინგლისში გასამართავი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევი ტურნირიცაა. პირველ შეხვედრას „ბორჯღალოსნები“ სტუმრად, ბრიუსელში ტურნირის დებიუტანტ ბელგიის ნაკრებთან გამართავენ.

ამ მატჩისთვის მზადებას ქართველი მორაგბეები უკვე შეუდგნენ. ჩვენი ეროვნული გუნდის თავკაცმა **მილტონ ჰეიგმა** საქართველოში მოთამაშე ნაკრების კანდიდატები, სულ 16 მორაგბე, შეკრიბა და „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ კვირაში ორჯერ ავარჯიშებს.

გამოძახებულთა შორის ძირითადად უკანახაზელები არიან. მორკინალთაგან ჰეიგმა შერკინების კვაჭები **შალვა მამუკაშვილი** (არმია) და **რეზო ბელქანია** (ლელო), ასევე მესამეხაზელები **ბექა ბიწაძე და გიორგი თხილაიშვილი** (ორივე-არმია) გამოიძახა.

სანაკრებო კანდიდატთა სიაში პირველად მოხვდა „არმიას“ ცხრა ნომერი, 20 წლის **რამაზ ჯინაშვილი**, მასზე ერთი წლით უმცროსია ასევე ცხრა ნომრის პოზიციაზე მოთამაშე **ვაჟა ხუციშვილი** (ხარები). საინტერესო მოთამაშეა ასევე 20 წლის ქუთაისელი გარემარბი **გიორგი ფრუიძე**.

ალსანიშნავია, რომ გამოძახებულთა შორის ოთხი ფულებეკია. ეს ის პოზიციაა, რომელზეც ეროვნულ გუნდში ყველაზე სერიოზული კრიზისი გვაქვს. მის აღმოფხვრას **ირაკლი ყიასაშვილი** (ლელო), **ბექა ნიკლაური** (ლოკომოტივი), **საბა ნიკოლავა** და **ბახვა კობახიძე** (ორივე-არმია) შეეცდებიან. ძნელი სათქმელია, ჰეიგი რომელს ენდობა. ბოლო შეხვედრებში ფულბეკად რეგულარულად ყიასაშვილი თამაშობდა.

გამოცდილთაგან "ერთა თასისთვის" ემზადებიან **გიორგი ბეგაძე** (ბათუმი), **გიოგი თხილაიშვილი** (არმია), **ლაშა ხმალაძე, ლექსო გუგავა** (ორივე-ლელო), **ირაკლი მაჩხანელი** (არმაზი) და **მერაბ შარიქაძე** (ჰართპური).

შეგახსენებთ, რომ მსოფლიოს რაგბის უდიდეს ფორუმზე, 2013-2014 წლების "ერთა თასის" გათამაშებების ჯამური შედეგით, პირველ და მეორე ადგილზე გასულები ავტომატურად მოხვდებიან. მესამე ადგილოსანს კი რეპეშაჟის გრძელი გზის გავლა მოუწევს.

საქართველოს ნაკრების გაფართოებული შემადგენლობა მომავალი კვირის დასაწყისში გახდება ცნობილი.

**საქართველოს ნაკრები:** გიორგი ბეგძე (ბათუმი), ვაჟა ხუციშვილი (ხარები), რამაზ ჯინაშვილი, საბა ნიკოლავა, ბახვა კობახიძე, შალვა მამუკაშვილი, ბექა ბიწაძე, გიორგი თხილაიშვილი, (ექსვსივე-არმია), ლაშა ხმალაძე, ირაკლი ყიასაშვილი, რეზო ბელქანია, ლექსო გუგავა (ოთხივე-ლელო), მერაბ შარიქაძე (ჰართპური), ბექა ნიკლაური (ლოკომოტივი), ირაკლი მაჩხანელი (არმაზი), გიორგი ფრუიძე (აია).

### ერთა თასი 2013

#### 2 თებერვალი

ბელგია-საქართველო

#### 9 თებერვალი

საქართველო-პორტუგალია

#### 23 თებერვალი

რუსეთი-საქართველო

#### 9 მარტი

საქართველო-ესპანეთი

#### 16 მარტი

რუმინეთი-საქართველო

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

● ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა



ჰოპმანის თასის ფინალისტები

## ნოვაკმა მოიგო და წააგო

გასული კვირის მეშვიდე ტურნირს ავსტრალიის ქალაქმა პერტმა უმასპინძლა, სადაც გაიმართა ჰოპმანის თასი - ტრადიციული ტურნირი შერეულ წყვილებს შორის. წელს ფორმატიც ტრადიციული იყო: რვა ქვეყანა ორ ჯგუფად გაყვეს და ქვეჯგუფების გამარჯვებულები ფინალში გადიოდნენ.

A ჯგუფში ბატონობდა სერბეთის ნაკრები. მართალია, მეორე ტურში **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მოულოდნელად წააგო **ბერნარდ ტომიჩთან**, მაგრამ სერბებმა მაინც მოუგეს ავსტრალიას - 2:1, ხოლო იტალიასთან და გერმანიასთან მატჩებში ყველაფერი მიქსტის შეხვედრამდე გადაწყდა: ჯოკოვიჩიც და **ანა ივანოვიჩიც** ახერხებდნენ ერთეულთა მატჩების მოგებას.

B ჯგუფში წაუგებელი აღმოჩნდა ესპანეთის ნაკრები. ამ გუნდში სუსტი წერტილი იყო **ფერნანდო ვერდასკო**, რომელმაც ქვეჯგუფში სამიდან ორი ერთეულთა მატჩი წააგო, მაგრამ მონოდების სიმაღლეზე იყო **ანაბელ მედინა გარიგესი**, თან მიქსტში ესპანელებს ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ. გარდა ამისა, აშშ-სთან გადამწყვეტ მატჩში პირენეელებს გაუმართლათ, რადგან **ჯონ ისნერმა** ტრავმის გამო კორტზე გასვლა ვერ შეძლო და ამერიკელებს 0:3 ტექნიკური წაგება ჩაეთვალათ.

ფინალური მატჩი გახსნეს ჯოკოვიჩმა და ვერდასკომ. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს ცხრიდან ოთხ შეხვედრაში დამარცხებული ჰყავდა სერბი, მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწყო მსოფლიოს პირველ ჩოგანთან. პირველ სეტში ჯოკოვიჩმა სწრაფად გააკეთა ბრეიკი, თავის მოწოდებას კი ძალიან დამაჯერებლად ინარჩუნებდა და ფერნანდოს ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მისცა. მეორე პარტია უფრო დაძაბული გამოვიდა - ვერდასკომ მოახერხა ტემპის მომატება და რამდენიმე გეიმი მაღალ დონეზე ჩაატარა, რითაც 3:0 დაწინაურდა. თუმცა ამით ესპანელის წარმატებები დასრულდა - მან ნოვაკს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა, მე-11 გეიმში კი ისევ წააგო თავისი მოწოდება და დამარცხდა - 3:6, 5:7.

ივანოვიჩისა და მედინა გარიგესის შეხვედრა ძალიან დაძაბული და უშელავათო გამოვიდა. თამაში ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა, რაც იმის ბრალი იყო, რომ ესპანელმა ჩაითრია მეტოქე უკანა ხაზზე თამაშში. თანაც, ივანოვიჩი ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა. საბოლოოდ, სერბმა წააგო პირველი პარტია, მეორეში სეტზე აწვდიდა, მაგრამ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და იქ ანამ მაინც მოიგო, თუმცა მესამე სეტში მედინა-გარიგესი ძალიან კარგად გამოიყურებოდა და მოიგო - 6:4, 6:7(3), 6:2.

ასე რომ, რიგით 25-ე ჰოპმანის თასის ბედი მიქსტში წყდებოდა. აქ ესპანეთს უფრო მეტი შანსი ჰქონდა, რადგან ჯოკოვიჩი და ივანოვიჩი წყვილში თითქმის არ თამაშობენ. პირველ სეტში ხუთი ბრეიკი აღინიშნა, აქედან სამი ესპანეთისა იყო და მან 6:4 მოიგო. მეორე პარტიაში ორივე წყვილი დამაჯერებლად ინარჩუნებდა თავის მოწოდებას და ყველაფერი მე-11 გეიმში გადაწყდა, როცა ესპანურმა დუეტმა აიღო გეიმი ივანოვიჩის მოწოდებაზე. სერბეთმა ანგარიშის გათანაბრება ვერ შეძლო და ესპანეთმა ბოლო ოთხ წელიწადში მეორედ (სულ მეოთხედ) მოიგო ჰოპმანის თასი

| ჰოპმანის თასი | |
|---|---|
| პერტი (ავსტრალია). ჰარდი | |
| საპრიზო ფონდი: $1 000 000 | |
| ესპანეთი–სერბეთი | 2:1 |
| 0:1 ვერდასკო–ჯოკოვიჩი 3:6, 5:7 | |
| 1:1 მედინა გარიგესი–ივანოვიჩი 6:4, 6:7(3), 6:2 | |
| 2:1 მედინა გარიგესი/ვერდასკო–ივანოვიჩი/ჯოკოვიჩი 6:4, 7:5 | |

## ფავორიტები იგებენ

ორთვიანი შესვენება დასრულდა და 31 დეკემბრიდან სტარტი აიღო ახალმა საჩოგბურთო სეზონმა. საწყისი კვირა მეტად დახუნძლული გამოვიდა - ქალებმა და კაცებმა ექვს ტურნირში გაარკვიეს გამარჯვებული.

ქალებს შორის, ყველაზე დიდ ყურადღებას, რა თქმა უნდა, ბრისბენის ტურნირი იწვევდა, სადაც WTA-ის ტურის „დიდი ტრიო" უნდა შეკრებილიყო, მაგრამ ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ **მარია შარაპოვა** საერთოდ არ ჩავიდა სათამაშოდ, **ვიქტორია აზარენკამ** კი ორი მატჩის მოგების შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა. საბოლოოდ, ისე გამოვიდა, რომ ამერიკელი **სერენა უილიამსი** უკონკურენციოდ დარჩა.

ასე რომ, ერთი ფინალისტის ვინაობა ეჭვს თითქმის არ იწვევდა, რაც შეეხება მეორე ფინალისტს, აქ კანდიდატი ძალიან ბევრი იყო, მაგრამ **სარა ერანიმ, პეტრა კვიტოვამ, ანჟელიკ კერბერმა, სამანტა სტოსურმა** და **კაროლინ ვოზნიაცკიმ** ნახევარფინალამდეც ვერ მიაღწიეს.

ერთი ნახევარფინალური წყვილი მოულოდნელად დააკომპლექტეს რუსმა **ანასტასია პავლიუჩენკოვამ** და უკრაინელმა **ლესია ცურენკომ**. ამ უკანასკნელმა ბრისბენში კვლაფიკიაციის გავლა ვერ შეძლო და ძირითად ბადეში შარაპოვას უარის გამო მოხვდა. ეს შანსი მან შესანიშნავად გამოიყენა - კარიერაში პირველად გავიდა WTA-ის ტურნირის ნახევარფინალში. პავლიუჩენკოვასთან მატჩიც უკრაინელმა კარგად დაიწყო და პირველი სეტი 6:4 მოიგო, მაგრამ მეორე სეტიდან მოყოლებული, რუსმა თავისი თამაში იპოვა და მომდევნო ორ პარტიაში მხოლოდ სამი გეიმი დათმო.

რაც შეეხება სერენა უილიამსს, მას ფინალამდე სერიოზული მეტოქეები არ ჰყოლია და ორ სეტში მოუგო **ლეპჩენკოს, კორნესა** და **სტივენსს**, თუმცა ამ უკანასკნელთან ნახევარფინალში შვიდი გეიმი დათმო.

პავლიუჩენკოვამ ცუდად არ დაიწყო გადამწყვეტი მატჩი. ის ცდილობდა თავის მოწოდებაზე ინიციატივა ხელიდან არ გაეშვა, მაგრამ დიდი ხანი ამერიკელთან თანაბარი თამაში ვერ შეძლო. უილიამსმა მეექვსე გეიმში გააკეთა პირველი ბრეიკი და ამის შემდეგ, მთლიანად დაანესა მატჩზე კონტროლი. საბოლოოდ, ფინალი მხოლოდ 51 წუთი გაგრძელდა და სერენამ 6:2, 6:1 მოიგო. რუსმა ფინალში გასვლით რეიტინგის 24-ე პოზიციაზე გადაინაცვლა და ავსტრალიის ღიას განთესილებს შორის მოხვდა, სერენამ კი კარიერაში 47-ე ტიტული მოიპოვა.

■ ■ ■

ნახევარი მილიონი თამაშდებოდა ჩინეთის ქალაქ შენჟენში. ტურნირის მთავარი ვარსკვლავი იყო ადგილობრივი პუბლიკის კერპი - **ნა ლი**. ასევე განაცხადი ჰქონდათ შეტანილი **მარიონ ბარტოლისა** და **ელენა იანკოვიჩს**, თუმცა სერბი ჩინეთში სათამაშოდ არ ჩასულა.

ნა ლიმ ფინალში სრულიად კანონზომიერად გააღწია - არც ერთ მატჩში სერიოზული პრობლემა არ შექმნია. არანაკლებ დამაჯერებელი გზა გაიარა ფინალამდე **კლარა ზაკოპალოვამ**. 30 წლის ჩეხმა, ლის მსგავსად, სეტის წაუგებლად გაიმარჯვა ყველა მატჩში, მათ შორის, მეოთხედფინალში სძლია ფავორიტ ბარტოლის.

ფინალში ნა ლისთვის ყველაფერი კარგად დაიწყო, მაგრამ მეორე სეტი მან მთლიანად ჩააგდო - მხოლოდ ერთი გეიმის აღება მოახერხა. გადამწყვეტ პარტიაში ჩინელი 5:2-ს იგებდა, მაგრამ ზაკოპალოვა ნაადრევად არ დანებდა და გაათანაბრა ანგარიში, თუმცა ჩააგდო მატჩის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი - 6:3, 1:6, 7:5. ჩინელმა კარიერაში მეშვიდე ტიტული მოიგო და პირველად ბოლო ცხრა წლის განმავლობაში, სამშობლოში გაიმარჯვა. ახლა, ლი რეიტინგში **სარა ერანის** გაუსწრებს და მეექვსე ადგილამდე ამაღლდება.

■ ■ ■

წელს, ოკლენდის ტურნირი ოცდამერვედ ჩატარდა. ახალი ზელანდიის დედაქალაქში ყოველ წელს ჩადის ერთიორი ვარსკვლავი. ამჯერად ეს როლი პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკას** ერგო. უიმბლდონის ჩემპიონმა გაამართლა მასზე გაცემული ავანსები და ფინალამდე გააღწია, თუმცა ნახევარფინალში მოულოდნელად, სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა ბრიტანელი **ჯეიმი ჰემპტონისგან**. პოლონელს ორი ტაიბრეიკის თამაში დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად.

ფინალში აგნიეშკას მეტოქე გახდა **იანინა ვიკმაიერი**, რომელსაც ნახევარფინალში დიდი წინააღმდეგობა გაუწია **მონა ბარტელმა**. იანინამ მხოლოდ მესამე სეტის ტაი-ბრეიკზე შეძლო გამარჯვების გაფორმება. საერთოდ, ვიკმაიერი ოკლენდში ყოველთვის კარგად გამოდის. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ის მესამედ გავიდა ფინალში, 2010 წელს კი მთავარი პრიზის მოპოვებაც შეძლო. თუმცა ამჯერად, მან ვერ მოახერხა წარმატების გამეორება. რადვანსკა ძლიერად გამოიყურებოდა, გადალახა მეორე სეტის სტარტზე მცირე ჩავარდნა და 6:4, 6:4 მოიგო. პოლონელმა კარიერაში მე-11 და ავსტრალიის კონტინენტზე პირველი ტიტული მოიგო.

ასე რომ, ახალი სეზონის პირველ კვირას ტიტულები მოიპოვეს რეიტინგის ტოპ-ათეულის წარმომადგენლებმა, რაც მათ კარგ მზადყოფნაზე მიუთითებს ავსტრალიის ღია პირველობის წინ.

**ბრისბენი (ავსტრალია). ჰარდი**

**ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 3)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:2, 6:1.

**ოკლენდი (ზელანდია). ჰარდი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 1)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 3) 6:4, 6:4.

**შენჟენი (ჩინეთი). ჰარდი**

**ნა ლი (ჩინ, 1)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ, 5) 6:3, 1:6, 7:5.


სერენა უილიამსი

## ენდიმ ტიტულით დაიწყო

ასევე სამი ტურნირი ჩატარდა მამაკაცებს შორის და აქაც, სამივეში ტოპ-ათეულის წევრებმა იმარჯვეს: ბრისბენში **ენდი მარეიმ**, ჩენაიში - **იანკო ტიპსარევიჩმა** და დოჰაში - **რიშარ გასკემ**.

ტოპ-ოთხეულის წევრებიდან ATP-ის ტურნირებზე მხოლოდ მარეი ვიხილეთ საქმეში, რომელმაც საკმაოდ რთული გზა გაიარა ბრისბენში შარშანდელი ტიტულის დაცვისკენ. მაგალითად, ნახევარფინალში ის 1:4 ჩამორჩა პირველ სეტში იაპონელ **კეი ნიშიკორის**, მაგრამ შემდეგ ზედიზედ შვიდი გეიმი აიღო და ბოლოს აზიელმა ტრავმის გამო შეწყვიტა მატჩი.

კიდევ უფრო რთული გამოდგა ფინალი ბულგარელი **გრიგორ დიმიტროვის** წინააღმდეგ, რომელსაც დებიუტი ჰქონდა ბრისბენში და კარიერაში პირველად გავიდა ATP-ის ტურნირის ფინალში.

ბულგარელს უკვე დიდი ხანია დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ და აქტიურად ადარებენ **როჯერ ფედერერს**. 17 წლის ასაკში დიმიტროვმა მოიგო იუნიორებს შორის უიმბლდონი და ამერიკის ღია პირველობა. მისი და ფედერერის ყოფილი მწვრთნელი **პეტერ ლუნდგრენი** აცხადებდა, რომ გრიგორი მის ასაკში როჯერზე უკეთ თამაშობდა. თუმცა ბულგარელს „დიდებში" გადასვლა გაუჭირდა და როგორც გითხარით, ბრისბენში ფინალი მისი პირველი დიდი წარმატება აღმოჩნდა.

ფინალამდე დიმიტროვმა მოუგო **რაონიჩს, მელცერსა და ბაღდატისს** და მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, გადამწყვეტ მატჩშიც დაამარცხებდა მარეის. პირველ სეტში მან ადრეული ბრეიკი გააკეთა და დიდხანს ინარჩუნებდა ამ უპირატესობას, მაგრამ 5:3-ზე სეტზე ვერ ჩააწოდა, 5:4-ზე კი სეტბოლი ვერ გამოიყენა. საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც მარეიმ 7:0 მოიგო.

მეორე სეტშიც პირველი ბრეიკი დიმიტროვისა იყო - შვიდი გეიმის შემდეგ, მან 4:3 წაიყვანა ანგარიში, მაგრამ ენდიმ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შეხვედრა მესამე სეტში არ გადასულიყო, აიღო ზედიზედ სამი გეიმი და კარიერაში 25-ე ტიტული მოიპოვა.


ენდი მარეი

**ბრისბენი (ავსტრალია). ჰარდი**

**ფინალი**

**ენდი მარეი (ბრიტ, 1)**-გრიგორ დიმიტროვი (ბულ) 7:6(0), 6:4.

**ჩენაი (ინდოეთი). ჰარდი**

**ფინალი**

**იანკო ტიპსარევიჩი (სერ, 2)**-რობერტო ბაუტისტა-აგუტი (ესპ) 3:6, 6:1, 6:3.

**დოჰა (კატარი). ჰარდი**

**ფინალი**

**რიშარ გასკე (საფ, 2)**-ნიკოლაი დავიდენკო (რუს) 3:6, 7:6(4), 6:3.

## განთესილები ავსტრალიის ღიაზე

სეზონში „დიდი სლემის" პირველი ტურნირის - ავსტრალიის ღია პირველობის ორგანიზატორებმა გუშინ გამოქვეყნებული რეიტინგის მიხედვით მამაკაცთა და ქალთა ტურნირში განთესილთა სია შეადგინეს. ორივე შემთხვევაში ჩამონათვალს სათავეში ჩაუდგნენ მსოფლიოს პირველი ნომრები და ავსტრალიის ღიას მოქმედი ჩემპიონები - სერბი **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკა**.

**მამაკაცები**

1. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი), 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია), 3. ენდი მარეი (ბრიტანეთი), 4. დავიდ ფერერი (ესპანეთი), 5. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი), 6. ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა), 7. ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფრანგეთი), 8. იანკო ტიპსარევიჩი (სერბეთი), 9. რიშარ გასკე (საფრანგეთი), 10. ნიკოლას ალმაგრო (ესპანეთი), 11. ხუან მონაკო (არგენტინა), 12. ჯონ ისნერი (აშშ), 13. მარინ ჩილიჩი (ხორვატია), 14. მილოშ რაონიჩი (კანადა), 15. ჟილ სიმონი (საფრანგეთი), 16. სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია), 17. კეი ნიშიკორი (იაპონია), 18. ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია), 19. ალექსანდრ დოლგოპოლოვი (უკრაინა), 20. ტომი ჰაასი (გერმანია), 21. სემ კუერი (აშშ), 22. ანდრეას სეპი (იტალია), 23. ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი), 24. მიხაილ იუჟნი (რუსეთი), 25. იერჟი იანოვიჩი (პოლონეთი), 26. ფლორიან მაიერი (გერმანია), 27. იურგენ მელცერი (ავსტრია), 28. მარტინ კლიჟანი (სლოვაკეთი), 29. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი), 30. ტომაშ ბელუჩი (ბრაზილია), 31. რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი), 32. მარსელ გრანოლერსი (ესპანეთი).

**ქალები**

1. ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი), 2. მარია შარაპოვა (რუსეთი), 3. სერენა უილიამსი (აშშ), 4. აგნიეშკა რადვანსკა (პოლონეთი), 5. ანჟელიკ კერბერი (გერმანია), 6. ნა ლი (ჩინეთი), 7. სარა ერანი (იტალია), 8. პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი), 9. სამანტა სტოსური (ავსტრალია), 10. კაროლინ ვოზნიაცკი (დანია), 11. მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი), 12. ნადია პეტროვა (რუსეთი), 13. ანა ივანოვიჩი (სერბეთი), 14. მარია კირილენკო (რუსეთი), 15. დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი), 16. რობერტა ვინჩი (იტალია), 17. ლუსი საფაროვა (ჩეხეთი), 18. იულია გორგესი (გერმანია), 19. ეკატერინა მაკაროვა (რუსეთი), 20. იანინა ვიკმაიერი (ბელგია), 21. ვარვარა ლეპჩენკო (აშშ), 22. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი); 23. კლარა ზაკოპალოვა (ჩეხეთი), 24. ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი), 25. ვენუს უილიამსი (აშშ); 26. სუ-ვეი ჰსიე (ტაივანი), 27. სორანა კირსტეა (რუმინეთი), 28. იაროსლავა შვედოვა (ყაზახეთი), 29. სლოუნ სტივენსი (აშშ); 30. ტამირა პაჩეკი (ავსტრია), 31. ურსულა რადვანსკა (პოლონეთი), 32. მონა ბარტელი (გერმანია).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი

# ლოკაუტი დასრულდა, ნამდვილი ჰოკეი იწყება

*„მალე თქვენ ჰოკეის ნახავთ და არა ჩემი და გერი ბეტმენის სახეებს“,* - განაცხადა 16-საათიანი შეხვედრის შემდეგ პროფკავშირების პრეზიდენტმა **დონ ფერმა**. ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, როგორც იქნა, დასრულდა ლოკაუტი. ლიგის ხელმძღვანელობამ და მოთამაშეებმა მიაღწიეს წინასწარ შეთანხმებას გაფიცვის შეწყვეტის შესახებ.

*„მე და დონ ფერი აქ მოვედით იმის გამო, რომ გაცნობოთ - მოვილაპარაკეთ ახალი კოლექტიური ხელშეკრულების ძირითად პუნქტებზე, რომელთა დეტალები ოფიციალური დოკუმენტებით უნდა გავამყაროთ. წინ კიდევ ბევრი სამუშაოა, მაგრამ ძირითად პუნქტებზე შეთანხმებას მივაღწიეთ.*

*უნდა გავიაროთ რატიფიკაციის პროცესი, კლუბების მფლობელთა საბჭომ უნდა დაადასტუროს ლიგის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი და ბუნებრივია, იგივე უნდა გააკეთონ მოთამაშეებმა. ჯერჯერობით არ შეგვიძლია იმის თქმა, როდის დაიწყება სეზონი. მაგრამ იმედია, მოგვიანებით, ჩვენ უფრო მეტ ინფორმაციას მოგაწვდით ამის შესახებ“,* - განაცხადა NHL-ის კომისარმა **გერი ბეტმენმა**.

ბოლო ორი დღე-ღამის განმავლობაში, ჩატარდა 13 და 16-საათიანი მოლაპარაკებები. დადგინდა, რომ 2013-14 წლების სეზონში სახელფასო ბიუჯეტის ლიმიტი 64.3 მილიონი დოლარი იქნება. კონტრაქტების მაქსიმალური ხანგრძლივობა - შვიდი წელი, ხელშეკრულების გაგრძელების შემთხვევაში - რვა წელი. ახალი კოლექტიური ხელშეკრულება 10 წლით გაფორმდება...

თუმცა ოფიციალურ გარიგებამდე ჯერ შორია, რადგან ხელშეკრულების ყველა პირობა უნდა შეამოწმონ იურისტებმა და შემდეგ გადაიტანონ ქაღალდზე. ამის შემდეგ, კლუბების მფლობელებმა და პროფკავშირმა კენჭი უნდა უყარონ მიღებულ ხელშეკრულებას.

სწორედ რატიფიკაციის პროცესის ხანგრძლივობაზე იქნება დამოკიდებული სეზონის დაწყების თარიღი. რეგულარული ჩემპიონატი 15 იანვარზე ადრე არ დაიწყება. ყველაზე რეალური ვარიანტია - სტარტი 19 იანვარს, გუნდები კი ჩემპიონატში 48 შეხვედრას ჩაატარებენ და მეტოქეებად მხოლოდ საკუთარი კონფერენციის ბინადარი კლუბები ეყოლებათ.



მოლაპარაკებების დროს, განხილვის ერთ-ერთი პუნქტი იყო NHL-ის მოთამაშეების მონაწილეობა სოჭის 2014 წლის ოლიმპიადაზე. თავდაპირველად გამოცხადდა, რომ ლიგის ხელმძღვანელობამ თავის მოთამაშეებს ზამთრის ოლიმპიადაზე გამოსვლის ნება დართო, მაგრამ მოგვიანებით გამოცხადდა, რომ ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. მას ცალკე განიხილავენ ოთხმხრივ შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი, NHL-ის ხელმძღვანელობა და NHL-ის მოთამაშეთა ასოციაცია.

# 2013 წლის პირველი ჩემპიონი

2013 წელს, მსოფლიოს პირველი ჩემპიონი გახდა ჰოკეიში აშშ-ის 21-წლამდელთა ნაკრები. რუსეთის ქალაქ უფაში გამართულ ჩემპიონატში ამერიკელთა ფინალში გასვლა ნამდვილი სენსაცია გახდა. ცოტა ვინმეს თუ ეგონა, რომ ეს გუნდი ნახევარფინალში კანადას დაამარცხებდა. მაგრამ, აშშ-მ დიდი ანგარიშით მოიგო შეხვედრა, ხოლო ფინალში არც შვედეთის ნაკრები დაინდო. ამ უკანასკნელმა, თავის მხრივ, ნახევარფინალურ ეტაპზე კიდევ ერთ ფავორიტს - რუსეთს მოუგო ბულიტების სერიაში.

აღსანიშნავია, რომ შვედეთს ძველი წყენებისთვის შური ჰქონდა საძიებელი. საქმე ისაა, რომ 2010 წელს, მან ნახევარფინალი წააგო ამერიკასთან, რომელიც შემდეგ ჩემპიონი გახდა, 2011 წელს კი აშშ-მ ბრინჯაო წაართვა „ტრე კრუნურს“.

უგოლო პირველი პერიოდის შემდეგ, მეტოქეებმა შედეგიანი მეორე 20-წუთეულით გაახარეს მაყურებელი. ანგარიში 21-ე წუთზე **ფილიპ სანდბერგმა** გახსნა, რომელმაც დასწრებაზე აჯობა ყველას. მაგრამ, შვედები დიდი ხანი არ ყოფილან



ჩემპიონი ამერიკა

ლიდერის რანგში - კარის უკნიდან გამოვარდნილმა **როკო გრიმალდიმ** უსაქმოდ დატოვა მეკარე **ნიკლას ლუნდსტრიომი**. დაახლოებით სამ წუთში კი იმავე გრიმალდიმ ისევ ახლო მანძილიდან გამოიყენა მცველ **ჯეიკობ ტროუბის** პასი - 2:1.

ამის შემდეგ, ამერიკელებმა მოახერხეს შესანიშნავი დაცვის თამაში. შვედებს მხოლოდ ერთი მომენტი ჰქონდათ, როცა ორი მეტრიდან **კოლბერგმა** ააცილა. საბოლოოდ წერტილი **ვინს ტროჩეკმა** დასვა, რომელმაც ბოლო წამებზე ცარიელ კარში გაიტანა. შედეგად, აშშ-მ ისტორიაში მესამედ, ბოლო ოთხ წელიწადში კი მეორედ მოიპოვა ოქრო.

**აშშ-შვედეთი 3:1**

**(0:0, 2:1, 1:0)**

**გოლები:** 0:1 სანდბერგი (რაკელი), 1:1 გრიმალდი (სილოფი, ტროჩეკი), 2:1 გრიმალდი (ტროუბა), 3:1 ტროჩეკი (მილერი).

**საუკეთესო მოთამაშეები**

**MVP** - ჯონ გიბსონი (აშშ)
**მეკარე** - გიბსონი
**მცველი** - ჯეიკობ ტროუბა (აშშ)
**ფორვარდი** - რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი (კანადა)

**სიმბოლური ნაკრები**

**მეკარე** - გიბსონი;
**მცველები** - ტროუბა, ჯეიკ მაკეიბი (აშშ);
**ფორვარდები** - ჯონ გორდო (აშშ), ფილიპ ფორსბერგი (შვედეთი), ნიუჯენტ-ჰოპკინსი.

**ბომბარდირები**

რაიან ნიუჯენტ-ჰოპკინსი (კანადა) - 15 (4+11); ჯოელ არმია (ფინეთი) - 12 (6+6); მარკუს გრანლუნდი (ფინეთი) - 12 (5+7); ტეუვო ტერიავაინენი (ფინეთი) - 12 (5+6).

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-ვიურცბურგი | 96:75 |
| **იტალია** | |
| მონტეპასკი-მონტეგრანარო | 93:79 |
| **თურქეთი** | |
| ტედ-ბეშიქთაში | 64:69 |
| ეფესი-ფენერბაჰჩე | 94:76 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| ამური-ავანგარდი | 1:3 |
| მეტალურგი (ნ)-ბარისი | 6:8 |
| სიბირი-იუგრა | 2:3 (ო) |
| **შვედეთი** | |
| როგლე-აიკ | 4:3 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ოკლენდი** | |
| გოფენი-**ბელუჩი** | 6:7, 2:6 |
| კლიჟანი-**მალისე** | 6:7, 6:3, 3:6 |
| **ო. როხუსი**-რამოსი | 6:2, 5:7, 6:2 |
| იანოვიჩი-**ბეიკერი** | 6:4, 6:7, 4:6 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ისტომინი-დაკუორტი | 6:7, 6:4, 7:6 |
| ფ. მაიერი-სოუზა | 6:1, 6:2 |
| გრანოლერსი-ებდენი | 5:7, 7:5, 6:1 |
| ბენეტო-ანდუხარი | 6:3, 5:7, 6:2 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| **პირონკოვა**-ბეგუ | 6:3, 6:4 |
| **სხეპერსი**-კორნე | 6:1, 6:2 |
| **გაიდოშოვა**-ოპრანდი | 6:4, 7:5 |
| სოლერ ესპინოსა-**ვესნინა** | 2:6, 4:6 |
| არუაბარენა-**ჰალეპი** | 3:6, 2:6 |
| **ნიკულესკუ**-მინელა | 6:4, 6:3 |
| ბრატჩიკოვა-**კირსტეა** | 6:3, 5:7, 2:6 |
| დომინგეს ლინო-**შვედოვა** | 4:6, 1:6 |
| ჰსიე-**პენგი** | 2:6, 7:6, 6:7 |
| **ფლიპკენსი**-სკიავონე | 2:6, 6:3, 7:6 |
| ბარტი-ბარტელი | 6:2, 0:6, 1:6 |
| **WTA. სიდნეი** | |
| პაჩეკი-**იანკოვიჩი** | 2:6, 6:7 |
| **ვინჩი**-პეტროვა | 7:5, 7:5 |
| **ვოსკობოევა**-ვიკმაიერი | 3:6, 7:6, 6:2 |
| **ნა ლი**-მაკჰეილი | 7:6, 7:5 |
| **მორიტა**-ჰანტუხოვა | 1:6, 6:3, 6:3 |
| **კუზნეცოვა**-გორგესი | 3:6, 6:3, 6:3 |
| დელაკუა-**დატე** | 4:6, 1:6 |
| **ჟიე ჟენგი**-სტოსური | 6:3, 6:7, 6:4 |

ამბები

**კალათბურთი**

## უოლი ორ კვირაში დაიწყებს

„ვაშინგტონ უიზარდსის“ მცველი **ჯონ უოლი** ორი კვირის შემდეგ აპირებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მიმდინარე სეზონში დებიუტს. 2010 წლის დრაფტის პირველმა ნომერმა უკვე დაიწყო გუნდთან ერთად ვარჯიში და თავიც მოაწონა მწვრთნელებს თავისი ფიზიკური კონდიციებით.

შეგახსენებთ, რომ ოქტომბრის დასაწყისში უოლმა მუხლის ტრავმა მიიღო, რის გამოც ოპერაციის გადატანამ მოუწია.

## ლავი ისევ დაშავებულია

„მინესოტა ტიმბერვულვზს“ ისევ გამოაკლდა თავისი წამყვანი ფორვარდი **კევინ ლავი**. კალათბურთელმა მიმდინარე რეგულარულ ჩემპიონატში მეორედ მოიტეხა მარჯვენა ხელი, - წერს ESPN-ის ვებგვერდი.

ლავმა ტრავმა 4 იანვარს, „დენვერთან“ მატჩის დროს მიიღო. მაგნიტო-რეზონანსულმა გამოკვლევამ მოტეხილობა ზუსტად იმ ადგილას აჩვენა, სადაც პირველი ტრავმა დაფიქსირდა. მაშინ ლავს ცხრა მატჩის გამოტოვებამ მოუწია. კევინმა უკვე დაიწყო მკურნალობა, ხოლო მისი დაბრუნების თარიღი ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

## ხარებმა კუკი დაიმატეს

„ჩიკაგო ბულზმა“ შემადგენლობაში დაიმატა „ჰიუსტონ როკეტსის“ ყოფილი მცველი, ამჟამად თავისუფალი აგენტი **დეჟუან კუკი**. „ხარების“ რიგებში ეს კალათბურთელი სეზონის ბოლომდე დარჩება - მასთან ვეტერანის მინიმალური კონტრაქტი გაფორმდა.

მიმდინარე სეზონში გამოცდილმა მცველმა 16 მატჩი ჩაატარა „როკეტსის“ შემადგენლობაში და საშუალოდ 3.4 ქულა და 1.1 მოხსნა დააგროვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

### 4 იანვარი

**ტორონტო-საკრამენტო 96:105**

22:23, 31:31, 10:28, 33:23

**ტ:** ლოური (24), ანდერსონი (20), დეროზანი (14), კალდერონი (13), დევისი (11+13 მოხსნა+3 დაფარება).
**ს:** კაზინსი (31+20 მოხსნა), სალმონსი (20), ტომპსონი (14), ტომასი (11+6 პასი).

**ვაშინგტონი-ბრუკლინი 113:115 (2ო)**

30:20, 25:32, 24:26, 14:15, 11:11, 9:11

**ვ:** ბილი (24+3 ჩაჭრა), კროუფორდი (23), ნენე (20+3 ჩაჭრა), უებსტერი (14), ოკაფორი (13+7 მოხსნა), ტემპლი (8+11 პასი+7 მოხსნა).
**ბ:** ლოპესი (27+13 მოხსნა+3 დაფარება), უილიამსი (24+10 პასი+7 მოხსნა), ჯონსონი (18), ბლეტჩი (13+12 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**შარლოტი-კლივლენდი 104:106**

23:29, 25:33, 26:24, 30:20

**შ:** გორდონი (27), სეშენსი (20+6 პასი), ჰენდერსონი (17), უოკერი (11), ტეილორი (11).
**კ:** ირვინგი (33+6 პასი+4 ჩაჭრა+3 დაფარება), ტომპსონი (19+13 მოხსნა), მაილზი (18).

**მაიამი-ჩიკაგო 89:96**

22:26, 26:23, 18:26, 23:21

**მ:** ჯეიმსი (30), უეიდი (22), ბოში (14).
**ჩ:** ბუზერი (27+12 მოხსნა), ნოა (13+12 მოხსნა), რობინსონი (13+3 ჩაჭრა), ჰაინრიხი (10+8 პასი).

**დეტროიტი-ატლანტა 85:84**

25:20, 26:16, 23:26, 11:22

**დ:** დეი (20), მონრო (18+9 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაქსიელი (10+10 მოხსნა+3 დაფარება), სტაკი (10).
**ა:** სმიტი (20), ჰორფორდი (18+15 მოხსნა), უილიამსი (17+8 პასი), კორვერი (10).

**ბოსტონი-ინდიანა 94:75**

15:16, 32:19, 22:16, 25:24

**ბ:** გარნეტი (18+7 მოხსნა), რონდო (18+7 პასი), პირსი (13), ლი (13), სალინჯერი (7+10 მოხსნა).
**ი:** ჰენსბრო (19), უესტი (10+10 მოხსნა), ჰიბერტი (7+10 მოხსნა).

**მემფისი-პორტლენდი 84:86**

25:24, 25:23, 22:25, 12:14

**მ:** სპეიტსი (22+13 მოხსნა), გეი (19+9 მოხსნა), გასოლი (12+3 ჩაჭრა+8 დაფარება), არტური (10).
**პ:** მეტიუზი (21+3 ჩაჭრა), ჰიქსონი (19+11 მოხსნა), ოლდრიჯი (15+12 მოხსნა+5 დაფარება), ლილარდი (11+8 პასი), ბატუმი (11+3 ჩაჭრა).

**ოკლაჰომა-ფილადელფია 109:85**

22:21, 24:21, 32:24, 31:19

**ო:** უესტბრუკი (27), დურანტი (26), მარტინი (16), იბაკა (15+10 მოხსნა+3 ჩაჭრა).
**ფ:** ნ. იანგი (21), ჰოლიდეი (15+9 პასი), რაიტი (11+3 ჩაჭრა), ტ. იანგი (10), ჰოიესი (6+13 მოხსნა).

**მილუოკი-ჰიუსტონი 101:115**

21:23, 37:24, 14:30, 29:38

**მ:** ჯენინგსი (16+7 პასი+3 ჩაჭრა), ელისი (12+7 პასი), დანლივი (12), ჰენსონი (11+15 მოხსნა), ილიასოვა (11), უდრიხი (11), უდო (10+8 მოხსნა).
**ჰ:** ჰარდენი (29+7 პასი+4 ჩაჭრა), დელფინო (22), პატერსონი (18), დაგლასი (18), აშიქი (13+8 მოხსნა).

**ფინიქსი-იუტა 80:87**

31:25, 9:17, 22:29, 18:16

**ფ:** გორტატი (18+11 მოხსნა+3 დაფარება), დრაგიჩი (17+6 პასი), დადლი (16), სკოლა (15+8 მოხსნა+3 დაფარება), ტელფეირი (10).
**ი:** ჯეფერსონი (21+8 მოხსნა), მილსეპი (19+10 მოხსნა+5 ჩაჭრა), ჰეივორდი (14), ფოიე (13), ფეივორსი (10+9 მოხსნა).

**კლიპერსი-ლეიკერსი 107:102**

29:22, 32:29, 26:20, 20:31

**კ:** პოლი (30+13 პასი), გრიფინი (24), გრინი (10).
**ლ:** ბრაიანტი (38+5 ჩაჭრა), ჰოვარდი (21+15 მოხსნა), მიქსი (14), ჰილი (13+7 მოხსნა), ნეში (12+10 პასი).

### 5 იანვარი

**კლივლენდი-ჰიუსტონი 104:112**

26:20, 24:34, 28:24, 26:34

**კ:** ირვინგი (30+6 პასი+4 ჩაჭრა), გი (18), ტომპსონი (14+16 მოხსნა), უეიტერსი (13), ზელერი (12+3 ჩაჭრა).
**ჰ:** ჰარდენი (29+7 ჩაჭრა), ლინი (20), პატერსონი (15), სმიტი (11+11 მოხსნა), მორისი (11).

**მინესოტა-პორტლენდი 97:102**

21:23, 22:30, 18:26, 36:23

**მ:** პეკოვიჩი (21+15 მოხსნა), უილიამსი (18), კირილენკო (15+7 მოხსნა), რიდნური (15), ბარეა (14+7 პასი), კანინგემი (10+12 მოხსნა+3 დაფარება).
**პ:** ბატუმი (26+3 დაფარება), მეტიუზი (26), ლილარდი (20+6 პასი), ოლდრიჯი (14+9 მოხსნა+6 პასი), ჰიქსონი (2+11 მოხსნა).

**დალასი-ნიუ ორლეანი 96:99 (ო)**

23:25, 24:15, 20:23, 22:26, 7:10

**დ:** ნოვიცკი (20), კარტერი (17), მაიო (14), კოლისონი (12), ბრენდი (12+5 დაფარება).
**ნ-ო:** ვასკესი (25+7 მოხსნა+9 პასი), ანდერსონი (16+7 მოხსნა), გორდონი (14), სმიტი (12+7 მოხსნა), ამინუ (10+13 მოხსნა+3 ჩაჭრა).

**სან ანტონიო-ფილადელფია 109:86**

31:21, 23:21, 27:21, 28:23

**ს-ა:** პარკერი (20), ჯინობილი (19+7 მოხსნა), დანკანი (16+8 მოხსნა+4 დაფარება), გრინი (13), სპლიტერი (12+10 მოხსნა), ნილი (12+3 ჩაჭრა).
**ფ:** ჰოიესი (22), ტერნერი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჰოლიდეი (11+8 მოხსნა+8 პასი), ტ. იანგი (11), რიჩარდსონი (11), ნ. იანგი (10).

**დენვერი-იუტა 110:91**

21:23, 28:22, 34:27, 27:19

**დ:** გალინარი (26), იგუოდალა (18), ფარიდი (15+10 მოხსნა), ლოუსონი (14), მილერი (11+6 პასი), კუფოსი (8+13 მოხსნა).
**ი:** მილსეპი (15+7 მოხსნა+3 დაფარება), ჰეივორდი (14), მარვ. უილიამსი (13), ჯეფერსონი (12+8 მოხსნა).

**კლიპერსი-გ. სტეიტი 115:89**

35:12, 32:31, 36:23, 12:23

**კ:** პოლი (27+9 პასი), გრიფინი (20+7 პასი+3 ჩაჭრა), ბლედსოუ (17), ჯორდანი (13+8 მოხსნა), ბარნსი (11+8 მოხსნა), გრინი (11+3 ჩაჭრა), ბატლერი (10).
**გ-ს:** ტომპსონი (14), ჰ. ბარნსი (11), ლი (10), კარი (10).

**ატლანტა-ბოსტონი 81:89**

31:18, 22:20, 9:33, 19:18

**ა:** უილიამსი (28), ტიგი (17+3 ჩაჭრა), სმიტი (12+10 მოხსნა+3 დაფარება).
**ბ:** პირსი (26+9 მოხსნა), რონდო (14+11 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა), გარნეტი (14+3 ჩაჭრა), ბასი (10+3 ჩაჭრა).

**ორლანდო-ნიუ იორკი 106:114**

36:27, 19:32, 34:22, 17:33

**ო:** ნელსონი (29+8 პასი), აფლალო (29), ვუჩევიჩი (11+18 მოხსნა), ნიკოლსონი (11), მაკრობერტსი (2+10 მოხსნა).
**ნ-ი:** ენტონი (40+6 პასი), სმიტი (18), კიდი (15+8 მოხსნა+7 პასი), ჩენდლერი (14+12 მოხსნა), სტაუდმაიერი (11).

**ინდიანა-მილუოკი 95:80**

21:21, 31:26, 25:17, 18:16

**ი:** ჰიბერტი (20+15 მოხსნა+5 დაფარება), ჰილი (14+8 მოხსნა), უესტი (10), სტივენსონი (10).
**მ:** ელისი (21), სანდერსი (12+12 მოხსნა), ჯენინგსი (12+3 ჩაჭრა), ჰენსონი (6+13 მოხსნა).

**ბრუკლინი-საკრამენტო 113:93**

36:31, 29:16, 23:25, 25:21

**ბ:** ლოპესი (18), უილიამსი (15+7 პასი), ჯონსონი (15), ბლეტჩი (15+11 მოხსნა), ბრუქსი (15), ტელეტოვიჩი (14), ევანსი (7+12 მოხსნა).
**ს:** კაზინსი (28+11 მოხსნა), ტომპსონი (15), სალმონსი (13), ბრუქსი (13), ტომასი (12).

### 6 იანვარი

**ტორონტო-ოკლაჰომა 92:104**

18:23, 32:29, 17:26, 25:26

**ტ:** ანდერსონი (27), ჯონსონი (19+9 მოხსნა+3 დაფარება), დეროზანი (11), კალდერონი (10+11 პასი), ლოური (10+8 პასი)
**ო:** უესტბრუკი (23+7 პასი+3 ჩაჭრა), დურანტი (22+7 მოხსნა+7 პასი), იბაკა (19+8 მოხსნა), მარტინი (16), კოლისონი (10+8 მოხსნა).

**მაიამი-ვაშინგტონი 99:71**

27:19, 25:25, 17:16, 30:11

**მ:** ჯეიმსი (24+7 პასი), ალენი (20), ბოში (17+9 მოხსნა+4 დაფარება), უეიდი (14+7 მოხსნა), მილერი (13), ჰასლემი (2+12 მოხსნა+3 ჩაჭრა)
**ვ:** სერაფინი (14), მარტინი (13), უებსტერი (10).

**დეტროიტი-შარლოტი 101:108 (ო)**

30:21, 30:38, 22:20, 14:17, 5:12

**დ:** პრინსი (21+7 მოხსნა), მონრო (18+14 მოხსნა+6 პასი), სტაკი (18+3 ჩაჭრა), ნაითი (12), დრამონდი (10+3 დაფარება).
**შ:** უოკერი (20+7 პასი), გორდონი (18+3 ჩაჭრა), სეშენსი (15), ტომასი (13), კიდ-გილკრისტი (11+8 მოხსნა), ბიიომბო (10+17 მოხსნა).

**ფინიქსი-მემფისი 81:92**

16:21, 22:20, 24:30, 19:21

**ფ:** ტაკერი (17+3 ჩაჭრა), გორტატი (12+8 მოხსნა).
**მ:** რენდოლფი (21+8 მოხსნა), გეი (20), ალენი (11+3 ჩაჭრა), გასოლი (10+12 მოხსნა+3 დაფარება).

**ლეიკერსი-დენვერი 105:112**

26:34, 34:26, 23:29, 22:23

**ლ:** ბრაიანტი (29+7 პასი), უორლდ პისი (16+4 დაფარება), ჰოვარდი (14+26 მოხსნა+4 დაფარება), ჰილი (13), გასოლი (11), ნეში (10+13 პასი).
**დ:** ლოუსონი (21+10 პასი+3 ჩაჭრა), გალინარი (20), მაკგი (17+3 ჩაჭრა), იგუოდალა (15+7 პასი), ბრიუერი (14), მილერი (12+10 პასი).

## რაგბი



# რას გვიქადის წელი ახალი?

**2012 წლის თავბრუდამხვევი სარაგბო სეზონი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. საინტერესოა, რას გვპირდება ახალი 2013 წელი. ოთხწლეულის ყველაზე მნიშვნელოვანი შეჯიბრების, მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყებამდე ორ წელიწადზე ცოტა მეტი დარჩა, თუმცა სამომავლო კონტურები სწორედ წლეულს გამოიკვეთება.**

უახლოესი შეჯიბრება, რომელიც წლეულს სტარტს აიღებს, ექვსი ერის გათამაშებაა. პირველი ტურის მატჩები 2 თებერვალს გაიმართება. საყოველთაო მოსაზრებით, ამ ტურნირის მოგება ირლანდიის ნაკრებს შეუძლია, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ხელსაყრელ კალენდარს მაქსიმალურად გამოიყენებს. „სამყურები" საფრანგეთისა და ინგლისის ნაკრებებს, რომლებიც გათამაშების უმთავრესი ფავორიტები არიან, შინ ეთამაშებიან და წარმატების მიღწევის შემთხვევაში გაჩემპიონების დიდი შანსი აქვთ.

წესით, ძალიან კარგი გუნდი უნდა ჰყავდეს საფრანგეთს. „ლე ბლო" ახალი მწვრთნელის **ფილიპ სენტ-ანდრეს** ხელმძღვანელობით სერიოზულ ძალად ყალიბდება და გასაკვირი არ იქნება, ინგლისში, ორი წლის შემდეგ, „ვებ ელისის" თასს თუ გამოჰკრავს ხელს. თუმცა მანამდე ჯერ საკმარისი დროა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

იქამდე კი ექვსი ერის გათამაშებაში, შესაძლოა, ერთი სიახლე დაინერგოს. ამ ტურნირის ორგანიზატორებმა შესთავაზეს მონაწილე ქვეყნების რაგბის კავშირის ხელმძღვანელებს, ქულათა დარიცხვის სამხრეთულ ანუ პრემიალურ სისტემაზე გადავიდნენ.

ეს უძველესი საერთაშორისო ტურნირი ერთადერთია მთელ მსოფლიოში, რომელიც ამ სისტემას არ იყენებს. აქ გამარჯვებულს ორი ქულა ერგება, ფრეზე კი გუნდები თითო ქულას იღებენ. სამხრეთული ანუ პრემიალური სისტემით კი ასეა - გამარჯვებულს ოთხი ქულა ეწერება და თუ მეტოქეს ოთხ ან მეტ ლელოს გაუტანს, ერთ პრემიალურ ქულასაც დაიმატებს. ფრეზე გუნდები ორ-ორ ქულას მიითვლიან. ხელცარიელი, შესაძლოა, არც წაგებული დარჩეს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ რვა ქულაზე ნაკლებით დამარცხდება. პრემია აქაც ერთი ქულაა.

შეგახსენებთ, რომ ქულათა დარიცხვის პრემიალური სისტემა 1995 წელს ახალ ზელანდიაში შეიმუშავეს და მისი მიზანი მთელი მატჩის განმავლობაში ხელდახელ შეტევისთვის უპირატესობის მინიჭება და ფეხით კარში დარტყმების სიხშირის შემცირება იყო.

ეს სისტემა, როგორც უკვე ვთქვით, მთელ მსოფლიოში გამოიყენება. გლობალური სტანდარტებიდან გამონაკლისი მხოლოდ საფრანგეთისა და საქართველოს ჩემპიონატებია. აქ გამარჯვებულმა გუნდმა პრემიალური ქულა რომ დაიმსახუროს, საჭიროა მეტოქეს მინიმუმ სამი ლელოთი მეტი გაუტანოს. ამ სისტემის დანერგვა საქართველოში წლევანდელი ჩემპიონატის წინ გადაწყდა და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამართლებს კიდეც.

ერთი სიტყვით, ეს ცვლილება ექვსი ერის გათამაშებას უფრო საინტერესოს გახდის. ამ სისტემის დანერგვას ოფიციალურად, ჯერჯერობით, მხარი მხოლოდ ინგლისის რაგბის კავშირმა დაუჭირა.

*„ქულათა დარიცხვის სისტემაში ცვლილებებს ათი წელიწადია ვეწინააღმდეგებით. მაგრამ ჩვენი კომერციული პარტნიორების ზეწოლის გამო იძულებულნი ვართ დავთანხმდეთ. მათ მიაჩნიათ, რომ ეს სისტემა კიდევ უფრო დაძაბავს სატურნირო ბრძოლას, რაც ბევრად საინტერესოს გახდის შეჯიბრებას."* - თქვა ინგლისის რაგბის კავშირის სამეთვალყურეო საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა.

ამასთან ერთად, მსოფლიოს სარაგბო სამყარო მოუთმენლად ელის „ბრიტანელი ლომების" ტურნეს ავსტრალიაში. რატომღაც ყველას ღრმად სწამს, რომ ამჯერად სამხრეთ ნახევარსფეროში „ვოიაჟი" წარმატებული გამოვა. „ლომების" ახალზელანდიელი მწვრთნელი **უორენ გეთლენდი**, რომელიც იმავდროულად უელსის ნაკრების თავკაცია, ასევე იმედიანადაა განწყობილი და ამბობს:

*„სამხრეთ ნახევარსფეროს სამი ბობოლადან თუ რომელიმესთან გვაქვს წარმატების მიღწევის შანსი, ეს ავსტრალიაა. ამჟამინდელი ტურნე საინტერესო იმითაც იქნება, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშებაში ინგლისისა და უელსის ნაკრებები ჯგუფში სწორედ ავსტრალიის ეროვნულ გუნდთან მოხვდნენ. „ბრიტანელი ლომების" მოთამაშეთა უმრავლესობა კი სწორედ ამ ორი გუნდის მოთამაშეებისგან შედგება".*

საინტერესო იქნება ოთხი ერის გათამაშებაც, რომელიც წლეულს მეორედ გაიმართება. ტურნირის ახალბედამ, არგენტინის ნაკრებმა ბრჭყალები უკვე გამოაჩინა და გამორიცხული არ არის, წლეულს ბობოლებს კიდევ უფრო მეტად გაურთულოს ცხოვრება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## ჩოგბურთი

# სამსახურეობრივი რომანი

## მარია შარაპოვა და გრიგორ დიმიტროვი შეყვარებულები არიან

**მარია შარაპოვას** ახალი ბოიფრენდი ჰყავს, - ამტკიცებს ESPN-ის ჟურნალისტი **დარენ როველი**.

*„მარია შარაპოვას გული ისევ დაკავებულია. მივიღე დადასტურება, რომ ის ხვდება 21 წლის ბულგარელ ჩოგბურთელს გრიგორ დიმიტროვს"*, - დაწერა თავის „ტვიტერზე" როველმა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ დეკემბერში შარაპოვა და **დიმიტროვი** ერთად სეირნობდნენ მილანის ქუჩებში და საკმაოდ შთამბეჭდავადაც გამოიყურებოდნენ - იცინოდნენ, მხიარულობდნენ, მოკლედ, ძალიან ბედნიერები ჩანდნენ.

თუმცა დიმიტროვმა მარიასთან რომანის თაობაზე კომენტარისგან თავი შეიკავა. *„მე არ განვიხილავ ჟურნალისტებთან პირად ცხოვრებას"*, - განაცხადა ბრისბენის ტურნირის ფინალში დამარცხების შემდეგ ბულგარელმა ჩოგბურთელმა.

შეგახსენებთ, რომ ადრე შარაპოვა სლოვენიელ კალათბურთელზე **საშა ვუიაჩიჩზე** გათხოვებას აპირებდა, ისინი დანიშნულებიც იყვნენ, მაგრამ ბოლოს დაშორდნენ ერთმანეთს.

**გია თვალაბეიშვილი**



დიმიტროვი და შარაპოვა მილანში

## ავტოსპორტი. დაკარი 2013



სტეფან პეტერანსელი

# ლეგენდა დაიწყო

ორი დღეა, რაც სამხრეთ ამერიკაში დაიწყო ლეგენდარული ავტომარათონი - დაკარი. რალი-რეიდის მონაწილეებმა 5 იანვარს, პერუს დედაქალაქ ლიმადან აიღეს სტარტი. თუ პირველი 13-კილომეტრიანი ეტაპი ერთგვარად გასახურებელი იყო, მეორე სტარტი სრულფასოვანი გახლდათ - დისტანციის სიგრძე 242 კილომეტრს უდრიდა.

ავტომობილების კლასში მთავარი ფავორიტის სტატუსი დაამტკიცა ლეგენდარულმა ფრანგმა, დაკარის ათგზის გამარჯვებულმა **სტეფან პეტერანსელმა**. მან საუკეთესო დრო აჩვენა და სათავეში ჩაუდგა გენერალურ კლასიფიკაციას. „მინის" მანქანით მოასპარეზე ფრანგი ორწუთნახევარზე მეტს უგებს სამხრეთაფრიკელ **ჟინიელ დე ვილიერსს**, რომელიც „ტოიოტათი" ასპარეზობს.

„ბაგებით" მოასპარეზე **ნასერ ალ-ატიია** და ლეგენდარული **კარლოს საინსი** ხეირიანად ვერ გაუმკლავდნენ ტრასას და რამდენიმე პოზიცია დაკარგეს. საინსი ამ ეტაპის შემდეგ საერთო ჩათვლაში პირველი ათეულიდან გავარდა, არადა, პირველი სტარტი სწორედ მისი გამარჯვებით დასრულდა.

### საერთო ჩათვლა

1. **სტეფან პეტერანსელი** (Mini) - 3:00.20; 2. **ჟინიელ დე ვილიერსი** (Toyota) - +2.38; 3. **რონან შაბო** (SMG) - +3.46; 4. **ორლანდო ტერანოვა** (BMW) - +6.26; 5. **ლეონიდ ნოვიცკი** (Mini) - +9.33; 6. **ნასერ ალ-ატიია** (Buggy) - +10.25...

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში მოულოდნელად ვითარდება მოვლენები. აქ ყველა ვარაუდობს KTM-ის საქარხნო გუნდის ტრიუმფს, მაგრამ ჯერჯერობით, გენერალურ კლასიფიკაციას სათავეში ჩაუდგა ესპანელი **ხოან ბარედა ბორტი**, რომელიც შვედური გუნდის - „ჰუსკვარნას" ღირსებას იცავს. სწორედ მან მოიგო მეორე ეტაპი, როცა სამ წუთზე მეტით ჩამოიშორა უახლოესი მდევარი, თანამემამულე **ხუან პედრერო**. ხელი მოეცარა მოტოციკლების კლასში მთავარ ფავორიტსა და მოქმედ ჩემპიონს, ფრანგს **სირილ დეპრეს**, რომელმაც გამარჯვებულთან 10 წუთზე მეტი წააგო და მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა.

ახლა, საერთო ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა - ლიდერობს ხოან ბარედა ბორტი, მას ხუთწუთნახევრით ჩამორჩება **რუბენ ფარია**, შემდეგ მოდის ხუან პედრერო და მხოლოდ მეხუთეა დეპრე 9-წუთიანი ჩამორჩენით.

### საერთო ჩათვლა

1. **ხოან ბარედა ბორტი** (Husqvarna) - 3:24.11; 2. **რუბენ ფარია** (KTM) - +5.36; 3. **ხუან პედრერო** (KTM) - +6.36; 4. **დავიდ კასტო** (Yamaha) - +6.58; 5. **სირილ დეპრე** (KTM) - +8.50; 6. **მეტ ფიში** (Husqvarna) - +9.18...

**გია თვალაბეიშვილი**

## სამთო თხილამურები. მსოფლიოს თასი

# არის ახალი ლიდერი

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში განახლდა სამთო თხილამურებში მსოფლიოს თასის გათამაშება. გუშინ აქ მამაკაცებმა სლალომში გაარკვიეს ურთიერთობა.

ისევე როგორც შარშან, ზაგრების ტრასას ყველაზე კარგად აუღო ალღო მსოფლიოს თასის მოქმედმა მფლობელმა, ავსტრიელმა **მარსელ ჰირშერმა**. პირველი დაშვების შემდეგ, ის მეორე ადგილზე იყო და მხოლოდ ერთ-მეასედ წამს აგებდა ლიდერთან, შვედ **იენს ბიგმარკთან**.

მეორე ცდაზე ჰირშერმა კიდევ უფრო უკეთესი დრო აჩვენა და რჩებოდა მხოლოდ ლიდერ ბიგმარკის დაშვება, მაგრამ შვედმა ტრასაზე რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და ორი ცდის ჯამში მხოლოდ 26-ე ადგილი დაიკავა.

ჰირშერისთვის ეს იყო სეზონში მესამე გამარჯვება. ამით მან ლიდერობა მოიპოვა როგორც სლალომის ჩათვლაში, ასევე გენერალურ კლასიფიკაციაში. აქ მან 51 ქულით გაუსწრო ნორვეგიელ **აქსელ-ლუნდ სვინდალს**, რომელმაც გამოტოვა ეს სლალომი და ჩამორჩენის გაბათილებას თავის საყვარელ ჩქაროსნულ დისციპლინებში ეცდება.

### სლალომი

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 1:56.17 (58.66+57.51); 2. **ანდრე მიურერი** (შვედ) - 1:56.74 (59.17+57.57); 3. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:57.26 (59.15+58.11); 4. **სტეფანო გროსო** (იტა) - 1:57.32 (58.79+58.53); 5. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 1:57.48 (59.20+58.28); 6. **ალექსის პინტურო** (საფ) - 1:57.50 (59.54+57.96)...

### საერთო ჩათვლა

1. **მარსელ ჰირშერი** (ავსტრია) - 740 ქულა; 2. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორვეგია) - 689; 3. **ტედ ლიგეტი** (აშშ) - 552; 4. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერმანია) - 441; 5. **ანდრე მიურერი** (შვედ) - 334; 6. **ჩიეტილ იანსრუდი** (ნორვეგია) - 322...

**გია თვალაბეიშვილი**



ზაგრების პოდიუმი


ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი**; მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი**; მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**. ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: **გია თვალაბეიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:15

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ინდექსი **66435 INDEX**. რეკლამა: **237 78 07**


რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608